2010 24 თებ
603/2ა 16400

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 თებერვალი **ორშაბათი** 2010
№024(13012) ფასი 60 თეთრი




# ბოდაველი ხმაურით დაბრუნდა




თბილისის მსოფლიოს თასი >> გვერდი 11







ევროუქმეები >> გვერდი 6-9

# სერენა და როჯერი




ავსტრალიის ღია პირველობა >> გვერდი 16




# ფარაონული ტრიუმფი

>> გვერდი 5

## ქართული ფეხბურთი

დინამო

# შეკრება დასრულდა, მზადება გრძელდება

გუშინ ანთალიაში უკრაინულ (სიმფეროპოლი) „ტავრიასთან“ საკონტროლო შეხვედრით თბილისის „დინამომ“ მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა. „ტავრია“ უკრაინის პრემიერლიგის მეექვსეადგილოსანია. თბილისის „დინამომ“ ამჯერადაც კარგად ითამაშა, თუმცა მხოლოდ ფრეს დასჯერდა. **კახა კაჭარავამ** ასეთი შემადგენლობა ათამაშა: **ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე (65. კაკუბავა), შ. კაშია, ედნილსონი, კოშკაძე, კახელიშვილი (82. ჯუისი), მერებაშვილი (46. რობერტო), ვაწაძე (65. აკირემი).**

ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა **მათე ვაწაძემ**, რომელიც დლითიდლე აუმჯობესებს თამაშს. მან **გიორგი მერებაშვილის** გადაცემა გამოიყენა. „ტავრიამ“ ანგარიში 37-ე წუთზე გაათანაბრა. სამწუხაროდ, უფრო დეტალური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

დღეს „დინამო“ თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნდება და ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ გუნდმა ანთალიაში ხუთი საკონტროლო შეხვედრა გამართა - 2 მოიგო, 2 ფრედ ითამაშა და ერთიც წააგო. ეს იყო დონეცკის „შახტართან“. მარცხის მიუხედავად, დინამოელებმა მეტოქეზე ბევრად მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერა და ვერ იხეირეს. ახლა კი გადავხედოთ დინამოელთა შედეგებს მოსამზადებელ პერიოდში.



მათე ვაწაძე და გიორგი მერებაშვილი

| | | |
|---|---|---|
| **საქართველოში** | | |
| 16.01 | ოლიმპი-დინამო | 0:4 |
| 13.01 | დინამო-IBSU | 0:1 |
| **თურქეთში** | | |
| 22.01 | დინამო-ვორსკლა | 0:0 |
| 24.01 | დინამო-შახტარი | 0:1 |
| 25.01 | დინამო-ზარია | 2:1 |
| 28.01 | დინამო-შახტიორი (ყარ) | 3:0 |
| 31.01 | დინამო-ტავრია | 1:1 |

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# შინაარსიანი უქმეები

გასული შაბათ-კვირა ვეტერინართათვის მეტად დატვირთული გამოდგა. შაბათს „ვიტ ჯორჯიას“ დუბლები ამხანაგურად 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდს შეხვდნენ და 2:3 დამარცხდნენ.

35-ე სკოლა მატჩის 37-ე წუთზე **ბახტაძემ** დააწინაურა. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ გააქტიურდა და 64-ე წუთზე **დავით ვაშაკიძემ** ანგარიში გაათანაბრა. 77-ე წუთზე კოტდივუარელმა **ბლაშამ** 35-ესკოლელები წინ კიდევ ერთხელ გაიყვანა წინ. 82-ეზე ჯორჯიელმა **გიორგი გურეშიძემ** წონასწორობა აღადგინა, 35-ე სკოლას კი გამარჯვება 87-ე წუთზე **ლომსაძემ** მოუტანა.

„ვიტ ჯორჯიას“ დუბლებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **რეჭია - სარაჯიშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, ლანიაშვილი (79. სულაქველიძე) - შუშიაშვილი (52. გურეშიძე), დვალაშვილი, მაისაშვილი (73. დავლაშელიძე), როსტიაშვილი (71. გიორგი ლობჟანიძე), ხოკერაშვილი (59. რუხაია) - დ. ვაშაკიძე (72. გურამ ლობჟანიძე).**

გუშინ კი „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი გუნდი პირველი ლიგის ბინადარ IBSU-ს დაუპირისპირდა და ფრედ, 2:2 ითამაშა. შეგახსენებთ, ეს გუნდები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინათაც შეხვდნენ და მაშინ საქართველოს მოქმედმა ჩემპიონებმა 2:1 გაიმარჯვეს.

გუშინდელი მატჩი, რომელიც რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე ჩატარდა, ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიასთვის“ ბოლო იყო. **გელა გომელაურის** ფეხბურთელებმა შეხვედრის დებიუტი მაღალ დონეზე ჩაატარეს და ეს ანგარიშშიც ასახეს. 14-ე წუთზე **ჯაბა ლიპარტიამ** პენალტი გაიტანა, 25-ეზე კი **გიორგი ვასაძემ** თავისი გუნდის უპირატესობა ზუსტი თავურით განამტკიცა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდს თამაშის გადარჩენის იმედი 41-ე წუთზე, **აკაკი ნოზაძის** გოლით მიეცა, ანგარიში კი 59-ე წუთზე **გელა ბართიამ** გაათანაბრა.

ვიტ ჯორჯია: **ბედიაშვილი - ხურცილავა, ადამაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე - გურეშიძე, გ. დათუნაიშვილი, ვასაძე - კორიფაძე (83. როსტიაშვილი), ბერიაშვილი (50. ვ. კვარაცხელია), ლიპარტია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 13

# გამარჯვება რიგაში

29-31 იანვარს ლატვიის დედაქალაქ რიგაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოს 13-წლამდელთა ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა. ჩვენმა გუნდმა, რომელსაც **ნოდარ აკობია** წვრთნის, პირველობა არავის დაუთმო. ფინალურ მატჩში ჩვენმა გუნდმა იტალიური კიევო 3:2 დაამარცხა. მანამდე ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა ესტონური გუნდი 3:0 გაანადგურა. ტურნირში ექვსი ქვეყნის რვა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ზუგდიდის „ბაიას“ თავდამსხმელი **გიორგი ლაშხია**. შეგახსენებთ, ახლად ჩამოყალიბებული 13-წლამდელთა ნაკრებისთვის ეს პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო. ლატვიაში გამგზავრებამდე აკობიას გუნდმა შეკრება ზუგდიდში, „ბაიას“ ბაზაზე გაიარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

# ლობჟანიძე დნიპროში გადავიდა

## ქინქლაძის შემდეგ რიგით მეორე ტრანსფერი 2 მილიონ ევროდ



უჩა ლობჟანიძე

თამამად შეიძლება ითქვას, ზამთრის პერიოდში ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი „ზესტაფონმა“ განახორციელა. იმერელთა მარჯვენა მცველი **უჩა ლობჟანიძე**, რომელსაც გასულ შესარჩევ ციკლში ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად იწვევდნენ და თამაშითაც გამოირჩეოდა, „დნიპროში“ გადავიდა. უჩასთან უკრაინულმა კლუბმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ვადის განმავლობაში ზესტაფონური კლუბი დნეპროპეტროვსკელებისგან 4 მილიონ ევროს მიიღებს. ცნობისათვის, ეროვნული ჩემპიონატიდან უცხოურ კლუბში გადასული ფეხბურთელებიდან, **გიორგი ქინქლაძის** (1995 წელს „მანჩესტერ სიტიმ“ თბილისის „დინამოს“ ჩვენებურის სანაცვლოდ 3.2 მილიონი დოლარი გადაუხადა) შემდეგ, უჩა ლობჟანიძე ყველაზე ძვირად ღირებული ქართველი ფეხბურთელია. შეგახსენებთ, იმასაც, რომ **ბექა გოცირიძის** ტრანსფერის სანაცვლოდ, „ზესტაფონი“ „დნიპროსგან“ 1 მილიონ ევროს მიიღებს.

ეს ცნობა „ზესტაფონის“ ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. იმერელთა კლუბის პრესსამსახურის ცნობით, „დნიპრო“ უჩა ლობჟანიძეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკვირდებოდა და შარშანაც სურდა მისი დამატება. „ზესტაფონი“ ლობჟანიძის გასხვისების მომხრე არ იყო, მაგრამ იმერლებმა თავად ფეხბურთელის სურვილი და მისი კლასის ამაღლების პერსპექტივა გაითვალისწინეს და უჩას სურვილს „დნიპროში“ გადასულიყო, წინ არ აღუდგნენ... იმასაც შეგახსენებთ, რომ ზესტაფონელებმა ახლახან „სკონტოდან“ წამოსული, ტანმაღალი მცველი **დავით გამეზარდაშვილი** დაიმატეს და ლობჟანიძის პოზიციის (დაცვის მარჯვენა ფრთის) შევსება, წესით არ უნდა გაუჭირდეთ.

უჩა ლობჟანიძე უკვე შეუერთდა ახალ კლუბს. **ვლადიმირ ბესონოვის** გუნდი ბელექში გადის მოსამზადებელ შეკრებას და ანთალიაში, 10 თებერვლის ჩათვლით 5 საკონტროლო შეხვედრას გამართავს. უკრაინელებს პირველი საკონტროლო მატჩი 4 თებერვალს რუმინულ „უნირეასთან“ აქვთ და სავარაუდოდ, დნეპროპეტროვსკელთა რიგებში უჩა ლობჟანიძე პირველად სწორედ ამ სპარინგში გამოჩნდება.

ცნობისთვის, უჩა ლობჟანიძემ 2008 წელს ახალგაზრდულ ნაკრებში იასპარეზა და იმავე წელს მოხვდა ეროვნულ გუნდში. ქვეყნის მთავარ ნაკრებში ლობჟანიძეს, დღემდე 13 მატჩი აქვს ჩატარებული. „ზესტაფონში“ მან 2.5 წელი დაყო, მანამდე კი თბილისის „დინამოსა“ (2004-06) და „ბათუმში“ (2006-07) ასპარეზობდა. ლობჟანიძე თითოჯერაა ქვეყნის ჩემპიონი (2005) და თასის მფლობელი (2008)... რაც შეეხება „დნიპროს“, ბესონოვის გუნდი უკრაინის ვიშა ლიგაში პირველი წრის შემდეგ 28 ქულით მე-4 ადგილზეა და წინა საფეხურზე მყოფ ხარკოვის „მეტალისტს“ 7 ქულით ჩამორჩება. დნეპროპეტროვსკელები სეზონს 27 თებერვალს ლუგანსკის „ზარიასთან“ საშინაო მატჩით განაახლებენ.

**დავით ცაბაძე**

საპარაუდო ტრანსფერი

# კლიმიაშვილი ოდესაში მოსწონთ

## ჩელებაძემ ერთი გაიტანა და ორი გაატანინა



გიორგი ჩელებაძე (ცენტრში)

ოდესის „ჩერნომორეცის“ მწვრთნელები ორ ქართველ ფეხბურთელზე განაგრძობენ დაკვირვებას - მთავარ გუნდში ტესტირებას აგრძელებს „ვიტ ჯორჯიის“ შემტევი ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი**, ოდესელთა დუბლებში კი **რევაზ ჩელებაძის** ვაჟი, ნახევარმცველი **გიორგი ჩელებაძე** ვარჯიშობს.

სჯობს თანმიმდევრობას მივყვეთ და ჯერ კლიმიაშვილზე ვთქვათ, მერე კი ჩელებაძესა და უცნობ ქართველებზე. „ჩერნომორეცის“ მთავარმა გუნდმა ანთალიაში მოსამზადებელი შეკრება დაასრულა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ანდრეი ბალი** მოკლე ინტერვიუში ირაკლის არ ახსენებს. როგორც ირკვევა, ოდესელები 4 თებერვალს ანთალიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე კიდევ ერთხელ მიემგზავრებიან. ჩვენი ინფორმაციით, ბალს კლიმიაშვილი მოსწონს და თუ ჩვენებურმა „ჩერნომორეცის“ თავკაცს მომდევნო შეკრებაზეც მოაწონა თავი, მაშინ მას კონტრაქტს შესთავაზებენ.

რაც შეეხება მეორე გუნდს, „ჩერნომორეცის“ დუბლებმა ბოლოს ორი საკონტროლო შეხვედრა გამართეს უკრაინის ქვედალიგოსნებთან. პირველი უგოლოდ დასრულდა და ჩელებაძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე. ოდესელ რეზერვისტთა მომდევნო ამხანაგური შეხვედრა კი უხვგოლიანი გამოდგა - „ჩერნომორეცმა“ ილიჩევსკის „ბასტიონი“ 7:4 გაანადგურა. ჩელებაძე კვლავ სასტარტო შემადგენლობაში იყო და 60 წუთის განმავლობაში ითამაშა. კლუბის ოფიციალური საიტის ინფორმაციით, ეს ერთი საათი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რათა ჩვენებურს ერთი ბურთი თავად გაეტანა და ორიც საგოლე პასი მიეთვალა. მე-4 წუთზე ჩელებაძემ ორამდე გაზარდა ანგარიში, 29-ე წუთზე **კოსირინმა** გიორგი პასით ანგარიში 4:1 გახადა, ხოლო 55-ე წუთზე კი ჩელებაძემ **პოლიტილო** მეკარესთან პირისპირ დატოვა და ანგარიშიც 7:3 გახდა. ოდესელთა დუბლებში გიორგი ჩელებაძის გარდა კიდევ ერთმა ქართველმა, მცველმა **ნუგზარ ხოჯაშვილმა** ითამაშა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 16 წლის ხოჯაშვილი ოდესელთა კლუბის 17-წლამდელთა გუნდის წევრია და დუბლებში თამაში დაიმსახურა.

...და კიდევ ერთი ამ მატჩზე. „ჩერნომორეცის“ დუბლების წინააღმდეგ „ბასტიონის“ შემადგენლობაში ფორვარდმა **ჯაფარიძემ** მეორე ტაიმი ითამაშა და საბოლოო ანგარიში სწორედ მან დააფიქსირა. ჯაფარიძის შესახებ სხვა ცნობა ვერაფრით მოვიძიეთ.

საგულისხმოა ერთიც, „ჩერნომორეცის“ მთავარი გუნდის თავკაცი აცხადებს, რომ 4 თებერვალს, ანთალიის შეკრებაზე შესაძლოა დუბლებიდანაც რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატოს. ვის წაიყვანს რეზერვისტებიდან ბალი თურქეთში, ამას ოდესელთა მწვრთნელი დუბლშემადგენლობის თავკაც **კონსტანტინ ფროლოვთან** პირისპირ საუბრის შემდეგ გადაწყვეტს.

დაბოლოს, უკრაინის ვიშა ლიგაში „ჩერნომორეცის“ 12 ქულით, ბოლოდან მესამე, მე-14 ადგილზეა. ოდესელები სეზონს 27 თებერვალს სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ საშინაო მატჩით განაახლებენ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# საკონტროლო გამოცდა ძველ-ახალი შემსრულებლებით

## სიონში ლევან მელქაძე მივიდა

...მსგავსი მართლაც ვერაფრით გაგვიხსენებია - ამ ზამთარს ჩატარებულ ზოგიერთ საკონტროლო შეხვედრას უფრო მეტი გულშემატკივარი ესწრება, ვიდრე... ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს! და აი, ამ მართლაც უცნაური ტენდენციის მორიგი გაგრძელებაც: რუსთავის „ოლიმპი-ა“ და ბოლნისის „სიონის“ საკონტროლო შეხვედრას, სულ მცირე, ორასამდე ქომაგმა მიადევნა თვალი. ადგილობრივი გულშემატკივრების გარდა, თავიანთი გუნდის საქომაგოდ ბოლნისიდანაც არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი იყო ჩამოსული; ალარაფერს ვამბობთ, უკვე ტრადიციად ქცეულ სურათზეც: „ფოლადის“ სტადიონის საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ „ვიპ-ლოჟაში“ კვლავაც ხალხმრავლობა იყო! ვის არ ნახავდით - ქვემოქართლური ორივე ქალაქის ხელმძღვანელებს, ვეტერან ფეხბურთელებს, საქართველოში სტუმრად მყოფ მინსკის „დინამოს“ დელეგაციის წევრებს, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახლად არჩეულ პრეზიდენტ **გია ფირცხალავას** და, რალა თქმა უნდა, ყველაზე დაინტერესებულ ქომაგს - ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ **დავით კირკიტაძეს.** ამათ გარდა, ისიც უნდა ალინიშნოს, რომ ამ საკონტროლო მატჩისადმი ინტერესი ქვემოქართლური მედიის წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს...

მაში მისთვის ჩვეულ მარჯვენა მცველად დაიწყო, მეორე ტაიმის გარკვეული პერიოდი კი საპირისპირო ფლანგზე მოქმედებდა; **გია კვარაცხელია** პირველ ტაიმში თუ „საყრდენი“ გახლდათ, შესვენების შემდეგ უკვე დაცვის ცენტრში ვიხილეთ - თანაც, ორივე პოზიციაზე ჩინებულად გამოიყურებოდა! იმავეს ვიტყოდით „ოლიმპის“ ახალ კაპიტან **დავით იმედაშვილზეც** - ჯერ მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა, შემდეგ კი ცენტრში „შემოიწია“. საერთოდაც, „ოლიმპის“ ფეხბურთელთა უმრავლესობის უნივერსალიზმი გუნდს სასიკეთოდ უნდა წაადგეს: შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ხიდეშელმაც** და **პავლე დათუნაიშვილმაც** რამდენჯერმე „მოასწრეს“ პოზიციების შეცვლა, თუმცა „ოლიმპის“ ძირითად შემადგენლობაში განსაკუთრებულ ინტერესს სამი ფეხბურთელი იწვევდა: სამშობლოდან დაგვიანებით ჩამოსული ბრაზილიელთა „დუეტი“ და ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებული **სანდრო იაშვილი!** ეს უკანასკნელი, საერთოდაც, „განსხვავებული თემაა“ და, ალბათ იმასაც იმსახურებს, მასზე ცალკე რომ ვისაუბროთ *(იხილეთ „ლელოს“ ხვალინდელი ნომერი - გ. ტ.).*

არანაკლები სიახლეებია ბოლნისის „სიონშიც“, სადაც ასევე ახლად მისულმა (უფრო ზუსტად, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა) მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** ამ



„ოლიმპის“ ახალი კაპიტანი დავით იმედაშვილი გახდა

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში უამრავი ცვლილება განახორციელა. ბოლნისური კლუბი პირველ ეტაპთან შედარებით ბევრად რომ გაძლიერდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; თანაც გამოცდილ მოთამაშეებთან (**გიორგი დეკანოსიძე, გივი დიდავა, თემურ რაქვიაშვილი, ირაკლი შენგელია**) ერთად ხვიჩა ქასრაშვილმა გუნდში რამდენიმე სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელიც (**გიორგი მაისურაძე, ვილი ისიანი, ჯაბა უგულავა**) მიიწვია და თავის გამოჩენის შანსი ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან შეხვედრაშიც მისცა. სიურპრიზი იყო „სიონის“ შემადგენლობაში კიდევ ერთი, ოღონდ, სახელიანი ახალწვეულის გამოჩენაც - ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მეორე ეტაპიდან ბოლნისურ გუნდში იასპარეზებს **ლევან მელქაძე**. 2004-05 წლების სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და საუკეთესო ბომბარდირს, უკანასკნელ პერიოდში საქმეები იდეალურად ვერ აეწყო და ვისურვებდით, რომ საკუთარი შესაძლებლობები „სიონში“ გამოემჟღავნებინოს.

თუმცა ბევრად საინტერესო მოვლენები მოედანზე უნდა გვეხილა: „ოლიმპი“ და „სიონი“ ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე უკანასკნელ საკონტროლო მატჩს ატარებდნენ და, აქედან გამომდინარე, შედეგზე მეტად მნიშვნელოვანი სათამაშო რგოლების ურთიერთშეთამაშება უნდა ყოფილიყო. ერთი მხრივ, გასაკვირი არც არაფერია: „ოლიმპშიცა“ და „სიონშიც“ ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში უამრავი ახალწვეული გამოჩნდა და ქვემოქართლური „დერბის“ მერე მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა! ჰო, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი კინალამ გამოგვრჩა: როგორც იქნა, ამინდიც გამოკეთდა და ფეხბურთელებს... თოვლზე, ძლიერ ქარსა თუ ყინვაზე საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონოდათ.

...**თემურ მახარაძე** კვლავაც ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია: „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა მთელი მატჩის განმავლობაში, სულ მცირე, სამ-ოთხჯერ მაინც „გადააწყო“ თავისი გუნდი. ასე, მაგალითად: ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა **თემურ ლონლაძემ** თა-

...მატჩი საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწყო და თავიდანვე ისეთი ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა, საკონტროლო მატჩებისთვის ნამდვილად რომ არ არის დამახასიათებელი. თანაც, „სიონი“ არც დაცვაში „ჩამჯდარა“ და ისეთივე „ღია“ ფეხბურთი დაუპირისპირა მეტოქეს, რომელიც საწყისი წუთებიდანვე აქტიურობით გამოირჩეოდა. პირველი ხიფათი **მინდია ბობლიაშვილის** კართან მაშინ შეიქმნა, როცა გია კვარაცხელიასა და **ანდერსონ აკინოს** ლამაზ კომბინაციას სანდრო იაშვილი ვერ მისწვდა. თუმცა მალე ყველაფერი შედეგიანად დასრულდა: მეექვსე წუთზე აკინოს კუთხურს იაშვილის „საფირმო“ თავური დარტყმა მოჰყვა და შეხვედრაში ანგარიშიც გაიხსნა. პირველი ტაიმის ბოლომდე „იაშკას“ მეტი სახიფათო მომენტი აღარ შეუქმნია, სამაგიეროდ, აკინომ გაილაღა და სულაც არ ეტყობოდა, დიდი ხნის პაუზის შემდეგ რომ შეუერთდა გუნდს. ნურც კვარაცხელიას დავივიწყებთ: მოედნის ცენტრშიც უაღრესად შრომატევადი სამუშაო გასწია და ამას გარდა, რამდენჯერმე შორეული დარტყმებითაც დაემუქრა „სიონის“ კარს.

საერთოდ კი, „ოლიმპმა“ პირველ ტაიმში მეტი გოლი რომ ვერ გაიტანა, მინდია ბობლიაშვილის დამსახურებაც არის - „სიონის“ მეკარემ, სულ მცირე, ორ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარა ხიფათს გადაარჩინა. სხვათა შორის, იმავეს თქმა შეიძლება „ოლიმპის“ გამოცდილ მეკარე **გრიგოლ ჭანტურიაზეც** - **ლაშა ნოზაძის** შორეული და ძლიერი დარტყმა საკუთარი კარის „ცხრიანიდან“ რომ მოხსნა! თუმცა ერთ ეპიზოდში ვერც ჭანტურიას გამოცდილება და რეაქცია უშველიდათ მასპინძლებს: ლევან მელქაძემ მოხდენილი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გიორგი მაისურაძე გაიყვანა, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდს საბოლოო დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოუვიდა. საერთოდ კი, „სიონის“ შემადგენლობაში პირველ ტაიმში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გიორგი მელქაძე გახლდათ - „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი ნახევარმცველი მუდამ მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა.

შესვენების შემდეგ გუნდები მოედანზე სახეშეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ და მეორე ტაიმის საწყისი 15 წუთიც, ცოტა არ იყოს, უინტერესო პაექრობაში გაილია. ასე გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე „სიონის“ ორმა ახალგაზრდა ახალწვეულმა ლამაზი შეტევა არ განახორციელა: ჯაბა უგულავას ჩინებული პასის შემდეგ ვილი ისიანი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიამ, როგორც იტყვიან, ზღაპრული ბურთი „გამოაძრო“ და ანგარიშიც უცვლელი დარჩა. აი, ამის შემდეგ კი „ოლიმპი“ მოედანზე „გაბატონდა“ და სრული ტერიტორიული უპირატესობაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. მეორე გოლი ეფექტურ კომბინაციას მოჰყვა: **ფრაგას** შორეული პასი, **გიორგი ჭედიას** ფლანგური გარღვევა და დავით იმედაშვილის ძლიერი და ზუსტი დარტყმა - 2:0! ეს ყველაფერი 68-ე წუთზე მოხდა, ორიოდ წუთში კი „ოლიმპმა“ უკვე საპირისპირო ფლანგიდან შეუტია და ყურადღების ცენტრში შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელები ალმოჩნდნენ: პავლე დათუნაიშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ **რევაზ ჯიქიამ** მატჩის საბოლოო შედეგი (3:0) დააფიქსირა. დასასრულ, ორივე გუნდის შემადგენლობებსაც შემოგთავაზებთ.

**ოლიმპი:** ჭანტურია (79. მერლანი) - თ. ლონლაძე, ფრაგა, მაჭავარიანი (46. დობროვოლსკი), ხუბუა (46. პ. დათუნაიშვილი) - ჭედია, კვარაცხელია, ელოხი (46. ხიდეშელი), იმედაშვილი - აკინო (69. თარგამაძე) - იაშვილი (46. რ. ჯიქია).

**სიონი:** ბობლიაშვილი - კობაური, ოქროპირიძე (46. ლ. მერებაშვილი), დიდავა, რაქვიაშვილი - გ. მელქაძე, ლ ნოზაძე, გ. დეკანოსიძე, ი. შენგელია (46. გ. ჯოხაძე) - გ. მაისურაძე (62. უგულავა), ლ. მელქაძე (46. ვ. ისიანი).

**გია ტუხაშვილი**

სატრანსფერო



ანდერსონ აკინო



ალექს ფრაგა

# აკინო და ფრაგა მინსკის დინამოს აინტერესებს

საქართველოს ორი დღით მინსკის „დინამოს“ გენერალური დირექტორი **ვალერი სტრელცოვი** ესტუმრა. როგორც ცნობილია, ბელარუსები რუსთავის „ოლიმპში“ განხორციელებული პროექტებით დაინტერესდნენ. მინსკის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ქართული პროექტის ინიციატორები, **გოჩა ალადაშვილი** და **გია ფირცხალავა** თავისთან მიიწვიეს და ანალოგიური პროექტის ბელარუსულ კლუბში განხორციელებაზე ილაპარაკეს. ამ პროექტში, აღმოსავლეთ ევროპაში „ატლეტიკო პარანენსეს“ წარმომადგენელ ალადაშვილს იგივე როლი დაეკისრება, რაც რუსთავის „ოლიმპში“.

მინსკელთა გენერალური მდივანი **ვალერი სტრელცოვი** რუსთავში „ოლიმპის“ ბრაზილიელ ფეხბურთელებს, **ანდერსონ აკინოსა და ალექს ფრაგას** შაბათს, „ოლიმპისა“ და ბოლნისის „სიონის“ საკონტროლო შეხვედრაზე დააკვირდა - მისი მიზანი კლუბში რეალური ინფორმაციის მიტანა გახლდათ, თუ რა დონის სამხრეთამერიკელებს სთავაზობდნენ ქართველები. სხვათა შორის, ეს სტრელცოვის ერთ-ერთი პირველი საქმიანი საერთაშორისო ვიზიტია - ის მინსკის „დინამოში“ პოსტზე 2009 წლის 15 დეკემბერს დაინიშნა.

სტრელცოვს ბრაზილიელები ძალიან მოეწონა, მალე დაგეგმილია მისი ვიზიტი ბრაზილიაში და სავარაუდოდ, ბელორუსშიც „ატლეტიკო პარანაენსეს“ ბრაზილიელები ქართველების მონაწილეობით მოხვდებიან.

სხვათა შორის, მინსკის „დინამოს“ გენერალურ დირექტორს ფრაგა და აკინო ისე მოეწონა, არაა გამორიცხული, ზაფხულში მათ გადაყვანას შეეცადოს. ფაქტია, რომ სტრელცოვმა მათი დონით აღფრთოვანება ვერ დამალა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იკეჩუკვუ ოლიმპიდან ბატე-ში

ერთი კვირის წინ რუსთავის „ოლიმპმა“ ორი ნიგერიელი ფეხბურთელი გასასინჯად მიიწვია - თავდამსხმელი **ჩარლზ ობი იკეჩუკვუ** და მარცხენა ნახევარმცველი **დადუ ოლუჩე.** მეორეს სტატისტიკაზე რა მოგახსენოთ და, იკეჩუკვუს სტატისტიკა ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა - ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრები, „ბოავიშტაში“ და არა ნიკოლოზის დროს, არამედ, 2008 წელს! მისი ვიდეორგოლებითაც დავინტერესდით და აშკარა იყო, გოლების არაჩვეულებრივი უნარით გამოირჩეოდა.

**თემურ მახარაძემ** ორივე მათგანი ორჯერ გასინჯა - ზაქათალის „სიმურგთან“ ფრედ დასრულებულ შეხვედრაში (1:1) ორივე მონდომებული იყო, მაგრამ უვარჯიშებლობა ეტყობოდათ. მახარაძემ არ იჩქარა, მათ გუნდთან ერთად ვარჯიშისა და მეორე საკონტროლო შეხვედრაში თავის გამოჩენის ბოლო შანსიც მისცა - თუმცა თბილისის „ლოკომოტივთანაც“ იგივე განმეორდა და ნიგერიელები დაითხოვეს. რუსთავსა და „იუთუბის“ ვიდეორგოლებში ნანახი იკეჩუკვუ ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და დედამიწა - სირბილის დროს უვარჯიშებლობა აშკარად ეტყობოდა, არადა, რამდენჯერმე საკმაოდ საინტერესოდ ითამაშა. თუმცა კლუბი ჩემპიონობისთვის იბრძვის და მახარაძე ვერ დაელოდებოდა, ფორმას როდის ალიდგენდა. ოლუჩე კი ბევრად სუსტი ფეხბურთელი აღმოჩნდა.

*„რაც მოხდა, ჩემი ბრალია. ვიფიქრე, პორტუგალიაში ვთამაშობდი და საქართველოში იოლად ჩავირიცხები-მეთქი და ძალიან შევცდი. სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი, საკმაოდ საინტერესო გუნდში მივედი და საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებიც დამხვდნენ. ასე რომ, ჩემმა მცდარმა შეხედულებამ დამაღალატა. არ დავმალავ და აშკარად მოუმზადებელი ჩამოვედი. კვიპრისულ კლუბთან კონტრაქტი აგვისტოში გავწყვიტე, ფულს არ მიხდიდნენ და მას შემდეგ ფორმიდან ამოვვარდი. რომ მცოდნოდა, აქ ჩარიცხვა ასე რთული იყო, მოვემზადებოდი და თავს არ შევირცხვენდი. რამდენიმე დღე თბილისში დავრჩები, მოვემზადები და იმედია, ახალ კლუბში მაინც ჩავირიცხები. თუმცა, მსურს თბილი მიღებისთვის კლუბს მადლობა გადავუხადო. ბევრ კლუბში მითამაშია და ასეთი კარგი გარემო არ მახსენდება“*, - გვითხრა ჩარლზ ობი იკეჩუკვუმ.

ნიგერიელის მენეჯერი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **მამუკა წერეთელია**, რომელმაც საინტერესო ამბავი გაგვიმხილა.

*„იკეჩუკვუმ იმედი გამიცრუა და თავი ვერ გამოავლინა. ეგონა, კლუბში იოლად მოხვდებოდა. არადა, მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი. ამიტომაც თბილისში რამდენიმე დღით დარჩენა და ვარჯიში შევთავაზე. გაუხარდა, კარგი აზრიაო, ფიზმომზადების მწვრთნელი დავუქირავე და ახლა მონდომებით ემზადება. იკეჩუკვუზე ინფორმაცია რამდენიმე კლუბში გავგზავნე და ბორისოვის ბატეს ხელმძღვანელობა დაინტერესდა. მინდა, ბელარუსიაში მაინც წავიდეს მომზადებული და არა ისეთ მდგომარეობაში, „ოლიმპში“ რომ ითამაშა“*, - ამბობს წერეთელი.

**მერაბ მამულაშვილი**

U 21

შეკრების შემდეგ

# ოთარ გაბელია ნაკლის აღმოვაჩინეთ და საინტერესო ფეხბურთელების



**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეორე შემადგენლობა 23-30 იანვარს ანთალიაში იმყოფებოდა. გუნდის მთავარი მწვრთნელის, ოთარ გაბელიას მიზანი უახლოესი რეზერვის შერჩევა გახლდათ. ნაკრებმა ანთალიაში ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა, 26 იანვარს ვენის „რაპიდთან" ფრედ ეთამაშა (1:1), 29 იანვარს შვეიცარიულ „თუნთან" კი წააგო (0:1). თბილისში დაბრუნების შემდეგ ოთარ გაბელიას დავუკავშირდით და თურქულ შეკრებაზე ველაპარაკეთ.**

**- ბატონო ოთარ, საინტერესოა, შეკრება გუნდების მოსამზადებელ ეტაპს დაემთხვა, თანაც მეორე შემადგენლობა წაიყვანეთ - რა მიზანს ისახავდით?**

- საინტერესო ფეხბურთელების გასინჯვა გვსურდა. ერთკვირიან შეკრებაზე საკონტროლო შეხვედრები დავგეგმეთ, ყველა მოთამაშისთვის თავის გამოჩენის შანსი რომ მიგვეცა. ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ბირთვი გარკვეულია, მაგრამ კიდევ არიან საინტერესო ფეხბურთელები, იგივე 19-წლამდელთა გუნდში, რომელთა რეალური შესაძლებლობა არ ვიცოდი. ჩვენ ხომ არ ვიცით, როდის ვინ დაშავდება და ყვითელ-წითელი ბარათების გამო, ვინ დაგვაკლდება. ამიტომ, აჯობებს წინასწარ ვიცოდეთ, საჭიროების შემთხვევაში, ვისი იმედი გვქონდეს, თორემ, სიჩქარეში შემცვლელის მოძებნა რთულია. კიდევ ბევრი საინტერესო მოთამაშეა, მაგრამ ერთ შეკრებაზე ყველას ვერც წავიყვანდი.

**- ანთალიაში გაარკვიეთ, ვის შეიძლება დაეყრდნოთ?**

- საინტერესო ფეხბურთელები უდავოდ არიან, ეგაა, თითოეულ მათგანს შრომა მოუწევს.

**- მეკარეებით დავიწყოთ...**

- გიორგი ბახტაძე და თორნიკე ზარქუა თითქმის თანაბრად ვათამაშე. ზარქუა პატარა ბიჭია, სულ რაღაც 18 წლისაა და შეიძლება, მომავალ ციკლში ითამაშოს. განსაკუთრებული პრეტენზია არც ერთის მიმართ არ გამჩენია, მაგრამ ნაკრებში დასამკვიდრებლად ბევრი შრომა დასჭირდებათ. ისე, პერსპექტიული მეკარეები არიან.

**- „გაგრის" მარცხენა მცველი ბოლო მომენტში რატომ მიიწვიეთ?**

- უცხოეთიდან რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ჩამოვიდა, „გაგრამ" გაბედავა და ოქრიაშვილი ვერ დაგვითმო, რადგან ერთ დღეს უნდა გვეთამაშა, მაგრამ გაბუნია მაინც დაგვახმარეს. გაბუნია „რაპიდთან" კარგად გამოიყურებოდა, დავალებებს ურიგოდ არ ასრულებდა, მაგრამ „თუნთან" დაღლილობა დაეტყო. ზოგიერთი პირველად ვნახე, მაგალითად, ცენტრალური მცველი ზურა კილაძე, რომელიც ფინეთში გამოდის. სერიოული ბიჭია - ფეხბურთელი მხოლოდ მოედნით არ ფასდება, პროფესიულად იქცეოდა და ცხოვრობდა. საინტერესო ბიჭია გიორგი ხატიაშვილი, მას ადრეც ვიწვევდი, მაგრამ უნდა დაიხვეწოს. ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა რეხვიაშვილმაც.

**- რაც შეეხებათ ნახევარმცველებს?**

- თორნიკე თარხნიშვილსა და ნიკა მაისურაძეს ისედაც ვიცნობდი და ურიგოდ არ გამოიუყურებოდნენ. ლუკა გუგუჩიაც საინტერესო ფეხბურთელია, ისევე როგორც ჩისამბა ლუნგუ.

**- ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით დაგეკითხებით - აფრიკელმა ფეხბურთელმა საქართველოს სახელით პირველად ითამაშა. ახალგაზრდულის ძირითადში მოხვდება?**

- ჩისამბა ლუნგუ საქართველოს ჩემპიონატში მომეწონა, მაგრამ ახალგაზრდულში დამკვიდრება ჯერ გაუჭირდება - ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ვერ სჯობნის. თუმცა, ტექნიკური ბიჭია, ბურთს მშვენივრად ფლობს და მომატება შეუძლია.

**- თავდამსხმელებზე რას გვეტყოდით?**

- ილია ბუზალაძისგან მეტს ველოდი. ირაკლი ეხვაია გოლიც გაიტანა და მეორე შეხვედრაში მონდმებული იყო. ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, ეგაა, გამოცდილებამ და ოსტატობამ დაალალატა, მაგრამ თუკი ბევრი იშრომა, გამოცდილებასაც შეიძენს და ოსტატობასაც დახვეწს. პოტენციალი აშკარად აქვს, მონდომებული და ბრძოლისუნარიანია. „რაპიდთან" გოლი მისი დამსახურებაა, იმდენი იმოძრავა და იბრძოლა, მცველებს შეცდომა დააშვებინა და გაიტანა კიდეც. ამ ბავშვში ეს თვისება მომეწონა, სულ იბრძვის და თავს არ ზოგავს.

**- ასეთ შეკრებებსა და შეხვედრებს მომავალშიც გეგმავთ?**

- თუ საშუალება იქნება, ძალიან წავვადგება. არაა გამორიცხული, 3 მარტს ესტონეთის მასპინძლობამდე კიდევ ერთი შეხვედრა გავმართოთ. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს და პასუხი მალე გვეცოდინება. ასეთ შემთხვევაში, 18 თებერვალს გასვლაზე ვითამაშებთ. გამორიცხულია ყენიასა და ანანიძის დახმარება, ყველა დანარჩენს კი, ალბათ, მოვიწვევთ. საერთოდ, თურქეთის შეკრება იმით იყო სასარგებლო, ევროპული კლუბების ფონზე, ფეხბურთელებს ნაკლი უფრო ცხადად რომ დაენახათ - მათ დონეზე სათამაშოდ, ბევრად მეტი ათლეტურობა, ტაქტიკური განათლება და სათამაშო დისციპლინაა საჭირო. შვეიცარიელებმა იცოდნენ, რომ პირველი შეხვედრა ვენის „რაპიდთან" ჩავატარეთ და ავსტრიელებს ჰკითხეს, რა დონის გუნდიაო? ბავშვები არიანო. ჩვენებმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვეს. ჯანით ორივეს ჩამოვრჩებოდით. მართალია, ორთაბრძოლებში ჩვენი ბავშვები არ ეპუებოდნენ, ავსტრიელებს არც არაფერი დაუთმეს და ნორმალურადაც გამოიყურებოდნენ, მაგრამ საერთო ჯამში, ბევრი ნაკლი დავინახე. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი შვეიცარიულ „თუნთან" იყო - სამდღიან ინტერვალში ჩვენებმა ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს და მოედანზე აშაკარად გადაღლილები გავიდნენ. თანაც, მომზადების ის დონე, რაც ჩვენს ჩემპიონატში ჰყოფნით, ევროპელებთან თამაშისას აშკარად არასაკმარისია. შეკრების შემდეგ ბიჭებს ვურჩიე, კარგად გაითვალისწინონ, როგორ გვეთამაშებოდნენ ევროპელები, ბურთის თავისუფლად მიღებისა და დამუშავების უფლებას ვინ მოგცემს? ანუ, მცველებმა ასეთი მჭიდრო თამაში უნდა ისწავლონ, შემტევებმა კი - დროული გახსნა, ბურთის სწრაფი განაწილება და გადაწოდება.

**- ჩრდილოეთ კორეის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა რატომ არ ისურვეთ?**

- მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდი მაინც სულ სხვა რანგია და ბიჭები მოვარიდე. უარი ვთქვი თურქეთის მესამე დივიზიონის გუნდთან სპარინგზეც, ასე ჩვენი ბიჭები საკუთარ ნაკლს ვერ დაინახავდნენ. ცნობილი ევროპული კლუბები კი მისაღები ვარიანტი იყო. ახლა ამ ბიჭებმა იციან, შიშით არც ერთ მეტოქესთან გასვლა არ შეიძლება, თუნდაც ის მადრიდის „რეალი" იყოს. ყველასთან ბოლო წუთამდე უნდა იბრძოლონ და შედეგსაც მიაღწევენ. ბევრი ევროპელი ფეხბურთელი ცარიელი რეკლამაა. კარგად თუ იშრომებენ, ჩვენი ბავშვები მათზე ბევრად უკეთეს ფეხბურთს ითამაშებენ. ნაკლთან ერთად, ვფიქრობ, თურქეთში საკუთარი ძალებისადმი რწმენაც შეიძინეს - ამ შეკრების მთავარი მიღწევა ეს გახლდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

## ჭანტურია კატალონიის ნაკრებში

**გიორგი ჭანტურია** კატალონიის 18-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ამ მიწვევამ ძალიან გაახარა. მას გუშინ დავუკავშირდით და მცირე კომენტარი ვთხოვეთ.

*„გუნდში „ბარსელონადან" მხოლოდ ხუთი ფეხბურთელი მიგვიწვიეს, ხუთი „ესპანიოლიდან", ამდენივე „ბადალონადან" და თითო კაციც კიდევ რამდენიმე გუნდიდან. მე ის მახარებს, რომ ეს არის არა 17-წლამდელების, არამედ, ერთი წლით უფროსების, 18-წლამდელების ნაკრებია. კატალონიის ნაკრები დიდი ხანია არსებობს და თვეში ერთხელ საკონტროლო შეხვედრას ოთხშაბათობით ატარებს. ვინც კატალონიურ კლუბებში თავს გამოიჩენს, ნაკრებში იწვევენ და საერთაშორისო ტურნირებზე ათამაშებენ. მალე ერთერთი ასეთი ტურნირი გაიმართება, სადაც იტალიის, ინგლისის და სხვა საფეხბურთო ქვეყნების გუნდები არიან მიწვეულები",* - გვითხრა ჭანტურიამ.

რაც შეეხება პეტერბურგის „ზენიტის" დაინტერესებას, გიორგი ამ თემას აქტუალურად აღარ მიიჩნევს: *„ამ წინადადებაზე არ მიფიქრია. ახლა ჩემი მთავარი საფიქრალი ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებში წარმატებული გამოსვლაა. ვრჩები „ბარსელონაში", რადგან კატალონიაში თავს კარგად ვგრძნობ - ეს მსოფლიოს საუკეთესო კლუბია და მისი შეცვლა არ მსურს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ათეული წილისყრამდე

დავით ცაბაძის პროექტი

## ელგუჯა გუგუშვილი: მეორეზე თუ არა, მესამეზე მაინც გავალთ

ჩვენი რუბრიკის მომდევნო სტუმარი გამოცდილი სპეციალისტი ელგუჯა გუგუშვილია. ის გასული საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ფეხბურთში საქმიანობს, კლუბების შემდეგ, რეგიონთა ნაკრების თავკაცად მუშაობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი რესპონდენტი, ეროვნულ ნაკრების მიმართ, ამჯერად უკვე საკმაოდ იმედიანადაა განწყობილი და საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზსაც აკეთებს.

მაშ ასე, ვნახოთ თუ რა აზრისაა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი ელგუჯა გუგუშვილი.

**1. ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული გუნდის ხელმძღვანელთა შეცვლის შემდეგ, რამდენად იმედიანად ხართ განწყობილი ნაკრების მიმართ?**

**2. ექვსგუნდიან ჯგუფში ჯობია მოვხვდეთ, თუ ხუთგუნდიანში?**

**3. როგორია თქვენი პროგნოზი - ვის გვარგუნებს წილისყრა მეტოქეებად (თითო კალათიდან აირჩიეთ თითო გუნდი)?**

**I კალათა** - ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუსეთი.

**II კალათა** - საბერძნეთი, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, სერბეთი, თურქეთი, დანია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

**III კალათა** - ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია, ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა.

**IV კალათა** - სლოვენია, ლატვია, უნგრეთი, ლიტვა, ბელარუსი, ბელგია, უელსი, მაკედონია, კვიპროსი.

**VI კალათა** - აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, მალტა, ფარერები, ანდორა, სან მარინო.

**4. თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან საქართველოს ნაკრებისთვის სასურველი მეტოქეები და რატომ?**

**5. როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე გავა საქართველო ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში?**

1. როცა ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა იცვლება, ყოველთვის ჩნდება იმედი და კარგის მოლოდინი. ამ მხრივ მეც არ ვარ გამონაკლისი. უფრო მეტიც, უბრალოდ იმედიანად კი არა, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. უფრო მეტიც, ფიფას რეიტინგში საქართველო ასეულს მიღმაა და ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთის ავტორიტეტი და საერთო მაჩვენებელი, რეიტინგში დაკავებულ ადგილს არ შეესაბამება. ასე რომ, ეროვნული ნაკრების მომავალს იმედის თვალით ვუყურებ და საერთოდ, იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

2. ჩემის აზრით, უმჯობესია 6 გუნდიან ჯგუფში მოხვდეთ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს მეტი თამაში ექნება, მეტი ქულის მოგროვების შანსი გვიჩნდება და მეტ სანახაობასაც ვნახავთ.

3. რაც შეეხება პროგნოზს: ჩემი ვარაუდით ჩვენს ჯგუფში მოხვდებიან **საფრანგეთი, შვეიცარია, ჩრ. ირლანდია, სლოვენია, აზერბაიჯანი.**

4. როცა სასურველი მეტოქის არჩევაზეა საქმე, ვფიქრობ ი ნაკრებები უფრო გვაწყობს ჯგუფის მოქიაალმდეგეებად, რომლებიც ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევრებთან, ჩვენს გუნდებს ყოველთვის უჭირდათ და უჭირთ თამაში...

კალათების მიხედვით თუ მივყვებით, სასურველი მეტოქე იქნება **ესპანეთი**. ესპანელები ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრები არიან და ყოველთვის საინტერესო თამაშს აჩვენებენ. ესპანეთს ჩვენი ეროვნული გუნდი აქამდე არასდროს შეხვედრია და მაინტერესებს მათთან როგორ წაგვივა თამაში.

მეორე კალათიდან **საბერძნეთს** ვისურვებდი. ბერძნებსაც ტექნიკური გუნდი ჰყავთ და ამ ქვეყნის ნაკრებს თუ დავაკვირდებით, წინა წლებთან შედარებით, მათი რეგრესი საგრძნობია.

მომდევნო კალათაში, სხვებთან შედარებით სუსტი **ფინეთი** მიმაჩნია. ფინეთში იმ დონეზე არაა ფეხბურთი განვითარებული, როგორც ირლანდიაში, ნორვეგიაში, შოტლანდიაში, ბულგარეთში...

მეოთხე კალათიდან მაკედონიას ვისურვებდი მეტოქედ. ვფიქრობ, მეოთხე კალათიდან ყველაზე სუსტია.

ბოლო კალათიდან ანდორას დავასახელებდი. ესეც სისუსტის მიხედვით ავირჩიე.

5. თუ წილისწყაში გაგვიმართლა და ჩემ მიერ დასახელებული, სასურველი მეტოქეებიდან უმრავლესობა მაინც შეგვხვდა, მაშინ კარგ პოზიციას დავიკავებთ. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე თუ არა, მესამეზე მაინც გავა.

**დავით ცაბაძე**



ელგუჯა გუგუშვილი

ლეგიონის უქმეები



გიორგი ჭანტურია

# კობიმ უკვე გაამართლაო...

## ქართველებს ისევ იშვიათად ენდობიან

ლეგიონისმიმოხილვას **ლევან კობიაშვილის** თამაშით დავიწყებთ - ლევანმა მესამედ ითამაშა „ჰერტას" შემადგენლობაში, კვლავ დაცვის მარცხენა ფლანგზე და კვლავ 90 წუთი. ბერლინელებმა ისევ არ გაუშვეს გოლი, შინ „ბოხუმს" 0:0 ეთამაშნენ. წლეულს „ჰერტამ" სამ თამაშში 5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ჯერ მყარად არის ბოლო ადგილზე (11 ქულა) და უახლოეს გუნდს 5 ქულით ჩამორჩება. „შპორტალმა" ჩვენი თანამემამულის თამაშს 3,5-ბალიანი შეფასება მისცა:

*„მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგი შენაძენია. ამ თამაშში მთელი ყურადღება დაცვით ფუნქციებზე ჰქონდა გადატანილი".*

ტრავმირებული **ლევან ყენიას** „შალკემ" 2:0 მოუგო „ჰოფენჰაიმს". ქართველის გუნდი 41 ქულით მე-3 ადგილზეა. **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი" „ლევერკუზენს" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. ლიდერთან მატჩის განაცხადში შემტევი ნახევარმცველი ვერ მოხვდა. „ფრაიბურგი" 18 ქულით მე-15 ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში გადაიდო ჩვენთვის საინტერესო მატჩი, „კარლსრუეს" ტრავმამორჩენილი **ალექსანდრე იაშვილი მათე ღვინიანიძის** „მიუნხენთან" უბრუნდებოდა, მაგრამ ტრიბუნები იმდენად მოყინული იყო სტადიონზე, რომ გულშემატკივართა უსაფრთხოებისთვის თამაში არ შედგა. „მიუნხენი" 26 ქულით მეათეა, „კარლსრუე" 24 ქულით - მე-12. სამაგიეროდ, შედგა **ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგისა" და „არმინიის" დაპირისპირება (3:1), მაგრამ რად გინდა - დიდი ხანია ქართველი მცველი ვერ ხვდება გუნდის განაცხადში. „აუგსბურგი" 37 ქულით მე-3 ადგილზეა, რომელიც ბუნდესლიგაში გადათამაშების უფლებას იძლევა.

ფრანგულ „ლე მანს" **დიდიე ოვონო** დაუბრუნდა და **გიორგი მაკარიძემ** სათადარიგოთა სკამზეც დაკარგა ადგილი. 19 წლის ქართველის ადგილი **რუდოლფ რომშმა** დაიკავა. „ლე მანი" „ტულუზთან" 1:3 დამარცხდა. განაცხადში არც **ამირან სანაია** იყო, რომელმაც ზამთრის პაუზა ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშში გალია, მაგრამ ამ უკანასკნელს რეზერვებში მაინც აქვს სათამაშო პრაქტიკა, ბოლო ტურში მან გოლიც კი გაიტანა „რედ სტართან" 1:1 დასრულებულ მატჩში.

ინგლისური ჩემპიონშიპის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „რედინგმა" „ბარნსლის" 1:0 მოუგო, მაგრამ ჯერ ვერ დააღწია თავი გასავარდნ ზონას - „როიალსი" 26 ქულით 22-ე ადგილზეა. თამაშის წინ „სპორტინგ ლაიფმა" სპეციალური სტატიაც კი მიუძღვნა **ზურაბ ხიზანიშვილის** შესაძლო დებიუტს „რედინგში", მაგრამ ჩვენებური ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა. მოკლედ, კლუბების ცვლით, ზურამ უთამაშებლობის პრობლემა ვერ აღმოფხვრა.

„ბარსელონას" ჟუვენილ B-ში მოთამაშე **გიორგი ჭანტურიას** გუნდმა მე-19 ტურის მატჩში „ეუროპასთან" 1:1 ითამაშა. გიომ, როგორს მას ესპანელები უწოდებენ, 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლი არ გაუტანია.

ბერძნულ სუპერლიგაში „ერგოტელისი" „პანტრაკიკოსს" ესტუმრა და მოულოდნელად 2:3 დამარცხდა. ჩვენთვის დიდი მოულოდნელობაა ისიც, რომ **გიორგი შაშიაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა. „ერგოტელისი" მე-8 ადგილზეა.

ლიგატ ჰაალის ერთპიროვნული ლიდერი ჰაიფას „მაქაბი" 52 ქულით დღეს ეწვევა ფეთაჰ თიკვას და იქაურ „მაქაბის" გაეჯიბრება. თუკი **ლადო დვალიშვილი** კიდევ ერთი დუბლით გაგვახარებს, ის თანაგუნდელ **შლომი არბეიტმანს** დაეწევა ისრაელის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში. ქართველმა ფორვარდმა 13 გოლი გაიტანა. გუშინ **დავით დილმელაშვილის** „ჰაპოელმა" რაანანაში 1:1 ითამაშა ნაზარეთის „მაქაბისთან". **ლევან ხმალაძის** „ჰაპოელი" (ჰაიფა) შინ „ბნეი სახნინთან" დამარცხდა - 0:1 მასპინძლებმა 36-ე წუთზე გაუშვეს გოლი, ხმალაძე კი შესვენებისას შეცვალეს. ჰაიფელები 21 ქულით მე-9 ადგილზე არიან. ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელში" კი უცნაური, ერთვიანი კონტრაქტი ამოეწურა **რევაზ გოცირიძეს**, რომელიც ლეუმითლიგის „აჰვა არაბეში" გადავიდა. მეორე ადგილზე მყოფ თელ ავივის „ჰაპოელში" ვერაფრით დაიმკვიდრა თავი ძირითად შემადგენლობაში **ზურაბ მენთეშაშვილმა**. ნეთანიას „მაქაბისთან" 3:3 დასრულებულ მატჩში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა სათადარიგოთა სკამზე გაატარა 90 წუთი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აფრიკის ერთა თასი 2010

# ჰეგემონია უმუნდიალოდ



გუშინ ანგოლაში დასრულებული აფრიკის ერთა თასის გათამაშება ეგვიპტის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. „ფარაონებმა" ზედიზედ მესამე კონტინენტური ტიტული უდავოდ დამსახურებულად მოიპოვეს. მათ ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს, მეტოქეებს კი ფლეი ოფში განსაკუთრებით დამაჯერებლად გაუსწორდნენ.

ფინალური მატჩი სანახაობრივი არ ყოფილა, სახიფათო მომენტებიც მინიმალურად იქმნებოდა. ეგვიპტელები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ განელებიც ნორმალურად გამოიყურებოდნენ. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდებოდა, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ეგვიპტემ სწრაფი შეტევა განავითარა, ეფექტურად გათამაშებული „კედელი" შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესული **ნაგი გედოს** გოლით დასრულდა.

დარჩენილ დროში განელებმა მთელი ძალებით შეუტიეს, მაგრამ ვერას გახდნენ და აფრიკის თასი ეგვიპტელებმა კიდევ ორი წლით შეინარჩუნეს. მართლაც დიდებული მიღწევაა. ერთი ეგაა, ეგვიპტე ვერაფრით ახერხებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას, თორემ კონტინენტზე ბადალი არ ჰყავს. ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე ერთა თასი ამ გუნდმა ადგილობრივი სპეციალისტის, **ჰასან შეჰათას** ხელმძღვანელობით მოიგო.

ჩემპიონები და პრიზიორები ანგოლაში მყოფმა ფიფას პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის შეფ **ისა ჰაიატუსთან** ერთად დააჯილდოვა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ეგვიპტის ნაკრების სახელოვანი კაპიტანი **აჰმედ ჰასანი** დაასახელეს, რომლისთვისაც გუშინდელი ფინალი 170-ე (!) სანაკრებო მატჩი იყო.

ნახევარფინალში მოსისხლედ ქცეულ ეგვიპტესთან მარცხით გატეხილმა და სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის გარეშე მოთამაშე ალჟირმა მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ვერაფერი გააწყო ნიგერიასთან, რომელმაც ასევე გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა.

### ფინალი

**ეგვიპტე-განა 1:0**

ეგვიპტე: ელ ჰადარი - ალ მუჰამადი, გომაა, საიდი, ფათჰი (90. სალემი), მოავადი (57. აბდელ შაფი) - გალი, აბდ რაბუ, ჰასანი - მატეები (70. ნაგი გედო), ზიდანი.

განა: კინგსტონი - შარპეი, ადი, ფორსა, ინკრომი - ასამოა, ანანი, ბადუ, აიევი - ოპოკუ (89. ე. ადო), გიანი (87. ადიია).

გოლი: 1:0 ნაგი გედო (85)

### მატჩი III ადგილისთვის

**ნიგერია-ალჟირი 1:0**

ნიგერია: ენიეამა - ტაივო, შიიტუ, ონიეკაჩი, ოდია - ობასი (81. ოდემვინჯი), კაიტა, ოლოფინიანა, ობინა - კანუ (78. მიკელი), უჩე (65. მარტინსი).

ალჟირი: ზემანუში - რაჰო, ბუგერა, ზაუი, ბაბუში - ბუაზა (59. აბდუნი), მანსური, იებდა, ზიანი - მეგნი (59. ზიაია), გეზალი (85. საიფი).

გოლი: 1:0 ობინა (55)

**ლევან ჯანეზაშვილი**

## საფრანგეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბორდო-ბულონი | 0:0 |
| ლე მანი-ტულუზა | 1:3 |
| ლილი-ლანსი | 1:0 |
| მონაკო-ნიცა | 3:2 |
| ნანსი-ლორიანი | 1:0 |
| რენი-გრენობლი | 4:0 |
| მონპელიე-მარსელი | 2:0 |
| ოსერი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| ვალანსი-სოშო | 1:1 |
| ლიონი-პსჟ | 2:1 |

### II დივიზიონი

XXII ტური

სტრასბური-აიაჩო 2:0; კაენი-შატორუ 1:1; ნიმი-დიჟონი 2:1; ტური-ლავალი 0:3; ანჟერსი-ჰავრი 0:0; ბასტია-მეცი 1:0; ისტრი-ნანტი 1:0; კლერმონი-სედანი 0:3; ვანი-გინგამი 2:2; ბრესტი-არლი დღეს;

## ჰოლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| ვილემი-ვაალვიკი | 2:1 |
| ნიმეგენი-სპარტა | 1:0 |
| ალკმაარი-გრონინგენი | 0:1 |
| ბრედა-ვენლო | 2:0 |
| დენ ჰააგი-ჰერენვეენი | 2:1 |
| ფეიენოორდი-აიაქსი | 1:1 |
| ტვენტე-როდა | 2:0 |
| უტრეხტი-ჰერაკლესი | 0:0 |
| ვიტესი-ეინდჰოვენი | 0:0 |

### II დივიზიონი

XXV ტური

აპელდოორნი-ემენი გადაიდო; დორდრეჰტი-გრააფსხაპი გადაიდო; ეინდჰოვენი II-კამბური 3:1; ომნივორლდი-ჰელმონდი 1:0; ვოლენდამი-ფორტუნა 0:0; მაასტრიხტი-ცვოლე 0:2; როსენდაალი-ექსელსიორი 0:2; ვეენდამი-ტოპ ოსი გადაიდო; იგლზი-დენ ბოში გადაიდო; ჰაარლემი-ტელსტარი გადაიდო.

## ბელგია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 0:5 |
| ბრიუგე-მუსკრონი | 2:1 |
| მეხელენი-სერკლი | 1:2 |
| გენტი-ვარეგემი | 0:2 |
| სტანდარდი-კორტრეიკი | 3:1 |
| შარლერუა-ლოკერენი | გადაიდო |
| რუზელარე-გენკი | გადაიდო |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ბერგენი-ლიერსი 1:1; ბევერენი-ოსტენდე 4:1; ბრიუსელი-სტანდარდი (ვ) 2:0; ლიეჟი-დენდერი გადაიდო; ლომელი-ტუბეკე 2:1; ტურნე-ანტვერპენი 1:1; ტურნჰაუტი-ბორინაჟი 0:1 შეწყდა; რონსე-ვაასლანდი 3:1; ტინენი-ეუპენი 0:5.

## პორტუგალია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბრაგა-სპორტინგი | 1:0 |
| ნავალი-ბელენენსეში | 1:0 |
| ლეირია-ოლანენსე | 2:0 |
| ნასიონალი-პორტუ | 0:4 |
| ბენფიკა-გიმარაეში | 3:1 |
| სეტუბალი-რიუ ავე | 2:2 |
| ფერეირა-აკადემიკა | 2:1 |
| ლეიქსოეში-მარიტიმუ | დღეს |

### II დივიზიონი

XVII ტური

ბეირა მარი-პორტიმონენსე 2:0; ეშტორილი-ოლივეირენსე 0:1; ვარზიმი-ფეირენსე 2:1; შავეში-ავეში 0:1; ფრეამუნდე-კოვილია 3:2; ჟილ ვისენტე-კარეგადო 0:1; სანტა კლარა-პენაფიელი 0:1; ტროფენსე-ფატიმა 1:0.

## შოტლანდია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-სელტიკი | 0:1 |
| აბერდინი-მოზერველი | 0:3 |
| ჰიბერნიანი-სტ. მირენი | 2:1 |
| კილმარნოკი-დანდი იუნ | 4:4 |
| რეინჯერსი-ფალკირკი | 3:0 |
| სტ. ჯონსტონი-ჰარტსი | 1:0 |

### I დივიზიონი

XXIII ტური

ეირი-რეითი გადაიდო; დანფერმლაინი-ქუინი გადაიდო; დანდი-როსი 0:1; მორტონი-ეირდრი გადაიდო; ინვერნესი-პარტიკი 2:1.

### II დივიზიონი

XXIII ტური

ალოა-არბროა 1:0; ბრეჩინი-სტენჰაუზმური 2:2; კოუდენბითი-სტირლინგი გადაიდო; ისტ ფაიფი-კლაიდი გადაიდო; პიტერჰედი-დამბარტონი გადაიდო.

### III დივიზიონი

XXIII ტური

ანენი-ალბიონი გადაიდო; ბირუიკი-მონროუზი 0:2; ისტ სტირლინგი-სტრანრარი 2:0; ფორფარი-ელჯინი გადაიდო; ლივინგსტონი-ქუინზ პარკი გადაიდო.

## კვიპროსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ომონია-აპოლონი | 2:1 |
| აეპ-ანორთოსისი | 0:2 |
| არისი-ერმისი | 2:2 |
| დოქსა-აეკა | 1:0 |
| აელ-აპოპ | 2:0 |
| ეთნიკოსი-აპოელ | გადაიდო |
| ნეა სალამისი-ენოსისი | დღეს |

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი-კავალა | 1:0 |
| იანინა-ლარისა | 2:0 |
| პაოკ-ატრომიტოსი | 1:0 |
| ლევადია-ასტერასი | 1:0 |
| პანთრაკიკოსი-ერგოტელისი | 3:2 |
| ქსანთი-არისი | 2:1 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 1:1 |

### II დივიზიონი

XIX ტური

როდოსი-ანაგენისი 1:0; აგროტიკოსი-ოფი 2:0; კალამატა-ეთნიკოსი (ა) 1:3; ოლიმპიაკოსი (ვ)-პანაიტოლიკოსი 3:1; პანსერაიკოსი-ილისიაკოსი 0:1; პიერიკოსი-ილიუპოლი 0:0; ტრასივულოსი-ეთნიკოსი (პ) 2:1; დოხა-დიაგორასი დღეს; იონიკოსი-კერკირა დღეს.

## თურქეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ანტალია-ბეშიქთაში | 0:1 |
| ბუიუქშეჰირი-ქასიმფაშა | 4:2 |
| დიარბაქირი-ტრაბზონი | 1:2 |
| გენჩლერი-ანკარა | 3:0 |
| ბურსა-ესქიშეჰირი | 3:1 |
| გაზიანთეპი-ქაისერი | 0:1 |
| მანისა-ანკარაგიუჯუ | 0:0 |
| სივასი-ფენერბახჩე | 1:5 |
| დენიზლი-გალათასარაი | 1:2 |

### II დივიზიონი

XX ტური

რიზე-ადანა 0:0; ჰაჩეთეფე-ბუკა 2:2; ქარსიაქა-გირეშუნი 0:1; ქართალი-ერჩიესი 0:2; ქოჯაელი-ბოლუ 1:2; ქონია-დარდანელი 2:1; მერსინი-სამსუნი 1:2; ორდუ-ბბ გაზიანთეფი 2:1; ქარაბუქი-ალთაი დღეს.

## უელსი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ნითი-ლეფნი | 1:1 |
| ნიუთაუნი-კარმარტენი | 0:0 |
| უელშპული-ჰევერფორდვესტი | 1:3 |

## ისრაელი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ფ-თ) | 1:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ა)-მაკაბი (თ-ა) | 2:3 |
| ჰაპოელი (ა)-ბნეი შახნინი | 0:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-აშდოდი | 1:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | 3:3 |
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (ა-ნ) | 1:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (პ) | დღეს |

## არგენტინა

### კლაუსურა

I ტური

| | |
|---|---|
| გოდოი-ხიმნასია (ლ-პ) | 1:0 |
| ესტუდიანტესი-არსენალი | 3:0 |
| ტიგრე-ჩაკარიტა | 0:2 |
| ველესი-კოლონი | 1:1 |
| რასინგი-როსარიო | 3:0 |
| ატლეტიკო-სან ლორენსო | 0:1 |
| რივერ პლეიტი-ბანფილდი | 0:1 |
| ლანუსი-ურაკანი | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ინდეპენდიენტე | გვ. დასრულდა |
| ა. ხუნიორსი-ბოკა | გვ. დასრულდა |

## ჩილე

II ტური

| | |
|---|---|
| სანტიაგო-უაჩიპატო | 0:0 |
| უნ. კონსეპსიონი-სან ფელიპე | 0:1 |
| კობრესალი-ს. მორნინგი | 3:0 |
| სან ლუისი-ო'ჰიგინსი | 1:2 |
| უნ. კატოლიკა-პალესტინო | 2:1 |
| ნუბლენსე-ევერტონი | 0:2 |
| ლა სერენა-უნ. ჩილე | 2:4 |
| უნ. ესპანიოლა-აუდაქსი | 2:2 |
| კოლო კოლო-კობრელ | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

II ტური

| | |
|---|---|
| ტაკუარემბო-ნასიონალი | 1:1 |
| სერიტო-სერო ლარგო | 1:1 |
| რამპლა-მონტევიდეო | 2:1 |
| სერო-პენიაროლი | 1:2 |
| რივერ პლეიტი-სენტრალი | 3:3 |
| ატენასი-ლივერპული | 1:2 |
| დეფენსორი-დანუბიო | 0:1 |
| რასინგი-ფენიქსი | გადაიდო |

## მექსიკა

### კლაუსურა

III ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ტიგრესი | 2:2 |
| მონტერეი-კრუს ასული | 2:0 |
| ჩივასი-ტეკოსი | 3:2 |
| პაჩუკა-ატლანტე | 5:1 |
| სან ლუისი-მორელია | 0:2 |
| პუებლა-კერეტარო | 1:2 |
| პუმასი-ტოლუკა | 0:0 |
| ამერიკა-ინდიოსი | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-ატლასი | გვ. დასრულდა |

## აფრიკის თასი

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ნიგერია-ალჟირი | 1:0 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| ეგვიპტე-განა | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯონ ტერის გააქვს გამარჯვების გოლი ბარნლის კარში

# ...ჩელსი კი ლიდერად დარჩა

ბარნლიში თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე „ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** გამარჯვების გოლი შეაგდო და „ლურჯებს" პრემიერლიგის ლიდერობა შეუნარჩუნა. ეს გოლი დასავლეთლონდონელთა კაპიტნისთვის კიდევ ერთი მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი - ამ უქმეებზე, უფრო სწორად კი უშუალოდ თამაშის დილას, ბრიტანულ პრესაში სკანდალი ატყდა: გაირკვა, რომ სამაგალითო „მისტერ ჩელსი", რომელიც იმავდროულად ინგლისის ნაკრების კაპიტანიც გახლავთ, ყოფილი თანაგუნდელის, **უეინ ბრიჯის** ფრანგ სატრფოს, გოგონას საცვალთა რეკლამიდან, **ვანესა პერონსელს** „ეპრანჭებოდა" და დიდი რისხვის შესამცირებლად ფეხბურთელს რაღაც განსაკუთრებული სჭირდებოდა. ვერ გეტყვით, არის თუ არა „ბარნლის" კარში გადამწყვეტი გოლის გატანა განსაკუთრებული, მაგრამ ტერიმ ეს მოახერხა.

შესაძლოა, ვინმეს გეუცნაუროთ, მაგრამ „ბარნლი" მიმდინარე ჩემპიონატში შინ მხოლოდ მეორედ დამარცხდა. მასპინძელთათვის ტერის გოლი განსაკუთრებით საწყენი იმიტომაც გახლდათ, რომ გარჯა წყალში ჩაეყარათ: მეორე ტაიმის დასაწყისში **სტივენ ფლეტჩერმა** ხომ **ნიკოლა ანელკას** მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლი გაქვითა. მატჩის შემდეგ **ფრენკ ლემპარდმა** განაცხადა:

*„ვიცოდით, რომ ძნელად მოსაგებ გუნდთან მოვდიოდით სათამაშოდ და ამიტომაც ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ეს გამარჯვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" შეხვედრის წინ იყო".*

ლემპარდის მსგავსი აზრი გამოთქვა „ჩელსის" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც**: *„ძალიან ძნელი შეხვედრა იყო. კმაყოფილი ვარ, რომ სახიფათო მომენტები შევქმენით და გავიმარჯვეთ. ვგრძნობ, რომ ეს სამი ქულა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. გამარჯვების გოლი კი ჩვენმა კაპიტანმა, ჯონ ტერიმ გაიტანა. ტერი ფანტასტიკური ფეხბურთელია. ის ყველა მატჩში შესანიშნავად თამაშობს. ამბობენ, თითქოს მას რაღაცის გამო კაპიტნობა უნდა ჩამოვართვათ. ამაზე მსჯელობაც კი არ ყოფილა. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოაქვთ ასეთი რამ".*

„ლივერპულმა" კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა იმ მიზნისკენ, რომელიც გუნდს ამ ეტაპზე აქვს, მაგრამ, ბევრის ვარაუდით, ვერ მიაღწევს - ოთხეულში შესვლაზე მოგახსენებთ. ამჯერად „წითლებმა" შინ, „ენფილდ როუდზე" „ბოლტონი" დაამარცხეს - 2:0. ანგარიში მასპინძელთა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა **დირკ კუიტმა** გახსნა. ეს მისი 49-ე გოლი გახლდათ წითელი მაისურით. საგოლე კომბინაცია **ალბერტ რიერამ** დაიწყო. რომელმაც მარცხენა ფრთაზე **ემილიანო ინსუას** გამოზომილი პასი მიაწოდა. არგენტინელმა მცველმა ბურთი შორეულ ძელთან ჩაკიდა, სადაც **ალბერტო აკვილანი** მაღლა ახტა და თავით ის მეკარის ბაქანში ჩააგდო, აქ კი კუიტმა იმარჯვა და **გერი კეჰილის** ფეხებს შორის გავლით პირდაპირ ბადეში შეძვრინა.

მასპინძელთა მეორე გოლი კი შეხვედრის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გავიდა: რიერას ჩაკიდებული ბურთი აკვილანის ნაცვლად შესულმა **ლუკასმა** თავით **ნგოგს** დაუგდო, რომელმაც ინსუას მიაწოდა, მან დაარტყა, სავარაუდოდ უზუსტოდ, თუმცა გზად ბურთი **კევინ დევისის** ფეხს შეეხო, მიმართულება იცვალა და ბოლტონელთა კარში შევარდა.

ახლა კი სტატისტიკას ჩავხედოთ: **რაფა ბენიტესის** გუნდი, როგორც ჩანს, კრიზისიდან ნელ-ნელა გამოდის, რადგან პრემიერლიგაში უკვე 6 თამაშია არ წაუგია და თან, ამ შეხვედრებში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში პირველად, „წითლებმა" ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს, ხოლო თუ მარტო საშინაო შეხვედრებს ვიანგარიშებთ, ზედიზედ ოთხი.

მატჩის შემდეგ ბენიტესმა განაცხადა: *„კმაყოფილი ვარ შედეგითა და იმ ფეხბურთით, რომელიც მეორე ნახევარში ვითამაშეთ, თუმცა პირველმა ტაიმმა ჩამაფიქრა. მეორე მხრივ კი ჩვენთვის მთავარი 3 ქულა იყო და ეს მიზანი მიღწეულია".*

„ბირმინგემმა" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უმასპინძლა - 1:1. ამ შედეგმა „სფურზის" მიზანს, მოხვდეს საგაისო ჩემპიონთა ლიგაში, აშკარად დარტყმა მიაყენა. არადა, **ჯერმეინ დეფომ** ანგარიში რომ გახსნა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს **ჰარი რედნაპის** ბედს ძაღლი აღარ დაყეფდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე **ლაიამ რიჯუელმა** ლონდონელთა მეკარე **ეურელიო გომესის** კარში საბედისწერო გოლი შეაგდო.

ქალაქ ბირმინგემის მეორე გუნდმა, „ასტონ ვილამ" კი გაიმარჯვა, თან სტუმრად, ლონდონში „ფულჰემთან". გამარჯვებულთაგან ორივე გოლი **გებრიელ აგბონლაჰორმა** გაიტანა. „ვილას" ფორვარდმა ორივე გოლი პირველი ტაიმის მიწურულს, ოთხწუთიან მონაკვეთში გაიტანა. ამრიგად, **როი ჰოჯსონის** გუნდმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო, რაც მცველების, **კრის სმოლინგისა** და **ბრედ ჰანგელანდის** ცუდმა თამაშმა განაპირობა. შეგახსენებთ, სმოლინგი ის კაცია, „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ მოსწონს და საგაისოდ 7 მილიონ ფუნტად დაიბევა კიდეც, მაგრამ რაც ინგლისის ჩემპიონთან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ახალგაზრდა კაცი შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

შეხვედრის შემდეგ „ვილას" თავკაცმა **მარტინ ონილმა** ძირითადად აგბონლაჰორი აქო და ადიდა: *„ცნობილი ამბავია, რომ თავდამსხმელებს ფორმის შესანარჩუნებლად და მზის ქვეშ ადგილის დასამკვიდრებლად გოლების გატანა სჭირდებათ. თუმცა, ისეც ხდება, რომ ფორვარდი ერთ შეხვედრაში სულ ვერ გაიტანს, მეორეში კი რამდენიმე გოლის შეყრას ახერხებს. გებრიელის დღევანდელი გოლები წინა ოთხშაბათს, „არსენალთან" კარგი თამაშის გაგრძელებაა. არადა, მოგეხსენებათ, ის შეხვედრა 0:0 დასრულდა".*

„ევერტონმა" უიგანში გაიმარჯვა. გამარჯვების ერთადერთი გოლი **ტიმ კეჰილმა** შეხვედრის მიწურულს, 84-ე წუთზე გაიტანა. ამ გამარჯვების შემდეგ „ევერტონის" დაუმარცხებელი სვლა უკვე ცხრამატჩიანია. კაჰილის გოლი კუთხურს მოჰყვა, კუთხურიდან კი უიგანელთა ყოფილმა მცველმა **ლეიტონ ბაინესმა** გაიტანა.

ოთხგოლიანი გამოდგა „ჰალ სიტისა" და „ვულვერჰემპტონის" შეხვედრა. „ვულვზს" გოლების შეყრა ძალიან უჭირს, თუმცა ამჯერად ეს ორჯერ მოახერხა. ცნობისათვის, მანამდე **მიკ მაკარტის** გუნდს ხუთ შეხვედრაში არ ჰქონდა გოლი გატანილი.

„ვესტ ჰემმა" კი ახალი მეპატრონეების **დევიდ სალივანისა** და **დევიდ გოლდის** ეპოქა ძველი პრობლემებითა და „ბლექბერნთან" 0:0-ით დაიწყო.

ახლა მთავარზე: „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ემირეითს სთედიუმზე" „არსენალს" პირწმინდად აჯობა და 3:1 მოუგო. შეგვიძლია უფრო დავაკონკრეტოთ: ლონდონში სერ **ალექს ფერგიუსონმა არსენ ვენგერი** ტაქტიკურ ომში დაამარცხა. ის, რომ „მეთოფეთა" ფრანგი თავკაცი შემოქმედებითი ფეხბურთის ტრფიალია, დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ, როდესაც ასეთი პრინციპული მატჩია, ალბათ მეტი „იტალიელობაა" საჭირო - გუშინ სერ ალექსი კოლეგასთან შედარებით განუზომლად პრაგმატიკოსი გამოდგა. „მანჩესტერ იუნაიტედმა", უპირველეს ყოვლისა, კარის უსაფრთხოებაზე იზრუნა (ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ ინგლისის ჩემპიონმა სამივე გოლი კონტრშეტევით გაიტანა) და თან ეს ზრუნვა საჯარიმოს მისადგომებიდან კი არა, მოედნის შუიდანვე დაიწყო. ხოლო არსენალმა... სამი გოლი გაუშვა. აქედან კიდევ ისე გამოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც: 33-ე წუთზე მანჩესტერელი **ნანის** ულამაზესი, ფინტებით მდიდარი გარღვევა ულამაზეს, ფინტებით მდიდარ გარღვევადვე დარჩებოდა, მასპინძლების მეკარე **მანუელ ალმუნიას** მისი ჩაკიდებული ბურთი საკუთარი ხელით რომ არ შეეგდო კარში. ამის შემდეგ, ნერვებმოშლილი ალმუნია აქა-იქ მთელი შეხვედრის განმავლობაში ცდებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ არსენალელთაგან ყველა ფეხბურთელი ერთნაირ ფორმაშიც არ იყო, **სესკ ფაბრეგასი** კი სხვების მაგივრადაც ვერ ითამაშებს.

რაც შეეხება „მანჩესტერ სიტისა" და „პორტსმუთის" დაპირისპირებას, აქ სალაპარაკო არც უნდა ყოფილიყო რამე: ისტლენდელებმა აუტსაიდერს რასაკვირველია მოუგეს - 2:0. ამ შეხვედრაში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ „სიტის" ზოგიერთ ფეხბურთელს ეცვა მაისური წარწერია „ბრიჯის გუნდი" - უეინ ბრიჯზეა ლაპარაკი. რა შუაშია? როგორც ადრე იტყოდნენ - იხილეთ წერილის დასაწყისი...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### გამოტოვებული მატჩები

2 თებერვალი. ჰალი-ჩელსი. 3 თებერვალი. ფულჰემი-პორტსმუთი.

### მომდევნო ტური

6 თებერვალი. ლევერპული-ევერტონი, ბოლტონი-ფულჰემი, ბარნლი-ვესტ ჰემი, ჰალი-მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი, სტოკი-ბლექბერნი, სანდერლენდი-უიგანი, ტოტენჰემი-ასტონ ვილა. 7 თებერვალი. ბირმინგემი-ვულვზი, ჩელსი-არსენალი.

### ლივერპული-ბოლტონი 2:0

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, კირიაკოსი, ინსუა, ჯერარდი, აკვილანი (66. ლუკასი), მასკერანო, რიერა (74. მაქსი როდრიგესი), კუიტი, ნგოგი (84. ბაბელი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ნაითი, რიკეტსი, ლი, მუამბა (78. ელმანდერი), მ. დევისი, ტეილორი (66. ვეისი), კოენი (60. გარდნერი), კ. დევისი.

**გოლები:** 1:0 კუიტი (37), 2:0 კ. დევისი (70-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 19-9 (4-1); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 43 413

### ბირმინგემი-ტოტენჰემი 1:1

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი (58. ფეჰეი), ფერგიუსონი, ბოიერი (65. მიჩელი), მაკფადენი, ბენიტესი, ჯერომი.

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, კინგი, ბეილი, ბენტლი (89. ჯენასი), ჰადლსტოუნი, პალასიოსი, მოდრიჩი, დეფო (78. კინი), კრაუჩი.

**გოლები:** 0:1 დეფო (69), 1:1 რიჯუელი (90)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-22 (3-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 238

### ფულჰემი-ასტონ ვილა 0:2

**ფულჰემი:** შვარცერი, პიუზი, სმოლინგი, ჰანგელანდი, კელი (74. რიისე), ს. დევისი (25. გერა), მერფი, ბეირდი, დაფი, ზამორა, ნივლენდი (65. ელმი).

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, კოლინზი, დანი, ლ. იანგი, ე. იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, ჰესკი, აგბონლაორი.

**გოლები:** 0:1 აგბონლაორი (40), 0:2 აგბონლაორი (44)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 19-13 (4-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 25 408

### ჰალი-ვულვზი 2:2

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, მოუიოკოლო, გარდნერი, დოუსონი, მენდი (80. გარსია), კეირნი, ბოატენგი, ჰანტი, ვენეგოორი, ალტიდორი (68. ზაკი).

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, უორდი (90. სტრიმენი), ფოული (90. გუედიურა), მანსიენი, ჯონსი, ჰენრი, ჯერვისი (90. ბია), დოილი.

**გოლები:** 1:0 ვენეგოორი (11), 1:1 გარდნერი (49-საკ. კარში), 2:1 ჰანტი (52-პენ), 2:2 ჯერვისი (67)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 9-13 (5-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 957

### ვესტ ჰემი-ბლექბერნი 0:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, სპექტორი, დიამანტი, ნობლი, ბეჰრამი (70. პარკერი), კოლისონი, კოვაჩი (58. კ. კოული), ნუბლი (78. სირსი)

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა, სამბა, ნილსენი, ჟივე, დიუფი (84. ჰოილეტი), ნზონზი, ემერტონი (58. ენდრიუსი), პედერსენი, ოლსონი, კალინიჩი (71. რობერტსი)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 9-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 33 093

### უიგანი-ევერტონი 0:1

**უიგანი:** სტოიკოვიჩი, ბოისი, კოლდუელი, ბრამბლი, ფიგეროა, ტომასი (88. გომესი), მაკარტი, დიამე (58. შარნერი), ნზოგბია, როდალეგა, სკოტლენდი (80. სინკლერი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, სენდეროსი, ჰეიტინგა, ბაინესი, დონოვანი (75. ანიჩებე), ფელაინი, ოსმანი, პიენაარი, ტ. კეჰილი, საა (90. ვუგანი).

**გოლი:** 0:1 ტ. კეჰილი (84)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 8-11 (2-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 16 869

### ბარნლი-ჩელსი 1:2

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კორტი, კალვენესი (35. ედგარი), ელიოტი, მაკდონალდი (60. პატერსონი), ბიკეი, იგლზი, ბლეიკი (72. ტომპსონი), ს. ფლეტჩერი.

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ალექსი, ტერი, ე. კოული (77. დეკო), მალუდა, ბალაკი, ლემპარდი, ჟირკოვი, ჯ. კოული (72. სტარიჯი), ანელკა.

**გოლები:** 0:1 ანელკა (27), 1:1 ს. ფლეტჩერი (50), 1:2 ტერი (82)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 7-18 (3-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 21 131

### მანჩესტ. სიტი-პორტსმუთი 2:0

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, საბალეტა (38. ონუოჰა), ტურე კომპანი (59. ბოიატა), გარიდო, დე იონგი, ბერი, აირლენდი, პეტროვი (73. ბელამი), ტევესი, ადებაიორი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ვანდენ ბორე, ბენ-ჰაიმი, უილსონი, ჰრეიდერსონი (27. ფინანი), ვებერი (77. პიკვიონი), ბასინასი, მალინსი (85. ოუსუ), ოჰარა, ბოატენგი, უტაკა.

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (40), 2:0 კომპანი (45)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 13-13 (5-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 44 015

### არსენალი-მანჩესტერ იუნ 1:3

**არსენალი:** ალმუნია, სანია (72. ბენდტნერი), გალასი, ვერმალენი, კლიში, დენილსონი (61. უოლკოტი), ბილონგი, ფაბრეგასი, როსიცკი (72. ებუ), არშავინი, ნასრი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რაფაელი, ბრაუნი, ევანსი, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი (71. გიგზი), პარკი (87. ვალენსია), ნანი (89. ბერბატოვი), რუნი.

**გოლები:** 0:1 ალმუნია (33-საკ. კარში), 0:2 რუნი (37), 0:3 პარკი (52), 1:3 ვერმალენი (80)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 20-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 60 091

**სანდერლენდი-სტოკი** *დღეს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 23 | 17 | 3 | 3 | 57-19 | 54 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 24 | 17 | 2 | 5 | 56-20 | 53 |
| 3. არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 60-28 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 45-25 | 42 |
| 5. ლივერპული | 24 | 12 | 5 | 7 | 42-26 | 41 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 22 | 11 | 8 | 3 | 44-30 | 41 |
| 7. ასტონ ვილა | 23 | 11 | 7 | 5 | 31-18 | 40 |
| 8. ბირმინგემი | 23 | 9 | 7 | 7 | 22-23 | 34 |
| 9. ევერტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 33-34 | 32 |
| 10. ბლექბერნი | 24 | 7 | 7 | 10 | 25-40 | 28 |
| 11. ფულჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 26-28 | 27 |
| 12. სტოკი | 21 | 6 | 7 | 8 | 19-26 | 25 |
| 13. სანდერლენდი | 22 | 6 | 5 | 11 | 30-40 | 23 |
| 14. უიგანი | 22 | 6 | 4 | 12 | 24-47 | 22 |
| 15. ვესტ ჰემი | 23 | 4 | 9 | 10 | 29-38 | 21 |
| 16. ბოლტონი | 22 | 5 | 6 | 11 | 29-44 | 21 |
| 17. ვულვზი | 23 | 5 | 6 | 12 | 19-40 | 21 |
| 18. ბარნლი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-46 | 20 |
| 19. ჰალი | 23 | 4 | 8 | 11 | 22-48 | 20 |
| 20. პორტსმუთი | 22 | 4 | 3 | 15 | 19-35 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 15 - დეფო (ტოტენჰემი); 14 - დროგბა (ჩელსი), ბენტი (სანდერლენდი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი), ტორესი (ლივერპული); 11 - საა (ევერტონი), ფაბრეგასი (არსენალი); 10 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი); 8 - ანელკა (ჩელსი), კუიტი (ლივერპული).

### ჩემპიონშიპი

### XXIX ტური

**დერბი-ნოტინგემი** 1:0
გოლი: 1:0 ჰალსი (78)

**კარდიფი-დონკასტერი** 2:1
გოლები: 1:0 ჩოპრა (9), 1:1 რობერტსი (65), 2:1 ბოთროიდი (90)

**ქოვენთრი-ბლექპული** 1:1
გოლები: 0:1 ბენანი (69), 1:1 ბაპტისტი (83-საკ. კარში)

**კრ. პალასი-პიტერბორო** 2:0
გოლები: 1:0 დენსი (28), 2:0 დენსი (65)

**მიდლსბრო-ბრისტოლი** 0:0

**პრესტონი-იფსვიჩი** 2:0
გოლები: კოლინზი (64), 2:0 უილბეკი (84)

**ქუინზ პარკი-სკანთორპი** 0:1
გოლი: 0:1 ტომპსონი (74)

**რედინგი-ბარნსლი** 1:0
გოლი: 1:0 ლონგი (29)

**შეფილდ უენ-პლიმუთი** 2:1
გოლები: 0:1 ფელონი (24), 1:1 ვერნი (24), 2:1 ვერნი (24)

**ვეტს ბრომვიჩი-შეფილდ იუნ** 3:1
გოლები: 1:0 დორანსი (19-პენ), 2:0 ბენდარი (30), 2:1 ჰენდერსონი (49-პენ), 3:1 თომასი (50)

**ლესტერი-ნიუკასლი** 0:0

**უოტფორდი-სუონსი** *გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 27 | 16 | 8 | 3 | 43-16 | 56 |
| 2. ნოტინგემი | 28 | 14 | 10 | 4 | 44-21 | 52 |
| 3. ვესტ ბრომვ. | 27 | 14 | 8 | 5 | 55-29 | 50 |
| 4. კარდიფი | 27 | 13 | 6 | 8 | 52-30 | 45 |
| 5. სუონსი | 27 | 10 | 12 | 5 | 23-20 | 42 |
| 6. შეფილდ იუნ. | 27 | 11 | 8 | 8 | 40-36 | 41 |
| 7. ბლექპული | 27 | 10 | 10 | 7 | 43-33 | 40 |
| 8. ლესტერი | 26 | 10 | 9 | 7 | 29-27 | 39 |
| 9. მიდლსბრო | 28 | 10 | 7 | 11 | 39-32 | 37 |
| 10. ბრისტოლი | 27 | 8 | 12 | 7 | 33-37 | 36 |
| 11. პრესტონი | 26 | 9 | 8 | 9 | 31-33 | 35 |
| 12. ქუინზ პარკი | 27 | 8 | 10 | 9 | 40-44 | 34 |
| 13. დონკასტერი | 26 | 8 | 9 | 9 | 33-34 | 33 |
| 14. ქოვენთრი | 28 | 9 | 8 | 11 | 32-40 | 33 |
| 15. ბარნსლი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-40 | 33 |
| 16. სკანთორპი | 27 | 9 | 6 | 12 | 33-46 | 33 |
| 17. უოტფორდი | 26 | 8 | 8 | 10 | 36-42 | 32 |
| 18. დერბი | 28 | 9 | 5 | 14 | 29-40 | 32 |
| 19. შეფილდ უენ. | 28 | 8 | 7 | 13 | 33-45 | 31 |
| 20. კრ. პალასი (-10) | 27 | 10 | 10 | 7 | 31-29 | 30 |
| 21. იფსვიჩი | 27 | 5 | 14 | 8 | 31-39 | 29 |
| 22. რედინგი | 27 | 6 | 8 | 13 | 28-44 | 26 |
| 23. პლიმუთი | 26 | 7 | 3 | 16 | 23-37 | 24 |
| 24. პიტერბორო | 28 | 3 | 9 | 16 | 32-51 | 18 |

**ბომბარდირები:** 15 - უიტინგემი (კარდიფი); 14 - ჩოპრა (კარდიფ სიტი); 11 - ადამი (ბლექპული), ფრიატი (ლესტერი), ემბროუზი (კრ. პალასი), ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ჯონსონი (მიდლსბრო); 10 - მეინარდი (ბრისტოლი), ერნშოუ (ნოტინგემი), ნოლანი (ნიუკასლი), შარპი (დონკასტერი).

### პირველი ლიგა

### XXIX ტური

ბრაიტონი-მილუოლი 0:1, ბრისტოლი-უაიკომბი 2:3, კერლისლი-ლეიტონი, ჩარლტონი-ტრანმერი 1:1, ჯილინგემი-უოლსოლი 0:0, ლიდსი-კოლჩესტერი 2:0, მილტონი-ექსეტერი 1:1, ნორვიჩი-ჰარტლპული 2:1, საუთჰემპტონი-სტოკპორტი 2:0, საუთენდი-სვინდონი 2:2, იეოვილი-ჰადერსფილდი 1:1, ოლდჰემი-ბტენტფორდი გადაიდო.

### მეორე ლიგა

### XXVIII ტური

ოლდერშოტი-გრიმსბი 1:1, ქრუ-ბურნმუთი 1:2, მორკეიმბი-ჩესტერფილდი 0:1, ნორთემპტონი-ბარტონი 1:1, ნოთს ქაუნთი-ბარნეტი 2:0, პორტ ვეილი-ჰერეფორდი 2:0, შრუზბერი-ეკრინგტონი 0:1, თორგუეი-ბრედფორდი 1:2.

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

### კონფერენცი

*გამოტოვებული მატჩები*

ელტრინჩემი-ვრექსჰემი 1:3, ფორესტ გრინი-მენსფილდი 1:4, ჰეიესი-რაშდენი 1:6, ლუტონი-ებსფლიტი 2:3, ჩესტერი-გრეისი და კეტერინგი-კროული გადაიდო.

ესპანეთი

ლა ლიგა. XX ტური

# არის თუ არა ეს რეალი?!

## ვალვერდე წყალქვეშა ნავიდან მოისროლეს

**მანუელ პელეგრინიმ** შეძლო ის, რაც ვერ მოახერხა მისმა 14 წინამორბედმა 1991 წლის მერე - გალისიაში „დეპორტივოს" აუღებელი ციხესიმაგრე „რიასორი" დალაშქრა. თანაც გამარჯვება იყო სრულიად დამსახურებული (რასაც ვერ ვიტყვით „ბარსელონას" ასტურიულ მოგებაზე) და „რეალის" უპირველესი ვარსკვლავის, **კრიშტიანო რონალდოს** გარეშე. მე-20 ტურმა ვერ დაარღვია „სამეფო კლუბის" 5-ქულიანი ჩამორჩენა ჩემპიონთან... არბიტრ **პარადას რომეროს** წყალობით.

„დეპორტივო" პრიმერაში პირველად თამაშობდა ბრაზილიელი **ფილიპე ლუისის** საშინელი ტრავმის შემდეგ. ალბათ, არც ის არის გასაკვირი, რომ მადრიდელებმა სწორედ მისი მარცხენა ფლანგი აიკლეს. სტუმართა რიგებში რონალდოს დისკვალიფიკაციამ მადრიდელთა კაპიტან **რაულს** სასტარტოში ადგილი მოუპოვა. წინდაწინვე ვიტყვით, რომ „რეალის" ლეგენდამ სუსტად ითამაშა, პირველ ტაიმში მან ორი საგოლე მომენტი გაანიავა, მეორეში კი შეცვალეს. ის დაცვაში დაბრუნებულ **მარსელოსთან** ერთად პელეგრინის ანსამბლის ყველაზე სუსტი რგოლი იყო.

პელეგრინიმ ნანვიმარ „რიასორზე" ძალზე მოწადინებული გუნდი გამოიყვანა, **ჩაბი ალონსოს** შორეულმა დარტყმამ „სამეფო კლუბის" იერიშებს დაუდო სათავე და უკვე მე-13 წუთზე ანგარიში გაიხსნა - **ალბერტო ლოპომ** უხეირო თავურით **ესტებან გრანეროს** გაატანინა. ბრწყინვალე სტარტს კიდევ ერთი-ორი საგოლე მომენტი მოჰყვა, მაშინ როცა „დეპორის" შეტევება საჯარიმოს ხაზთან სრულდებოდა, მაგრამ **ბენზემამ** ვერ გაიტანა, ხოლო მარსელოს ჩაწოდების შემდეგ უმეთვალყურეო რაულმა მეკარე **არანსუბიას** გაარტყა ბურთი. მე-40 წუთზე „სამეფო კლუბის" რეაქტიული კონტრშეტევა, **გუტის** გენიალური ქუსლურით და ბენზემას გოლით დასრულდა - 0:2.

მეორე ტაიმიც „ლოს მერენგესის" აქტიურობით დაიწყო, ახლა სცენაზე **კაკა** გამოჩნდა, რომელსაც ჯერ გოლკიპერმა აუღო, შემდეგ ბრაზილიელის დარტყმული ძელმა აისხლიტა. **მიგელ ანხელ ლოტინას** ცვლილებებმა შეძლო მოედანზე სიტუაციის შეცვლა, მაგრამ „რეალი" მაინც მყარად ფლობდა ინიციატივას. შეცვლაზე შემოსულ **რიკის** აქტიურობა მაინც დაუფასდა, მან ჯერ 5 მეტრიდან ააცილა თავური **კასილიასის** კარს, შემდეგ კი მადრიდელთა საჯარიმოში შეჭრილი **სერხიო რამოსმა** მოცელა. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე კინაღამ ყველაფერი თავიდან დაიწყო - თავად დაზარალებულმა კასილიასს პენალტის აღების შანსი არ დაუტოვა - 1:2. სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ **ალვარო არბელოას** ჩაწოდებულს ბენზემა დროულად გამოეხმაურა და დუბლი გაიფორმა - 1:3. აი, ასე მოიგო „რეალმა" „რიასორზე" 18-წლიანი შესვენების შემდეგ.

**მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო): *„მადრიდელებმა კარგად ითამაშეს, ამ რეალობას ვერსად გავექცევით. ვულოცავ მათ წარმატებას. ჩვენ ბევრი ვეცადეთ, მაგრამ პირველ ტაიმში ძალზე უკბილოდ ვუტიეთ. მეორეში მეტოქეს გაცილებით მეტი პრობლემა შევუქმენით. მეტოქემ დამსახურებულად მოგვიგო. მატჩის ბოლოს „რეალი" მოეშვა, მაგრამ ბიჭებმა ეს მხოლოდ სანახევროდ გამოიყენეს. გამოსასწორებელი და სამუშაო ბევრი გვაქვს".*

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„ესპანიოლთან" მატჩშიც ზუსტად ეს შემადგენლობა ითამაშებს. ჩვენ შევეცადეთ თავიდანვე მოგვეპოვებინა ინიციატივა. ეს არ იყო ფინალი, მაგრამ მატჩს ძალიან დიდი დატვირთვა ჰქონდა ძალზე უხერხული და ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. „რიასორი" ჩვენი აქილევსის ქუსლია, ამიტომაც კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში ნაჩვენები თამაშის ხარისხით. მატჩის ბოლოს, პენალტის გაშვების მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ „რეალი" მოგებას ხელიდან აღარ გაუშვებდა. რაც შეეხება ჩემპიონობას, ვიბრძოლებთ ბოლომდე".*

სანამ „რეალი" „რიასორზე" გამოვიდოდა „ბარსა" „ელ მოლინონზე" კატალონიიდან ჩამოყოლილ ფანების სექტორს მადლობას უხდიდა. ისე, მადლობის თქმა გუნდს მატჩის არბიტრისთვისაც მართებდა - შეხვედრის 30-ე წუთზე „სპორტინგის" კარში ერთადერთი, მაგრამ არცთუ სამართლიანი გოლი გავიდა. **პედრომ ინიესტასგან** მიიღო პასი, მაგრამ საჯარიმოს შესრულების მომენტში „ბარსას" ფორვარდი აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. „სპორტინგის" ფეხბურთელთა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო - 0:1.

„ბარსელონამ" მასპინძლებს თავიდანვე აგრძნობინა, რომ მოედნის ბატონ-პატრონი ის იყო, ანდრეს ინიესტამ კინაღამ მე-12 წუთზე გახსნა ანგარიში - „სპორტინგი" **ხუან პაბლომ** გადაარჩინა, ამ ეპიზოდს კუთხური და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** თავური მოყვა, რომელიც ძელმა მოიგერია. ზლატანმა ამის შემდეგაც დაამატა, თუმცა ოფსაიდიდან. როგორც კი „სპორტინგმა" შეტევებზე დაიწყო ფიქრი (**ბილიჩს** კარგი მომენტი შეექმნა), მაშინვე გავიდა პედროს გოლი. პედროს გოლს კი კინაღამ კიდევ ერთი მოყვა - **მესიმ** გაიბრწყინა და კარგადაც ჩააწოდა შორეულ ძელთან, მაგრამ მას თანაგუნდელებმა ვერ გაუგეს. მეორე ტაიმი დაბალ ტემპში დაიწყო, „სპორტინგი" უმთავრესად თავს იცავდა, სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც **მანოლო პრესიადომ** მოედანზე **დავიდ ბარალი** და **დიეგო კასტრო** შეიყვანა. „სპორტინგის" შეტევები მალე დასრულდა, „ბარსელონამ" დაიბრუნა ბურთზე სრული კონტროლი, თუმცა პედრომ სახიფათო მომენტები გოლად ველარ გარდასახა - დიდებულად ითამაშა მასპინძელთა გოლკიპერმა ხუან პაბლომ. „ბარსელონა" ისევ ხუთქულიანი უპირატესობის ჯიბნის „რეალს".

**მანოლო პრესიადო** (სპორტინგი): *„წავაგეთ რეფერისა და ჩვენი შეცდომის გამო. ფეხბურთში ასეა, ხან შენ გაგიმართლებს და ხან მეტოქეს ჩაუთვლიან უსამართლოდ გოლს. თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ „ბარსელონასთან" დადებითი შედეგის მიღწევა გაგვიჭირდებოდა. ახლა უნდა ვეცადოთ, ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს „ალმერიასთან" მატჩში დავუსვათ წერტილი, ისინი ხომ ჩვენი უშუალო კონკურენტები არიან".*

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ეს იყო კარგი გამარჯვება სტადიონზე, სადაც იშვიათად უმართლებთ სტუმრებს. მატჩის ბოლოსკენ ვერ ვიმოქმედეთ კარგად შეტევაში, თორემ სხვაობა დიდი იქნებოდა. დაცვის თამაშით კი კმაყოფილი ვარ, მეტოქემ ბევრი მომენტი ვერ შექმნა, მაგრამ „სპორტინგს" ბოლოს ორჯერ შეეძლო საჯარიმო დარტყმით გაეთანაბრებინა".*

სუპერშაბათის კიდევ ერთ მატჩში ბარსელონის „ესპანიოლმა" ბასკური „ატლეტიკი" დაამარცხა - 1:0. მიუხედავად ბასკთა გოლკიპერის, **გორკა ირაისოსის** გმირული თამაშისა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, სტუმრებმა ერთი გოლი მაინც გაუშვეს. 58-ე წუთზე ირაისოსმა **ხავი მარკესის** დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ **ლუის გარსიას** დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. გაშვებული გოლის შემდეგ **ხოაკინ კაპაროსმა** მცველი **უსტარიცი** გაიყვანა და თამაშში თინეიჯერი **იკერ მუნიაინი** ჩართო, მაგრამ ბასკებმა კინაღამ მეორე გოლი მიიღეს - **კორომინასის** თავური ახლო მანძილიდან სასწაული რეაქციის წყალობით აილო ირაისოსმა.

გუშინდელი მატჩების დაწყებამდე გაირკვა, რომ ბასკთა ყოფილი მცველი **ასიერ დელ ორნო** „ვალენსიამ" სეზონის ბოლომდე იჯარით „ვალიადოლიდს" დაუთმო. 29 წლის მცველი **უნაი ემერის** გეგმებში ვერა და ვერ ჩაჯდა.

დიდ ინტერესს იწვევდა „ვილიარეალისა" და „ოსასუნას" მატჩი, როგორც ჩანს, „ელ სუბმარინო" კრიზისიდან ვერ გამოვიდა. **ხოსე ანტონიო კამაჩომ** „ელ მადრიგალზე" 3 ქულა მოიპოვა. დუბლი შეასრულა ნავარელთა მცველმა **ფრანსისკო ხუანფრანმა**. კამაჩომ ესპანეთის ნაკრების წევრი ნახევარდაცვაში გადაიყვანა და ისიც უმართლებს დამრიგებელს. ამ მარცხმა „ვილიარეალის" მწვრთნელი **ერნესტო ვალვერდეს** თანამდებობა შეიწირა. *„ვილიარეალი" აცხადებს, რომ უუქმებს კონტრაქტს ერნესტო ვალვერდეს, „ოსასუნასთან" 0:2 მარცხის გამო და უსურვებს მას შემდგომ წარმატებას სპორტულ კარიერაში"*, - ვკითხულობთ „ელ სუბმარინოს" ვებსაიტზე.

კანარის კუნძულებზე „ტენერიფესა" და „სარაგოსას" მატჩი დრამატულად წარიმართა, სტუმრებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვეს გოლი, მაგრამ 3:1 მოიგეს. ანგარიში **უმბერტო „ჩუპეტე" სუასომ** პენალტით გაათანაბრა, ეს სუასოს პირველი გოლია ლა ლიგაში. „ხერესმა" სეზონში მეორედ მოიგო, ანდალუსიურმა კლუბმა ერთ-ერთი ლიდერთაგანი „მალიორკა" 2:1 დაამარცხა. ამავდროულად კლუბმა გამოაცხადა, რომ ორი სამხრეთამერიკელი შემტევი დაიმატა იჯარით, **მატიას ალუსტისა და ნიკოლას ვინერი**.

„ვისენტე კალდერონზე" მატჩი შოკისმომგვრელად დაიწყო - უკვე მე-3 წუთზე „მალაგას" უნივერსალმა **დუდამ** სტუმრები დააწინაურა. „ატლეტიკოს" უბედურება მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, 70-ე წუთზე **ხავი ლოპესმა** ანგარიში 2:0 გახადა ანდალუსიელთა სასარგებლოდ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

6 თებერვალი. რეალი-ესპანიოლი, ვალენსია-ვალიადოლიდი, ბარსელონა-ხეტაფე. 7 თებერვალი. ბილბაო-ხერესი, მალაგა-დეპორტივო, მალიორკა-ვილიარეალი, ოსასუნა-ტენერიფე, სარაგოსა-სევილია, ალმერია-სპორტინგი, რასინგი-ატლეტიკო.


რეალმა ლა კორუნიაში დამსახურებულად გაიმარჯვა

### ესპანიოლი-ბილბაო 1:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ჩიკა, პარეხა, რუისი, ვილა – მარკესი, ბაენა – ლ. გარსია, ვერდიუ (89. რონკალია), კალეხონი (66. კორომინასი) – ოსვალდო (80. ალონსო).

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი – ირაოლა, უსტარისი (59. მუნიაინი), ამორებიეტა, კოიკილი – გურპეგი, ორბაისი, იტურასპე – ტოკერო (64. დე მარკოსი), ლორენტე, იესტე (18. სუსაეტა).

**გოლი:** 1:0 ლ. გარსია

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 10:6; **ჯარიმა:** 17:10; **თამაშგარე:** 4:1; **კარში დარტყმა:** 12:8 (4-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48 %.

**მაყურებელი:** 18 000

### სპორტინგი-ბარსელონა 0:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო – ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია – რივერა, პორტილია (70. მატაბუენა) – მორანი, კარმელო (57. კასტრო), დე ლას კუევასი (57. ბარალი) – ბილიჩი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – პუიოლი, მარკესი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო (90. კრკიჩი).

**გოლი:** 0:1 პედრო (30)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 2:10; **ჯარიმა:** 21:9; **თამაშგარე:** 2:4; **კარში დარტყმა:** 5:22 (2-5); **ბურთის ფლობა:** 26%-74 %.

**მაყურებელი:** 20 000

### დეპორტივო-რეალი 1:3

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია – ლაურე, კოლოტო, ლოპო, მ. პაბლო – ტომასი, ჟუკა (83. ბოდიპო) – როდრიგესი, ვალერონი (54. პერესი), ალვარესი (74. რიკი) – ადრიანი.

**რეალი (4-4-2):** კასილიასი – არბელოა, ს. რამოსი, ალბიოლი, მარსელო – გრანერო, ჩაბი ალონსო, კაკა, გუტი – ბენზემა, რაული (78. დრენტე).

**გოლები:** 0:1 გრანერო (13), 0:2 ბენზემა (40), 1:2 რიკი (86-პენ), 1:3 ბენზემა (91)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 6:4; **ჯარიმა:** 13:6; **თამაშგარე:** 2:6; **კარში დარტყმა:** 11:17 (2-8); **ბურთის ფლობა:** 40%-60 %.

**მაყურებელი:** 30 000

### ხერესი-მალიორკა 2:1

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - რედონდო, ხიოდა, აიტამი, კასადო - ბერგანტინიოსი (46. ანტონიტო), კეიტა - კალვო, ორელანა (46. სანჩესი), მომო (73. აბელი) - ბერმეხო.

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - მატიონი, ნუნიესი, რუბენი, კორალესი - ალვარესი, ჩინა (80. პინა), მარტი, კასტრო - ვებო (72. კეიტა), ადურისი (65. პეზოლანო).

**გოლები:** 0:1 ვებო (23), 1:1 კალვო (52), 2:1 კალვო (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5:2; **ჯარიმა:** 13:13; **თამაშგარე:** 3:0; **კარში დარტყმა:** 10:14 (5-7); **ბურთის ფლობა:** 60%-40 %.

**მაყურებელი:** 14 764

### ვალიადოლიდი-ალმერია 1:1

**ვალიადოლიდი (4-4-2):** ვილიარი - პ. ლოპესი, არსო, პრიეტო, მარკოსი (56. მარკიტოსი) - ალემანი (71. მედუნჯანინი), რუბიო (30. ლაზარო), პელე, კანობიო - მანუჩო, დ. კოშტა.

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვესი - მასედო, პელერანო, ჩიკო, სისმა - მბამი, ბერნარდელო - კრუსატი (81. ნიეტო), სორიანო, კორონა (89. ხ. ორტისი) - გოიტომი (67. პიატი).

**გოლები:** 0:1 კრუსატი (12), 1:1 არსო (80)

**გაძევება:** მანუჩო (37), მენდილიბარი (77. ვალიადოლიდის მწვრთნელი)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 7:4; **ჯარიმა:** 17:12; **თამაშგარე:** 1:3; **კარში დარტყმა:** 12:12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51 %.

**მაყურებელი:** 14 784

### ხეტაფე-რასინგი 0:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მანე - ბოატენგი (72. პარეხო), კასკერო - პ. ლეონი, ალბინი (62. მიკუ) - სოლდადო.

**რასინგი (4-4-2):** კოლტორტი - პინილიოსი, ენრიკე, მორატონი, კრესპო - მორალი (51. კრისტიანი), ლასენი, დიოპი, სერანო (80. ორტისი) - გეიხო, ტჩიტე (65. კანალესი).

**გაძევება:** მორატონი (48)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 16:0; **ჯარიმა:** 13:16; **თამაშგარე:** 1:4; **კარში დარტყმა:** 19:7 (2-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37 %.

**მაყურებელი:** 10 000

### ვილიარეალი-ოსასუნა 0:2

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი (65. როსი), გოდინი, მარკანო, კაპდევილია - კანი, სენა (45. ესკუდერო), ბრუნო, პირესი (45. იბაგასა) - ნილმარი, ლორენტე.

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი - ხუანფრანი, მასუდი (70. კალეხა), კამუნიასი (86. რუპერი) - პანდიანი (89. დადი).

**გოლები:** 0:1 ხუანფრანი (15), 0:2 ხუანფრანი (85)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4:5; **ჯარიმა:** 10:17; **თამაშგარე:** 1:3; **კარში დარტყმა:** 12:10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40 %.

**მაყურებელი:** 16 000

### ტენერიფე-სარაგოსა 1:3

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, მანოლო, ლუნა, სისილია - რიკარდო (79. ანხელი), მ. ალონსო - ხუანლუ (85. დინეი), ალფარო, კომე (60. რომანი) - ნინო.

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარისო - დიოგო (59. გაბი), პულიდო, კონტინი, პონსიო (71. არისმენდი) - ანდერი, იაროშიკი - ელიზეუ (59. კოლუნგა), ლაფიტა, პენანტი - სუასო.

**გოლები:** 1:0 ხუანლუ (48), 1:1 სუასო (76-პენ), 1:2 კოლუნგა (79), 1:3 ლაფიტა (82)

**გაფრთხილება:** 5-4; **კუთხური:** 7:3; **ჯარიმა:** 13:23; **თამაშგარე:** 2:2; **კარში დარტყმა:** 17:9 (6-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43 %.

**მაყურებელი:** 14 000

### ატლეტიკო-მალაგა 0:2

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი (67. რ. გარსია) - სიმაო, კამაჩო (46. რეიესი), ტიაგო, ხურადო - იბრა (46. აგუერო), ფორლანი.

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი (63. გასპარი), გონსალესი, ველიგტონი, მ. ტორესი - ტორიბიო, ხ. ლოპესი - ფერნანდო, ბენაშური, დუდა (62. ხუანიტო) - კაიშედო (58. ბა).

**გოლები:** 0:1 დუდა (3), 0:2 ხ. ლოპესი (70)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2:5; **ჯარიმა:** 17:23; **თამაშგარე:** 1:3; **კარში დარტყმა:** 11:9 (4-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42 %.

**მაყურებელი:** 38 000

### სევილია-ვალენსია 2:1

**სევილია (4-4-2):** პალოპი - ადრიანო, სტანკევიჩიუსი, ესკუდე, ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა, რენატო, პეროტი (70. კაპელი) - კანუტე (64. ლუიშ ფაბიანო), ნეგრედო (74. რომარიკი).

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, ნავარო, ალექსისი, ბრუნო - ალბელდა, მარჩენა (56. ბანეგა) - პ. ერნანდესი (56. ჟიგიჩი), სილვა (85. დომინგესი), მატა - ვილია.

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (21), 2:0 ნეგრედო (69), 2:1 ნავარო (90)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15:20; **თამაშგარე:** 1:6; **კარში დარტყმა:** 15:14 (4-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 36 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 16 | 4 | 0 | 50-10 | 52 |
| 2. რეალი | 20 | 15 | 2 | 3 | 47-15 | 47 |
| 3. ვალენსია | 20 | 11 | 6 | 3 | 36-21 | 39 |
| 4. სევილია | 20 | 11 | 3 | 6 | 31-22 | 36 |
| 5. მალიორკა | 20 | 10 | 4 | 6 | 34-23 | 34 |
| 6. დეპორტივო | 20 | 10 | 4 | 6 | 24-22 | 34 |
| 7. ხეტაფე | 20 | 10 | 1 | 9 | 27-24 | 31 |
| 8. ბილბაო | 20 | 9 | 3 | 8 | 24-25 | 30 |
| 9. ოსასუნა | 20 | 7 | 5 | 8 | 20-21 | 26 |
| 10. ვილიარეალი | 20 | 7 | 5 | 8 | 31-29 | 26 |
| 11. რასინგი | 20 | 6 | 6 | 8 | 23-27 | 24 |
| 12. სპორტინგი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-22 | 24 |
| 13. ატლეტიკო | 20 | 6 | 5 | 9 | 30-33 | 23 |
| 14. ესპანიოლი | 20 | 6 | 5 | 9 | 14-26 | 23 |
| 15. მალაგა | 20 | 4 | 8 | 8 | 23-26 | 20 |
| 16. ალმერია | 20 | 4 | 7 | 9 | 19-30 | 19 |
| 17. ვალიადოლიდი | 20 | 3 | 9 | 8 | 24-36 | 18 |
| 18. სარაგოსა | 20 | 4 | 5 | 11 | 23-42 | 17 |
| 19. ტენერიფე | 20 | 4 | 5 | 11 | 17-39 | 17 |
| 20. ხერესი | 20 | 2 | 5 | 13 | 10-35 | 11 |

**ბომბარდირები:** 15 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ვალენსია); 11 - იგუაინი (რეალი), იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 10 - სოლდადო (ხეტაფე); 9 - რონალდო (რეალი).

## სეგუნდა დივიზიონი

### XXII ტური

**ერკულესი-კასტელონი 1:2**

**გოლები:** 1:0 დანჩიულესკუ (18), 1:1 ერნანდესი (27), 1:2 ულოა (55)

**გაძევება:** დელიბაშიჩი (52. ერკულესი), პაესი (61. კასტელონი)

**სოსიედადი-ლას პალმასი 2:2**

**გოლები:** 1:0 ბუენო (50), 1:1 რონდონი (66), 1:2 დარინო (68), 2:2 ლაბაკა (90)

**ლევანტე-ვილიარეალი B 2:1**

**გოლები:** 1:0 ხუანლუ (5), 1:1 რუბენი (60), 2:1 ხორდა (90)

**გაძევება:** კიკო (35. ვილიარეალი)

**უესკა-ელჩე 0:0**

**კარტახენა-ხირონა 4:1**

**გოლები:** 0:1 მატამალა (33), 1:1 ლაფუენტე (35), 2:1 დე ლუკასი (40), 3:1 ლაფუენტე (51), 4:1 დე ლუკასი (62)

**ალბასეტე-რაიო ვალეკანო 2:2**

**გოლები:** 1:0 იდალგო (25), 1:1 პიტი (57), 1:2 აგანსო (64), 2:2 ლოპესი (82)

**კორდობა-ბეტისი 0:1**

**გოლები:** 0:1 პერეირა (10)

**გაძევება:** რივასი (71. ბეტისი)

**სალამანკა-კადისი 1:1**

**გოლები:** 0:1 ენრიკე (11), 1:1 ლინარესი (23)

**ნუმანსია-სელტა 0:0**

**უელვა-უნიონი 0:0**

**გაძევება:** გონსალესი (90. უელვა)

**ხიმნასტიკი-მურსია 2:3**

**გოლები:** 1:0 კამპანო (2), 2:0 რედონდო (43), 2:1 ნატალიო (44), 2:2 ჩანდო (48), 2:3 ბრუნო (50)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 22 | 12 | 7 | 3 | 33-16 | 43 |
| 2. სოსიედადი | 22 | 12 | 7 | 3 | 34-20 | 43 |
| 3. კარტახენა | 22 | 10 | 7 | 5 | 31-20 | 37 |
| 4. ლევანტე | 22 | 8 | 9 | 5 | 25-21 | 33 |
| 5. ვილიარეალი B | 22 | 9 | 6 | 7 | 29-29 | 33 |
| 6. ბეტისი | 22 | 9 | 6 | 7 | 30-23 | 33 |
| 7. ნუმანსია | 22 | 9 | 6 | 7 | 29-27 | 33 |
| 8. ხიმნასტიკი | 22 | 9 | 5 | 8 | 23-25 | 32 |
| 9. ელჩე | 22 | 8 | 7 | 7 | 34-34 | 31 |
| 10. ვალეკანო | 21 | 7 | 9 | 5 | 34-26 | 30 |
| 11. სალამანკა | 22 | 7 | 8 | 7 | 27-29 | 29 |
| 12. კორდობა | 21 | 6 | 10 | 5 | 19-21 | 28 |
| 13. უელვა | 22 | 7 | 6 | 9 | 19-21 | 27 |
| 14. ლას პალმასი | 22 | 6 | 9 | 7 | 24-24 | 27 |
| 15. ალბასეტე | 22 | 6 | 8 | 8 | 31-36 | 26 |
| 16. უესკა | 22 | 5 | 10 | 7 | 18-20 | 25 |
| 17. სელტა | 22 | 5 | 10 | 7 | 20-24 | 25 |
| 18. კადისი | 22 | 5 | 9 | 8 | 22-32 | 24 |
| 19. ხირონა | 22 | 5 | 8 | 9 | 29-36 | 23 |
| 20. მურსია | 22 | 4 | 10 | 8 | 27-30 | 22 |
| 21. უნიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 17-27 | 18 |
| 22. კასტელონი | 22 | 4 | 5 | 13 | 21-35 | 17 |

# მილანი ისევ გაშტერდა

სერია A-ს XXII ტურში ათის ნაცვლად, ცხრა შეხვედრა გაიმართა, „პარმა"-„ინტერის" დაპირისპირება კი უამინდობის გამო გადაიდო. დიახ, დიდმა თოვლმა „ენიო ტარდინის" მინდორი სათამაშოდ უვარგისი გახადა და „ლეგა კალჩოს" დელეგატები იძულებულნი გახდნენ, შეხვედრა 10 თებერვლისთვის გადაეტანათ. საგულისხმოა, რომ ამ დღეს იტალიის თასის ნახევარფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩი უნდა გამართულიყო, რომელშიც „ნერაძურის" „ფიორენტინასთან" მოუწევდა შეტოქება. როგორც ჩანს, ეს შეხვედრა კიდევ უფრო გვიან დაინიშნება.

ტურის მთავარი მოვლენა „მილანის" მორიგი ნაფორხილება გახლავთ. „როსონერი" ისევ გაშტერდა და ერთი კარგი შემოლაწუნება ნამდვილად არ აწყენდა. **ლეონარდოს** გუნდი სამი თამაშია, რაც გამარჯვების მოპოვებას ვერ ახერხებს. შეგახსენებთ, „მილანი" ჯერ „ინტერთან" დამარცხდა, შემდეგ „უდინეზესთან" დათმო სათასო პაექრობა, გუშინ კი „ლივორნოს" ვერ დააკლო ვერაფერი და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. შეხვედრა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და ალბათ, სხვანაირად ვერც იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ბურთის ფლობით რომ თამაშს ვერ მოიგებ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. „როსონერის" შეტევები მხოლოდ იმპროვიზაციაზეა აგებული, ანუ ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ ოსტატობაზე, რაც ეშელონებად განლაგებული დაცვითი რუბიკონების გასარღვევად საკმარისი ნამდვილად არ არის. არაერთი ეფექტური ფინტი გააკეთა **რონალდინიომ**, არც **კლარენს ზეედორფს** დაუკლია, მაგრამ ამას მხოლოდ ლოკალური შედეგი მოჰქონდა. „ლივორნომ" კონტრშეტევებზე ითამაშა, თავის შანსს დაელოდა და გაიტანა კიდეც, თანაც ვინ? - უბერებელმა **კრისტიანო ლუკარელიმ**. თუმცა, იქამდე „მილანმა" იხეირა და სწორედ ამით დავიწყოთ.

მასპინძლებმა ანგარიში ტაიმის მიწურულს, 44-ე წუთზე გახსნეს. მარჯვენა ფლანგიდან **დევიდ ბექჰემმა** ჩააწოდა, სტუმართა კიპერი კარიდან გამოვიდა, თუმცა ხეირიანად ვერ შესწვდა ბურთს და მხოლოდ ოდნავ შეუცვალა მიმართულება - ჯობდა, სულ არ გამოსულიყო, რადგან ბურთი პირდაპირ **მასიმო ამბროზინის** მიუვიდა, ვინც აუღელვებლად დალაშქრა მეტოქის კარი, 1:0. **ბონუსი** დიდხანს უმტკიცებდა მატჩის არბიტრს, რომ კარიდან გამოსვლისას მას ზეედორფი შეეჯახა და ხელი შეუშალა - თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიელი მხოლოდ მას შემდეგ დაეტაკა კიპერს, როდესაც ბურთი უკვე კარის ბადეში იყო გახვეული. პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, საშუალო დისტანციიდან რონალდინიომ გაისროლა და მეტოქის კარის ძელი შეაზანზარა. კიდევ ერთ ეპიზოდზე, უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება - ერთ-ერთი ორთაბრძოლისას **მარკო ბორიელო** „ლივორნოს" მცველს, **რაიმონდის** შეეჯახა და როგორც ჩანს, მძიმედ დაშავდა. მარკო შესაცვლელი შეიქნა, მის ნაცვლად კი მოედანზე **კლას-იან ჰუნტელაარი** გამოვიდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც სტუმრებმა გაისროლეს და ანგარიში გაათანაბრეს: **სერსე კოზმის** შეგირდებმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს, ჩააწოდეს კიდეც, ბურთს კი **კრისტიანო ლუკარელი** დაუხვდა და ერთი შეხებით გადაგზავნა **კრისტიან აბიატის** კარის ჩარჩოში. დიახ, აბიატის, რადგან **ნელსონ დიდას** წელის ტრავმამ შეახსენა თავი და „ლივორნოს" წინააღმდეგ თამაში ვერ შეძლო.

გაშვებული გოლის შემდეგ მილანელებმა ტემპს უმატეს, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. გასაკვირია, მაგრამ დარჩენილ 40 წუთში მასპინძლებს ერთი ისეთი იერიშიც კი არ განუხორციელებიათ, რომელზეც დაწვრილებით შეიძლება ლაპარაკი. ლეონარდომ **ფილიპო ინძაგიც** ჩართო თამაშში, რომელიც მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ჯდომით არის დაკავებული, თუმცა საქმეს ამანაც ვერ უშველა. „მილანმა" კვლავ დაკარგა ქულები და ამით „ინტერის" წისქვილზე დაასხა წყალი. დღევანდელი გადასახედიდან, „ნერაძურის" რეალური კონკურენტი უბრალოდ არ ჰყავს.

„სიენას" საკუთარ მოედანზე დამარცხება გმირობის ტოლფასი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ „რომას" ლაზარეთს თუ გადავხედავთ, თუნდაც აუტსაიდერთან გამარჯვება დედაქალაქელებს აქტივში უნდა ჩავუწეროთ. თავად განსაჯეთ, **კლაუდიო რანიერის** სამი წამყვანი თავდამსხმელის გარეშე მოუწია ფონს გასვლამ - ტრავმირებულნი არიან: **ფრანჩესკო ტოტი, ლუკა ტონი** და **მირკო ვუჩინიჩი**. რანიერის სხვა აღარაფერი დარჩენოდა და ძირითად შემადგენლობაში **ჟულიო ბაპტიშტა** დააყენა. აქედანვე აღვნიშნოთ, რომ ბრაზილიელს ბევრი არაფერი გაუკეთებია, მატჩის გმირი კი **სტეფანო ოკაკა ჩუკა** გახდა, რომელმაც 87-ე წუთზე სამი ქულის მომტანი გოლი გაიტანა. სავარაუდოდ, სტეფანო გამოეთხოვება „რომას" და მიმდინარე სეზონის ბოლომდე „ფულჰემში" იასპარეზებს, წასვლის წინ კი „რომას" ასეთი საჩუქარი გაუკეთა. ოკაკას გოლზე ქვემოთ ვისაუბროთ, იქამდე კი პირველ ტაიმს გადავავლოთ თვალი.

მასპინძელთაგან ყველაზე აქტიური **არნე რიისე** გახლდათ, რომელიც მართლაც რომ შესანიშნავ ფორმაშია. სწორედ ნორვეგიელმა გახსნა ანგარიში, ეს ყველაფერი კი 27-ე წუთზე მოხდა: **მარკო მოტამ** ფლანგიდან **პეროტას** ჩააწოდა, სიმონემ თავით ბურთი სწორედ რიისეს დაუგდო, ამ უკანასკნელმა კი უძლიერესი დარტყმით დააწინაურა თანაგუნდელები, 1:0. თამამად შეიძლება ითქვას, სტუმართა კიპერი უძლური გახლდათ. რიისეს კიდევ შეეძლო გატანა, ამჯერადაც შორიდან გაისროლა, თუმცა ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს.

სტუმრებმა მხოლოდ 41-ე წუთზე მოიცალეს შეტევისთვის და პირველივე იერიში გოლით დაასრულეს: **მასიმო მაკარონემ** კუთხური მოინადირა, საჯარიმოში ჩაკიდულს **იაიალომ** დაჰკრა მძლავრი თავური - **ჟულიო სერჟიომ** ბურთი ცხრიანიდან გამოაძვრინა, თუმცა დამატებაზე ყველას **ვერგასოლამ** აჯობა და ანგარიშიც გაქვითა - 1:1.

მეორე ნახევარში ტოსკანელები უფრო თამამად გადადიოდნენ შეტევაში და რამდენჯერმე წინ გასვლაც კი შეეძლოთ. განსაკუთრებით აქტიური **რეჟინალდო** გახლდათ, რომელიც ერთხელ ძალიან ახლოს იყო მიზანთან: ხელსაყრელი პოზიციიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ჟულიო სერჟიომ სასწაულებრივ მოიგერია ბურთი. ბრწყინვალედ მოქმედებდა სტუმართა კიპერიც - **კურჩიმ** არაერთხელ გადაარჩინა თანაგუნდელები გაშვებული გოლისგან და რომ არა მისი არაადამიანური ნახტომები, რომაელები აუღელვებლად მოიგებდნენ ამ შეხვედრას. მოსახდენი კი მატჩის მიწურულს მოხდა - სტეფანო ოკაკა ჩუკამ მართლაც ულამაზესი გოლი გაიტანა, კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო ბურთი და ქუსლური დარტყმით შეარხია მეტოქის კარის ბადე, 2:1. აი, ასე მოიგეს რანიერის შეგირდებმა, თუმცა ტრავმას ვერც ამ შეხვედრაში ასცდნენ: ერთ-ერთი ორთაბრძოლისას **როდრიგო ტადეი** დაშავდა და საკაცით გახდა მოედნიდან გასაყვანი.

კვლავ ვერ მოიგო „ფიორენტინამ" და სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე პოზიციაზე დაეშვა. „კალიარისთან" პაექრობაში ფლორენციელები **მარკიონის** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში სათამაშო უპირატესობა მეტოქეს დაუთმეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. სარდინიელებმა უკეთ იასპარეზეს და თუ შეხვედრის მიმდინარეობას გავითვალისწინებთ, დაფიქსირებული საყაიმო შედეგით სტუმრები უნდა დარჩენილიყვნენ კმაყოფილნი. აქვე აღვნიშნოთ, რომ ფლორენციელებს სატრანსფერო ფრონტზეც მოეცარათ ხელი. თურმე **კასანოს** გადაბირებასთან ყოფილან ძალიან ახლოს, მაგრამ ბოლო მომენტში **ანტონიოს** გენუაში დარჩენა გადაუწყვეტია. ჭირვეულმა ფორვარდმა „სამპდორიას" ტიფოზებს ერთგულება შეჰფიცა, აქედან არსად წამსვლელი არ ვარო. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „სამპამ" „ატალანტას" ორი ბურთის სხვაობით სძლია, გოლები კი კვლავაც **პაცინი-პოციმ** გაიტანეს.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა ტურინში გაიმართა, სადაც „იუვენტუსმა" „ლაციო" მიიღო.

ტურის დამაგვირგვინებელ მატჩში „იუვენტუსმა" და „ლაციომ" ქულები გაიყვეს. ცხადია, გამარჯვება ყველაზე მეტად ენადა **ალბერტო ძაკერონის**, რომელსაც „ბებერი სინიორას" თავკაცის პოსტზე დებიუტი ჰქონდა, მაგრამ...

მაგრამ ძაკს ქულით მოუწია დაკმაყოფილებამ. ანგარიში არცთუ ასპროცენტიანი პენალტით **ალესანდრო დელ პიერომ** გახსნა, რასაც 8 წუთში **მაურო სარატეს** პასი და **სტეფანო მაურის** საპასუხო გოლი მოჰყვა - 1:1. გაგიკვირდებათ და, გოლის ავტორი კინაღამ შეეწირა ამ სიხარულს. **რობერტო ბარონიო** მას ზურგზე შეახტა და პირდაპირ **ტომაზო როკის** მიახეთქა... საბოლოოდ, „ლაციოს" მხსნელმა მოედანი კისერშეხვეულმა დატოვა...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


ალბერტო ძაკერონი დებიუტით კმაყოფილი ვერ იქნება

### მომდევნო ტური

6 თებერვალი. პალერმო-პარმა, ლივორნო-იუვენტუსი. 7 თებერვალი. ჯენოა-კიევო, სიენა-სამპდორია, ბოლონია-მილანი, უდინეზე-ნაპოლი, ლაციო-კატანია, ატალანტა-ბარი, ინტერი-კალიარი, ფიორენტინა-რომა.

### ბარი-პალერმო 4:2

**ბარი:** ჟილე 7 - ა. მაზიელო 6.5, დიამუტენი 6, ბონუჩი 6.5, ს. მაზიელო 6.5 - ე. ალვარესი 7.5, გაცი 6, ალმირონი 6.5 (29. დონატი 6), ალეგრეტი 6.5 (66. კომანი 6.5) - კასტილიო 5.5 (57. სფორცინი 6), პ. ბარეტო 7.

**პალერმო:** სირიგუ 6 - კასანი 5.5, კიაერი 6, ბოვო 6, ბალცარეტი 5.5 (34. მელინტე 5.5) - მილიაჩო 6.5 (84. სიმპლისიუ), ლივერანი 5.5, ნოჩერინო 5.5 - პასტორე 7 - მიკოლი 6 (67. ერნანდესი 6), კავანი 6.5.

**გოლები:** 1:0 ბონუჩი (5), 2:0 ე. ალვარესი (7), 2:1 კავანი (28), 2:2 პასტორე (54), 3:2 პ. ბარეტო (62), 4:2 კომანი (85)

**გაძევება:** ლივერანი (56. პალერმო)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 12-18 (6-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ნაპოლი-ჯენოა 0:0

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - კამპანიარო 6.5, პ. კანავარო 7, გრავა 6 (61. დოსენა 6) - მაჯო 5.5 (50. სუნიგა 5.5), ჩიგარინი 6, გარგანო 6, არონიკა 6 - ჰამშიკი 6.5, კვალიარელა 5.5 - დენისი 5.5 (81. ბოლიაჩინო).

**ჯენოა:** ამელია 6.5 - ბიავა 6, დაინელი 6, მორეტი 6.5 - პაპასტატოპულოსი 6, მ. როსი 6, მილანეტო 5.5, კრიშიტო 6 - მესტო 6 (75. იურიჩი), სუასო 5 (57. აკვაფრესკა 5.5), პალასიო 5.5 (57. სკული 5.5).

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 17-6 (4-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 26 000

### მილანი-ლივორნო 1:1

**მილანი:** აბიატი 6 - აბატე 6, ტიაგო სილვა 6, ფავალი 6, ანტონინი 6 - ამბროზინი 6.5, ფლამინი 6 (78. ფ. ინძაგი), ბექჰემი 6.5 - ზეედორფი 6.5, რონალდინიო 6.5 - ბორიელო 6 (46. ჰუნტელაარი 6).

**ლივორნო:** ბენუსი 7.5 - პერტიკონე 6.5, ნ. რივასი 7, კნეჟევიჩი 6.5, რაიმონდი 6.5 - ბერგვოლდი 5.5 (60. მორო 6), პულცეტი 5.5 (68. მარკინი 6), ა. ფილიპინი 6.5, პიერი 6 - ბელუჩი 5.5 (73. ტავანო 6), კ. ლუკარელი 6.5.

**გოლები:** 1:0 ამბროზინი (44), 1:1 კ. ლუკარელი (53)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 9-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 34 998

### რომა-სიენა 2:1

**რომა:** ჟულიო სერჟიო 6 - მოტა 6.5, ბურდისო 6.5, ჟუანი 7, რიისე 7 - პისარო 6, დე როსი 6.5 - ტადეი 6 (73. პიტი 6.5), ბრიგი 5.5 (61. ოკაკა-ჩუკა 7), პეროტა 6 (46. ჩერჩი 6) - ჟულიო ბაპტიშტა 6.

**სიენა:** კურჩი 7 - როზი 6.5, მალაგო 6, ტერცი 5.5, დელ გროსო 5.5 - ვერგასოლა 7, კოდრეა 5.5, ეკდალი 5 (90. ა. როსი) - რეჟინალდო 5 - მაკარონე 6.5, იაიალო 6 (90. კალაიო).

**გოლები:** 1:0 რიისე (29), 1:1 ვერგასოლა (41), 2:1 ოკაკა-ჩუკა (88)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 237

### კალიარი-ფიორენტინა 2:2

**კალიარი:** მარკეტი 6 (21. ვიგორიტო 6.5) - მარძორატი 5.5, კანინი 6, ასტორი 7, აგოსტინი 5 - კონტი 6, ბიონდინი 6.5, ლაძარი 7.5, კოსუ 5 - ჟედა 5.5 (81. პაროლა), მატრი 6 (60. ნენე 6).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 5.5 - დე სილვესტრი 5, ნატალი 5.5, ფელიპე 5.5 (57. გამბერინი 6), პასკუალი 5.5 (80. ლიაჯიჩი 6) - მონტოლივო 6.5, დონადელი 6, მარკიონი 7 (71. სანტანა 6) - იოვეტიჩი 7, ვარგასი 5.5 - ჯილარდინო 5.5.

**გოლები:** 0:1 მარკიონი (8), 1:1 ლაძარი (36), 2:1 ასტორი (48), 2:2 იოვეტიჩი (62)

**გაძევება:** კოსუ (57. კალიარი)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 9-13 (3-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 15 000

### სამპდორია-ატალანტა 2:0

**სამპდორია:** სტორარი 7 - ძაური 6.5, ლუკინი 6, მ. როსი 6 - ციგლერი 5.5 (80. პადალინო 5), სემიოლი 6.5, პალომბო 7, ტისონე 6 (60. პოლი 6), მანინი 6 (71. აკარდი) - პაცინი 7, პოცი 6.5.

**ატალანტა:** კონსილი 6.5 - დარიჩი 6, ტალამონტი 5, თ. მანფრედინი 6, ბელინი 5.5 - პინტუ 6 (73. ჩერავოლო), გუარენტე 6, პ. ძანეტი 5 (46. ვალდესი 6.5) - პადოინი 6 - ჩევანტონი 5, ტირიბოკი 4.5 (64. ამორუზო 6).

**გოლები:** 1:0 პალომბო (36), 2:0 პაცინი (45)

**გაძევება:** პადალინო (90. სამპდორია)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 19-22; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-13 (7-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 22 500

### კიევო-ბოლონია 1:1

**კიევო:** სორენტინო 6 - სარდო 6, მორერო 5.5, იეპესი 6, მანტოვანი 6 - იორი 6 (61. არიატი 5.5), ლუსიანო 6, მარკოლინი 6, ბენტივოლიო 6 - პელისიერი 6.5, აბრუსკატო 5.5 (65. ბოგდანი 5.5).

**ბოლონია:** კოლომბო 6 - რაჯი 6 (84. კ. ძენონი), პორტანოვა 6, მორასი 6, ლანა 6 - ხიმენესი 6 (78. სუჩი 6), მუდინგაი 6, გუანა 5.5, მოდესტო 6 - ადაილტონი 5.5 (76. კაზარინი), დი ვაიო 6.5.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (12), 1:1 პელისიერი (49)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 13-8 (2-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 8 500

### კატანია-უდინეზე 1:1

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - პ. ალვარესი 6, სილვესტრი 6, სპოლი 6.5, კაპუანო 6 - რიკიუტი 5.5 (65. იცკო 6.5), კარბონი 6.5, ბიაჯანტი 6.5, მარტინესი 5 - ლოპესი 5.5 (55. მორიმოტო 6.5), ლამა 6.

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6 - ისლა 6.5, საპატა 7, ლუკოვიჩი 6.5, პასკუალე 6.5 - ინლერი 6, სამარკო 6 (78. კორადი 5.5), გ. დ'აგოსტინო 6.5, სანჩესი 6 (89. ლოდი) - ფლორო ფლორესი 6.5 (72. ბასტა 6), დი ნატალე 6.5.

**გოლები:** 0:1 ფლორო ფლორესი (32), 1:1 ბიაჯანტი (80)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 12-10 (4-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 13 000

### იუვენტუსი-ლაციო 1:1

**იუვენტუსი:** მანინგერი 6 - გრიგერა 5.5, ფ. კანავარო 5.5, კიელინი 6.5, დე ჩელიე 6.5 ძ- ფელიპე მელო 6.5 (77. კასერესი 6), კანდრევა 5.5, სისოკო 5.5 - დიეგო 6.5 - ამაური 5.5, დელ პიერო 6.5 (89. პაოლუჩი).

**ლაციო:** მუსლერა 6.5 - დიაკიტი 7, სტენდარდო 6.5, რადუ 6.5, კოლაროვი 6.5 - ბარონიო 6.5, დაბო 6 (71. როკი 5.5), ფირმანი 6 (77. ლიხტშტაინერი 6), მაური 6.5 (81. სივილია) - კრუსი 5.5, სარატე 6.

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (70-პენ), 1:1 მაური (78)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18-9 (7-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 20 899

**პარმა-ინტერი** *10 თებერვალს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 21 | 15 | 4 | 2 | 45-19 | 49 |
| 2. მილანი | 21 | 12 | 5 | 4 | 36-22 | 41 |
| 3. რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 37-26 | 41 |
| 4. ნაპოლი | 22 | 10 | 8 | 4 | 31-24 | 38 |
| 5. იუვენტუსი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-29 | 34 |
| 6. პალერმო | 22 | 9 | 7 | 6 | 29-25 | 34 |
| 7. სამპდორია | 22 | 9 | 6 | 7 | 28-30 | 33 |
| 8. კალიარი | 21 | 9 | 5 | 7 | 34-26 | 32 |
| 9. ბარი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-24 | 32 |
| 10. ჯენოა | 22 | 9 | 5 | 8 | 35-36 | 32 |
| 11. ფიორენტინა | 21 | 9 | 4 | 8 | 28-24 | 31 |
| 12. კიევო | 22 | 8 | 5 | 9 | 23-23 | 29 |
| 13. პარმა | 21 | 8 | 5 | 8 | 24-29 | 29 |
| 14. ბოლონია | 22 | 6 | 6 | 10 | 24-31 | [illegible] |
| 15. ლაციო | 22 | 4 | 10 | 8 | 17-23 | 22 |
| 16. ლივორნო | 22 | 6 | 4 | 12 | 14-30 | 22 |
| 17. უდინეზე | 21 | 5 | 6 | 10 | 23-28 | 21 |
| 18. კატანია | 22 | 4 | 8 | 10 | 22-30 | 20 |
| 19. ატალანტა | 22 | 4 | 5 | 13 | 20-34 | 17 |
| 20. სიენა | 22 | 3 | 4 | 15 | 23-44 | 13 |

**ბომბარდირები:** 13 - დი ნატალე (უდინეზე), მილიტო (ინტერი); 11 - პ. ბარეტო (ბარი), პაცინი (სამპდორია); 10 - მატრი (კალიარი), ტოტი (რომა); 9 - ჯილარდინო (ფიორენტინა), რონალდინიო (მილანი); 8 - დი ვაიო (ბოლონია), ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი), მაკარონე (სიენა).

## სერია B

### გამოტოვებული მატჩები

**ჩიტადელა-ანკონა** 1:0

გოლი: 1:0 არდემანი (90)

**მანტოვა-კროტონე** 2:1

გოლები: 1:0 კარუსი (8), 2:0 სალვიატო (45), 2:1 აბრუცეზე (69)

**სასუოლო-სალერნიტანა** 3:2

გოლები: 1:0 ბალესტრი (37-საკ. კარში), 2:0 კუადრინი (45), 3:0 მარტინეტი (51), 3:1 სოლიგო (58), 3:2 დიონიზი (67)

**ტრიესტინა-პიაჩენცა** 1:3

გოლები: 1:0 კოტაფავა (10), 1:1 კანი (55), 1:2 კანი (64), 1:3 მოსკარდელი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 23 | 11 | 9 | 3 | 37-22 | 42 |
| 2. ლეჩე | 23 | 12 | 6 | 5 | 35-25 | 42 |
| 3. ჩეზენა | 23 | 10 | 9 | 4 | 31-13 | 39 |
| 4. ანკონა | 23 | 11 | 4 | 8 | 32-25 | 37 |
| 5. გროსეტო | 23 | 9 | 9 | 5 | 34-32 | 36 |
| 6. ბრეშა | 23 | 10 | 5 | 8 | 31-28 | 35 |
| 7. ემპოლი | 23 | 9 | 7 | 7 | 28-25 | 34 |
| 8. ფროზინონე | 23 | 10 | 4 | 9 | 32-36 | 34 |
| 9. ალბინოლეფე | 23 | 8 | 8 | 7 | 31-31 | 32 |
| 10. მოდენა | 23 | 9 | 5 | 9 | 20-22 | 32 |
| 11. ტორინო | 23 | 8 | 7 | 8 | 28-21 | 31 |
| 12. ასკოლი | 23 | 8 | 7 | 8 | 35-34 | 31 |
| 13. ჩიტადელა | 23 | 7 | 8 | 8 | 28-27 | 29 |
| 14. გალიპოლი | 23 | 7 | 8 | 8 | 21-29 | 29 |
| 15. ვიჩენცა | 23 | 6 | 10 | 7 | 21-21 | 28 |
| 16. ტრიესტინა | 23 | 7 | 6 | 10 | 24-33 | 27 |
| 17. პადოვა | 23 | 6 | 8 | 9 | 24-26 | 26 |
| 18. რეჯინა | 23 | 7 | 5 | 11 | 27-34 | 26 |
| 19. მანტოვა | 23 | 5 | 10 | 8 | 26-28 | 25 |
| 20. კროტონე (-2) | 23 | 6 | 9 | 8 | 23-30 | 25 |
| 21. პიაჩენცა | 23 | 6 | 6 | 11 | 19-28 | 24 |
| 22. სალერნიტანა | 23 | 3 | 6 | 14 | 21-38 | 15 |

**ბომბარდირები:** 16 - კარაჩოლო (ბრეშა); 15 - ანტენუჩი (ასკოლი); 14 - მასტრონუნციო (ანკონა), პინილია (გროსეტო); 13 - რ. ბიანკი (ტორინო); 12 - ნოსელი (სასუოლო); 10 - არდემანი (ჩიტადელა), ბერნაჩი (ასკოლი).

## ლეგა პრო 1/A

### XXII ტური

ბენევენტო-არეცო 0:1, კრემონეზე-ფოლინიო 4:3, ფილინე-ალესანდრია 2:2, ლეკო-პრო პატრია 2:0, ლუმეცანე-ვარეზე 2:0, ნოვარა-პერგოკრემა 2:0, პაგანეზე-სორენტო 2:1, პერუჯა-კომო 3:1, ვიარეჯო-მონცა 0:0.

## ლეგა პრო 1/B

### XXII ტური

კავეზე-რეჯანა 2:0, კოზენცა-ანდრია 1:1, პესკარა-ჯულიანოვა 1:0, პორტოგრუაროვირტუს ლანჩანო 1:1, რეალ მარჩანიზე-პოტენცა 3:0, სპალ-ტარანტო 0:0, ტერნანა-ვერონა 0:2, რიმინი-პეშინა გადაიდო, რავენა-ფოჯა დღეს.

# სამთაბრძოლა

## სადამდე გაუძლებს ლევერკუზენი ბაიერნის ზეწოლას? შალკეც იქვეა...



ლევერკუზენი ერენ დერდიოკისა და შტეფან კისლინგის წყალობით ლიდერობას ინარჩუნებს

ბევრი ინვალა, თუ ცოტა, **ლუის ვან გაალმა** ბოლოს და ბოლოს „დააყენა“ ისეთი „ბაიერნი“, როგორსაც ამ გუნდის გულშემატკივრები ნატრობდნენ და როგორსაც საფეხბურთო ევროპა იცნობს - „ბაიერნი“, რომელიც ბუნდესლიგაში ყველას შიშის ზარს სცემს. ეს კი უკვე დიდი მიღწევაა იმის ფონზე, რაც რეკორდმაისტერში შარშან ხდებოდა. შაბათს ბავარიელებმა ამბიციურ „მაინცს“ 3:0 მოუგეს. „მაინცი“ სუსტი გუნდი რომ არ არის, ეს ამ სეზონში რამდენჯერმე დაამტკიცა, მაგრამ გუშინწინ **თომას ტუხელის** ბიჭებს ზუსტად ისეთი ნერვიულობა, კომპლექსები და შიში ეტყობოდათ, როგორიც ბუნდესლიგაში „ბაიერნის“ მეტოქეს უნდა ეტყობოდეს, მეტადრე მაშინ, როცა თამაში მიუნხენის „ალიანს არენაზეა“. ნომერ პირველი შიშისმომგვრელი ფეხბურთელი კი **არიენ რობენია**, რომელიც „ბაიერნში“ უკვე აბსოლუტური დომინანტის რანგში გვევლინება. ყველაფერი, რასაც ჰოლანდიელი გარემარბი აკეთებს, სენსაციური და განუმეორებელია. ვან გაალიც გათამამდა და ამბობს, „ბაიერნისთვის“ პრობლემების შექმნა ახლა უკვე მხოლოდ თვითონ „ბაიერნსღა“ შეუძლია, სხვები ველარ გაგვიმკლავდებიანო. რაც შეეხება რობენს: თვით **ფრანკ რიბერიც** კი აღიარებს, რომ დღეს მიუნხენურ გრანდში ნომერ პირველი რობენია. მაგალითად, მესამე გოლის დროს ჯარიმის დარტყმა რიბერის სურდა, მაგრამ არიენმა არ დაანება, თვითონ დაარტყა და გაიტანა კიდეც.

*„ჩვენ რიბერის გარეშეც ძალიან კარგად ვთამაშობთ. ფრანკს სამი თვეა არ უთამაშია და შესაბამისად, კარგად შეთამაშებულ და ძალიან სწრაფ ტემპში მოთამაშე გუნდში მისი ინტეგრირება ცოტათი ჭირს - მიუხედავად იმისა, რომ ის გენიალური ფეხბურთელია. „ვერდერთანაც“ და „მაინცთანაც“ რიბერი ოდნავ ზედმეტი ჩანდა,“* - ეს ვან გაალის სიტყვებია და სწორედ ამიტომ, რიბერი სავარაუდოდ მომდევნო ტურში, „ვოლფსბურგთან“ მატჩშიც სათადარიგო იქნება.

ამრიგად, რეკორდმაისტერს უკვე 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ბოლო შვიდი თამაშიდან, შვიდივე მოიგო. და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, გოლების ზეიმის დროს მიუნხენელები „ტრავმებს“ აღარ იღებენ: გოლის შემდეგ რობენი კვლავ ვან გაალისკენ გაიქცა და მწვრთნელს შეახტა, მაგრამ ლუისმა ამჯერად თავი შეიმაგრა და აღარ დაცემულა...

წინა ტურში წაიფორხილეს (2:2 „ბოხუმთან“), მაგრამ ამ შაბათის შემდეგ, **ლევან ყენიას** „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებას აგრძელებს. **ფელიქს მაგათის** გუნდმა „ჰოფენჰაიმს“ მარტივად, 2:0 მოუგო და „ბაიერნისა“ და „ბაიერის“ ნომერ პირველი მდევრის სტატუსი შეინარჩუნა. რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, გელზენკირხენელებს ძალიან კარგ ფორმაში ჰყავთ **კევინ კურანი**, რომელმაც „სოფლელებთან“ გოლთან ერთად, საგოლე პასიც მიითვალა. შარშანდელ სენსაციურ „შემოდგომის ჩემპიონზე“, „ჰოფენჰაიმზე“ კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამ გუნდს უკვე საბოლოოდ მიენიჭა საშუალო დონის კლუბის წოდება - **რალფ რანგნიკის** შეგირდებს შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ და ბოლო ოთხი თამაში სულაც წააგეს. „ჰოფე“ წელს უკვე ძალიან თავდაუჯერებელი გუნდია, რაც „შალკეს“ პირველი გოლის დროსაც გამოჩნდა: „სოფლელებმა“ **რაფინიას** ფაქტობრივად ნახევარ მოედანზე დრიბლინგის განხორციელების საშუალება მისცეს, რის შემდეგაც ბრაზილიელმა კურანის ჩაუწოდა, ამ უკანასკნელმა კი მიმდინარე სეზონში მე-11 გოლი გაიტანა. „ჰოფენჰაიმის“ მენეჯერი **იან შინდელმაიზერი** ამბობს, კურანის გოლის დროს ძალიან ცუდად გამოვიყურებოდით, დაცვას ეძინა და მეკარესაც დროზე უნდა მოეხდინა რეაგირებაო. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ტაიმში „ჰოფენჰაიმი“ პენალტის დარტყმას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა ვერ (თუ არ) დაინახა, როგორ მოცელა **ვისენტე სანჩესმა ანდრეას ბეკი** „შალკეს“ საჯარიმოში. ზუსტად სამი წუთის შემდეგ კი გელზენკირხენელებმა მეორედ დალაშქეს **ჰილდებრანდის** კარი: **რაკიტიჩის** კუთხურს კურანი გამოეხმაურა, ბურთს მიმართულება შეუცვალა და **შმიტცისკენ** გაგზავნა, რომელმაც ჰილდებრანდს აუღებელი დაურტყა - 2:0. ჩემპიონობისა რა გითხრათ, მაგრამ სამეულში მოხვედრა კი „შალკეს“ ნაღდად შეუძლია.

ბრემენის „ვერდერი“ გოლების გუნდია - გასატანი და გატანილი, გაშვებული და არგასაშვები გოლების გუნდი. შაბათს „მუსიკოსები“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ესტუმრნენ და უკვე მე-18 წუთისთვის მათთვის ყველაფერი დამთავრებული იყო, რადგან პირველივე წუთებში სამი კოხტრ[illegible]ტივა გამოეპარათ და „გლადბახი“ ამ დროისთვის უკვე 3:0-ს იგებდა. მართალია, მატჩი საბოლოოდ 4:3 დამთავრდა, მაგრამ „ვერდერს“ ამ შეხვედრის გადარჩენის რეალური შანსი ფაქტობრივად არ ჰქონია. შესაბამისად, ბრემენული კლუბი კიდევ უფრო მძიმე კრიზისში ჩაიძირა. „ვერდერის“ თავკაცი **თომას შააფი**, რომელიც ამ თანამდებობაზე 11 წელია მუშაობს, იმედგაცრუებულია და უიმედოდ გამოიყურება. არადა, ჯერ კიდევ შემოდგომაზე ბრემენელებს 23-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ, მაგრამ მერე ზედიზედ 5 მატჩი წააგეს. ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი ის, რომ 3:0-ის შემდეგ ბრემენელი ფანები აყვირდნენ, ეს ყველაფერი ყელში ამოგვივიდაო. განსაკუთრებით ცუდად, მეტიც, საზიზღრად გამოიყურებოდა იანვარში ნაყიდი მარცხენა მცველი **აბდენური** - მიონხენგლადბახელებმა პირველი სამი გოლი სწორედ მისი ფლანგიდან, მისი შეცდომების წყალობით გაიტანეს. „ვერდერის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** დაცვის ხაზს აკრიტიკებს, ჩვენმა უკანახაზელებმა ბავშვური შეცდომები დაუშვესო, შააფის გათავისუფლებას კი კატეგორიულად გამორიცხავს:

*„ასეთ რამეზე არც კი დავფიქრდებით. მართალია, ცუდად ვთამაშობთ და საკმაოდ შორს ვართ იმ მიზნებისგან, რაც სეზონის წინ დავისახეთ, მაგრამ სისულელეებს ნამდვილად არ გავაკეთებთ და მწვრთნელს არ შევცვლით“.*

მოკლედ, ბრემენში სრული ქაოსია, მიონხენგლადბახში კი პირიქით, სამმატჩიანი წაგებების სერიის შემდეგ, პირველ გამარჯვებას ზეიმობენ. თავდამსხმელმა **რაულ ბობადილიამ**, როგორც იქნა, აჩვენა ისეთი თამაში, როგორსაც მისგან „გლადბახში“ გადასვლის დღიდან ელიან და ითხოვენ: ამ მატჩში არგენტინელის ანგარიშზე ორი გოლი და ორი საგოლე პასია.

ბერლინის „ჰერტა“ მეორე წრეში აღარ აგებს, მაგრამ ვერც იგებს. კარგად დაწყებული „გადარჩენის საქმე“, დედაქალაქელებმა არცისე კარგად გააგრძელეს და ზედიზედ მეორე ითამაშეს 0:0 - ისევ შინ, ამჯერად უშუალო კონკურენტ „ბოხუმთან“. თუმცა „ჰერტას“ ფეხბურთელებს, მათ შორის **ლევან კობიაშვილსაც**, რომელიც ბერლინელთა შემადგენლობაში ისევ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად აქვთ, რადგან თუკი პირველ წრეში 17 ტურში მხოლოდ 6 ქულა მოიპოვეს, მეორე წრეში 3 თამაშის შემდეგ უკვე 5 ქულა აქვთ აღებული.

**მირკო სლომკას** დანიშვნამ „ჰანოვერს“ კარგი არაფერი მოუტანა. „წითლებმა“ წაგებათა სერია განაგრძეს და ახალი მწვრთნელის ხელშიც კი ზედიზედ მეორე თამაში დათმეს. „ჰანოვერისთვის“ ცუდი ის არის, რომ ამჯერად უშუალო კონკურენტ „ნიურნბერგთან“, თანაც საკუთარ მოედანზე დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ **რობერტ ენკეს** თვითმკვლელობის შემდეგ ამ გუნდს არცერთი თამაში არ მოუგია. შაბათსვე, „კიოლნმა“ კიდევ ერთი გასვლითი თამაში მოიგო (სტუმრად რვამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს). „თხებმა“ ფრანკფურტიდან წაიღეს სამი ქულა (2:1) და აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა აღმასვლა მას მერე დაიწყო, რაც „ლიდერი“ **ლუკას პოდოლსკი** დაუშავდა...

გუშინ ნაშუადღევს, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ბრწყინვალე აღმასვლა და 12-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა - **იურგენ კლოპისა** და მისი „მორბენალი“ შეგირდებისთვის „ბოლო გაჩერება“ შტუტგარტი აღმოჩნდა: 4:1 შვაბების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ „ბორუსიას“ ამ თამაშამდე ზედიზედ ექვსი შეხვედრა ჰქონდა მოგებული. „შტუტგარტი“ კი აღმასვლას განაგრძობს - **კრისტიან გროსის** ხელში შვაბები დაუმარცხებლად ასპარეზობენ.

საღამოს კი, „ლევერკუზენმა“ შაბათს დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა: „ფარმაცევტებმა“ „ფრაიბურგი“ 3:1 დაამარცხეს და კვლავ ინარჩუნებენ პირველ ადგილს. სადამდე გაუძლებს „ლევერკუზენი“ „ბაიერნის“ წნეხს - საკითხავი, აი, ეს არის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

5 თებერვალი. ვერდერი-ჰერტა. 6 თებერვალი. ვოლფსბურგი-ბაიერნი, კიოლნი-ჰამბურგი, ფრაიბურგი-შალკე, ბოხუმი-ლევერკუზენი, ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი, ნიურნბერგი-შტუტგარტი. 7 თებერვალი. მაინცი-ბორუსია (მ), ბორუსია (დ)-აინტრახტი.

### ბოლო წამს...

## ჰიტცლშპერგერი ლაციოში, ვაგნერი ვერდერში

გუშინ, სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, გერმანიაშიც რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდა. ყველაზე მთავარი და საინტერესო გარიგება რომის „ლაციოსა“ და „შტუტგარტს“ შორის მოხდა. რომაელებმა გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **თომას ჰიტცლშპერგერი** სეზონის ბოლომდე გადაიბირეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ლაციომ“ „შტუტგარტს“ 1 მილიონი ევრო გადაუხადა.

საკმაოდ საინტერესო ტრანსფერის „გაჩარხა“ „ვერდერმაც“, რომელმაც „ბაიერნის“ ყოფილი მოთამაშე, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი, თავდამსხმელი **სანდრო ვაგნერი** (დუისბურგი/II ბუნდესლიგა) აიყვანეს.

### ჰამბურგი-ვოლფსბურგი 1:1

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი 3 - ჟ. ბოატენგი 3 (78. დემელი), როზენალი 3, მატიისენი 4, აოგო 3 - იაროლიმი 2.5 (78. ტროხოვსკი), რინკონი 3 - ელია 3.5, იანსენი 2.5 - ბერგი 3.5 (78. პიტროიპა), პეტრიჩი 3.5.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ლენცი 3 - რიტერი 4, მადლუნგი 4, ბარძალი 4, მ. შეფერი 4 - ჟოსუე 3 - ჰასებე 4.5, გენტნერი 4.5 - მიშიმოვიჩი 4 (85. დეჟაგა) - გრაფიტე 4.5, ჯეკო 2.5.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (34), 1:1 ტროხოვსკი (92)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 21(9)-9(3); **ჯარიმა:** 13-25; **კუთხური:** 10-0; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 51 845

### ბაიერნი-მაინცი 3:0

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 4 - ლამი 2, ვან ბუიტენი 2.5, დემიკელისი 3.5, ბადშტუბერი 3 - ვან ბომელი 2, შვაინშტაიგერი 2 - რობენი 1, თ. მიულერი 3.5 - გომესი 3.5 (76. კლოზე), ოლიჩი 4.5 (58. რიბერი 3).

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი 4 - ბუნგერტი 4.5, სვენსონი 4.5, ნოვესკი 4.5, ჰოოგლანდი 5.5 - კარჰანი 5.5, პოლანსკი 5.5 - ივანშიტცი 5.5 (69. ამრი 3.5), შიმაკი 5.5 (46. სოტო 4.5), შიურლე 5 - ბონსე 5 (74. შალაი).

*32-ე წუთზე ბუტმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 1:0 ვან ბუიტენი (58), 2:0 გომესი (75), 3:0 რობენი (86)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 27(11)-6(2); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 9-1; **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 69 000

### ბორუსია (მ)-ვერდერი 4:3

**ბორუსია მ (4-2-2-2):** ბეილი 4.5 - ლეველსი 3.5, ბრაუერსი 5, დანტე 4, დემსი 5 - მარქსი 3.5, ბრედლი 4.5 - როისი 2.5, არანგო 3.5 (85. კლაინე) - კოლაუტი 3 (75. ფრენდი), ბობადილია 1 (80. ჰერმანი).

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე 4.5 - ფრიტცი 3.5, ნალდო 4, მერტეზაკერი 5.5, აბდენური 6 (57. უგო ალმეიდა 4.5) - ფრინგსი 4 - ბოროვსკი 4.5 (64. როზენბერგი 4.5), ჰანტი 3.5 - იოზილი 3 - პისარო 3, მარინი 3.

**გოლები:** 1:0 როისი (4), 2:0 კოლაუტი (13), 3:0 ბობადილია (18), 3:1 იოზილი (26), 4:1 ბობადილია (35), 4:2 პისარო (40), 4:3 ფრინგსი (85-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 10(7)-15(4); **ჯარიმა:** 9-16; **კუთხური:** 0-8; **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 47 458

### ჰერტა-ბოხუმი 0:0

**ჰერტა (4-2-2-2):** დრობნი 3 - პიუჩეკი 4, ა. ფრიდრიხი 3, ფონ ბერგენი 3.5, კობიაშვილი 3.5 - კრინგე 3.5, სისერო 3.5 - ებერტი 5 (70. დომოვჩიისკი 4), რაფაელი 3.5 - გეკასი 5.5 (77. ვიხნიარეკი), რამოსი 4.5.

**ბოხუმი (4-2-2-2):** ჰეერვაგენი 3.5 - კონჩა 3.5, მალტრიტცი 3, მავრაი 3.5, ფუხსი 4 - დაბროვსკი 4.5, მარიჩი 3 - აზაუაგი 5 (66. ფრაიერი 3.5), პროკოფი 4.5 (74. დედიჩი) - ეპალე 4.5, შესტაკი 4.5 (84. ჰაშემიანი).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(5)-17(5); **ჯარიმა:** 21-9; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 59%-42%.

**მაყურებელი:** 38 127

### აინტრახტი-კიოლნი 1:2

**აინტრახტი (4-1-4-1):** ნიკოლოვი 3 - ფრანცი 4 (87. ალვარესი), რუსი 5, კრისი 3.5, შპიხერი 4.5 - ტებერი 4 - ოხსი 3.5, ა. მაიერი 4.5, ლიბეროპულოსი 5 (68. კაიო 3), კიოლერი 5 (62. ქორქმაზი 4) - ჰალილ ალთინთოფი 4.5.

**კიოლნი (4-2-3-1):** მონდრაგონი 3.5 - ბრეჩკო 4, ჟერომელი 3, მოჰამადი 3.5, ვომე 4 - პეტიტი 3, პეცონი 4 - ჩიჰი 4, მანიშე 3 (87. მაკენა), იალსინი 4.5 (54. ტოშიჩი 3.5) - ფრაისი 4 (71. ნოვაკოვიჩი).

**გოლები:** 0:1 მანიშე (59), 1:1 კრისი (76), 1:2 რუსი (84-სა. კარში)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(5)-9(3); **ჯარიმა:** 18-13; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 45 100

### ჰანოვერი-ნიურნბერგი 1:3

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ფრომლოვიტცი 4 - პინტუ 5, ჰაგი 4.5, კ. შულცი 5, რაუში 4.5 - ბალიტში 4, ბრუგინკი 5.5 - შტაინერი 3.5, როზენტალი 5, რამა 4 (66. ჯაპკა 5) - ჰანკე 4.5.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3.5 - დიკმაიერი 3 (67. იუდტი 3.5), მარო 3, ბრენო 2.5, პინოლა 4 - ოტლი 2, ტავარესი 2.5 - აიგლერი 5, მინტალი 3 (73. გიუნდოგანი), ბუნიაკუ 1 (90. ნორდტვეიტი) - ხარისტეასი 3.

**გოლები:** 0:1 ბუნიაკუ (30), 0:2 ბუნიაკუ (64), 1:2 შტაინერი (65), 1:3 ბუნიაკუ (69)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 9(4)-8(4); **ჯარიმა:** 16-14; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 26 722

### შალკე-ჰოფენჰაიმი 2:0

**შალკე (4-1-2-2-1):** ნოიერი 3.5 - რაფინია 2.5 (81. მინეირო), ჰოილედესი 3, ბორდონი 4, შმიტცი 2.5 - მატიპი 3 - მორიტცი 3.5 (72. რეგინიუსენი), რაკიტიჩი 4 - ფარფანი 2.5, სანჩესი 4 (65. ბაუმიოჰანი 2.5) - კურანი 2.5.

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** ჰილდებრანდი 4 - ბეკი 3.5, კომპერი 3, ნილსონი 3.5, აიხნერი 5 (32. ძუკულინი 3.5) - იბერტსბერგერი 4 (70. ჯაბირი 4.5), ლუის გუსტავო 4, სალიჰოვიჩი 4.5 - კარლოს ედუარდო 4.5, იბიშევიჩი 4.5, ვუკჩევიჩი 5 (82. ტაგო).

**გოლები:** 1:0 კურანი (19), 2:0 შმიტცი (49)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 8(3)-9(0); **ჯარიმა:** 28-19; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 37%-64%.

**მაყურებელი:** 60 402

### შტუტგარტი-ბორუსია (დ) 4:1

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი - ჩელოცი, ნიდერმაიერი, ტასკი, მოლინარო - ტრეში, ხედირა - გებჰარდტი (65. კუზმანოვიჩი), გლები (58. ჰილბერტი) - მარიკა, პოგრებნიაკი.

**ბორუსია დ (4-2-3-1):** ციგლერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა (85. გიოტცე), შმელცერი - ჰუმელსი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (22. ლე ტალეკი), ვალდესი (85. ჰაინალი), გროსკროიტცი - ბარიოსი.

*48-ე წუთზე მარიკამ (შტუტგარტი) ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გოლები:** 1:0 ფელიპე სანტანა (14-საკ. კარში), 1:1 ბარიოსი (55), 2:1 კუზმანოვიჩი (77), 3:1 მარიკა (88), 4:1 ტრეში (89)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 10(5)-11(4); **ჯარიმა:** 14-20; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 42 000

### ლევერკუზენი-ფრაიბურგი 3:1

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი - შვააბი, მ. ფრიდრიხი, ჰიიპია, კადლეცი - ვიდალი (90. ლ. ბენდერი), რაინარტცი - ბარნეტა (88. რენატო), კროოსი - კისლინგი, დერდიოკი.

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** პუპლინი - ვილიამსი, ტოპრაკი, ბუტშერი, ბასტიანსი - ფლუმი, ი. შუსტერი (68. ზეხმანი) - დუ-რი ჩა, იდრისუ (80. იეგერი) - მაკიადი (87. აბდესადკი), სისე.

**გოლები:** 1:0 კისლინგი (36), 2:0 დერდიოკი (37), 3:0 ჰიიპია (40), 3:1 ბასტიანსი (66)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 16(9)-5(3); **ჯარიმა:** 10-20; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 26 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 20 | 12 | 8 | 0 | 45-16 | 44 |
| 2. ბაიერნი | 20 | 12 | 6 | 2 | 42-17 | 42 |
| 3. შალკე | 20 | 12 | 5 | 3 | 31-15 | 41 |
| 4. ბორუსია (დ) | 20 | 10 | 6 | 4 | 28-23 | 36 |
| 5. ჰამბურგი | 20 | 9 | 8 | 3 | 37-21 | 35 |
| 6. ვერდერი | 20 | 7 | 7 | 6 | 37-24 | 28 |
| 7. აინტრახტი | 20 | 7 | 7 | 6 | 25-27 | 28 |
| 8. მაინცი | 20 | 7 | 6 | 7 | 24-29 | 27 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 4 | 9 | 27-24 | 25 |
| 10. შტუტგარტი | 20 | 6 | 7 | 7 | 24-25 | 25 |
| 11. ვოლფსბურგი | 20 | 6 | 7 | 7 | 36-39 | 25 |
| 12. ბორუსია (მ) | 20 | 7 | 4 | 9 | 29-34 | 25 |
| 13. კიოლნი | 20 | 6 | 6 | 8 | 17-21 | 24 |
| 14. ბოხუმი | 20 | 5 | 6 | 9 | 22-36 | 21 |
| 15. ფრაიბურგი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-39 | 18 |
| 16. ჰანოვერი | 20 | 4 | 5 | 11 | 22-34 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-35 | 16 |
| 18. ჰერტა | 20 | 2 | 5 | 13 | 16-39 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 - კისლინგი (ლევერკუზენი); 11 - კურანი (შალკე); 10 - ბარიოსი (ბორუსია დ); 9 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი), ჯეკო (ვოლფსბურგი), გომესი (ბაიერნი); 8 - დერდიოკი (ლევერკუზენი), კროოსი (ლევერკუზენი); 7 - ოლიჩი (ბაიერნი), იოზილი (ვერდერი), პისარო (ვერდერი).

### II ბუნდესლიგა

### XX ტური

**დუისბურგი-ზტ. პაული 0:2**

**გოლები:** 0:1 ებერსი (6), 0:2 ნაკი (20)

**ფიურტი-კოტბუსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნიოთე (90)

**კობლენცი-ფორტუნა 1:0**

**გოლი:** 1:0 მავრიჩი (70)

**აუგსბურგი-არმინია 3:1**

**გოლები:** 1:0 თურკი (25), 2:0 თურკი (49), 2:1 ფედერიკო (53), 3:1 ტორგელე (90)

**ალენი-ობერჰაუზენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნ'ძდიაიე (42)

**პადერბორნი-ფრანკფურტი 0:2**

**გოლები:** 0:1 კიდიმარი (1), 0:2 კიდიმარი (89)

**კარლსრუე-მიუნხენ 1860** გადაიდო

**ჰანზა-უნიონი** გადაიდო

**ალემანია-კაიზერსლაუტერნი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზტ. პაული | 20 | 13 | 3 | 4 | 46-20 | 42 |
| 2. კაიზერსლაუტ. | 19 | 12 | 4 | 3 | 27-16 | 40 |
| 3. აუგსბურგი | 20 | 10 | 7 | 3 | 44-28 | 37 |
| 4. არმინია | 20 | 10 | 4 | 6 | 31-20 | 34 |
| 5. ფორტუნა | 20 | 10 | 4 | 6 | 30-20 | 34 |
| 6. დუისბურგი | 20 | 10 | 4 | 6 | 35-27 | 34 |
| 7. უნიონი | 19 | 8 | 5 | 6 | 27-25 | 29 |
| 8. ფიურტი | 20 | 9 | 1 | 10 | 37-33 | 28 |
| 9. პადერბორნი | 20 | 7 | 7 | 6 | 27-27 | 28 |
| 10. მიუნხენ 1860 | 19 | 7 | 5 | 7 | 24-22 | 26 |
| 11. ალემანია | 19 | 7 | 5 | 7 | 19-20 | 26 |
| 12. კარლსრუე | 19 | 7 | 3 | 9 | 27-29 | 24 |
| 13. კოტბუსი | 20 | 6 | 5 | 9 | 28-29 | 23 |
| 14. ჰანზა | 19 | 7 | 2 | 10 | 21-28 | 23 |
| 15. ობერჰაუზენი | 20 | 6 | 3 | 11 | 16-32 | 21 |
| 16. კობლენცი | 20 | 4 | 4 | 12 | 18-36 | 16 |
| 17. ფრანკფურტი | 20 | 4 | 4 | 12 | 14-39 | 16 |
| 18. ალენი | 20 | 2 | 6 | 12 | 11-31 | 12 |

**ბომბარდირები:** 19 - თურკი (აუგსბურგი); 12 - ებერსი (ზტ. პაული); 10 - ფედერიკო (არმინია); 9 - ჰარნიკი (ფორტუნა), ნიოთე (ფიურტი), ზალიკი (პადერბორნი); 8 - ალაგუი (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

**ვეენ-ჰაიდენჰაიმი 1:2, ოსნაბრიუკი-ოფენბახი 1:0.**

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

ეროვნული ბიბლიოთეკა






**21 იანვარი.** განაცხადების მიღების ბოლო დღეს პროფლიგის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატის განცხადება შევიდა ორგანიზაციის ოფისში. ერთადერთ მსურველი გია ფირცხალავა გახდა - ზვიად სიჭინავას გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი.

მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი მომხდარა: ერთადერთი კანდიდატი, პრეზიდენტის გუნდის წევრი, განაცხადის ბოლო დღეს შეტანა - ეს ყველაფერი ქართული რეალობისთვის აბსოლუტურად ლოგიკურია. მოდი, განვმარტოთ. პროფლიგა ფეხბურთის ფედერაციასთან ხმაშეწყობილად უნდა მუშაობდეს და ამდენად, პროფლიგის ხელმძღვანელად ფედერაციის პრეზიდენტის თანამოაზრის მისვლა ლოგიკურია. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ისიც, რომ სხვა კანდიდატები არ გამოჩნდნენ. განაცხადის ბოლო დღეს შეტანა კი უბრალოდ ტაქტიკის ნაწილია. მოკლედ, 25-ში პროფლიგის პრეზიდენტად გია ფირცხალავა რომ არ აირჩიონ, სრულიად წარმოუდგენელი ამბავი იქნება.

**22 იანვარი.** საჭიდაო სახეობებში სკანდალებს და განხეთქილებებს დასასრული არ უჩანს. აგერ ახლა, სპორტსმენთა ნაწილს ხელფასების შემცირება არ მოსწონებია და სპორტიდან წასვლით იმუქრება.

თავისთავად, ხელფასის შემცირებით კმაყოფილი კაცი ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ ისიც ხომ უნდა იცოდე, ხელფასს რაში გიხდიან. და თუ იმ ვალდებლებებს ვერ ასრულებ, რისთვისაც ხელფასი დაგენიშნა, ალბათ, საკუთარ თავს უნდა უსაყვედურო და ბოიკოტით თუ სპორტის მიტოვებით არ უნდა დაიმუქრო. სპორტსმენებს ხელფასი კონკრეტული მიღწევებისთვის დაენიშნათ და როცა მათ შედეგები ველარ აჩვენეს, ხელფასის დამნიშნველებმაც სახელფასო პოლიტიკას გადახედეს.

სხვა საქმეა, თუ სპორტსმენი შედეგს იმიტომ ვერ აჩვენებს, რომ მას ხელს უშლიან და სათანადო პირობებს არ უქმნიან, მაგრამ თუ ასეა, უნდა თქვა. ხელფასმოჭრილ სპორტსმენებს კი მსგავსი არაფერი უთქვამთ.

**23 იანვარი.** დღეს საღამოს ელენე გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ პროგრამაში გამოვა. მოკლე პროგრამის მერე, რაც ელენეს კოზირია, ქართველი გოგონა მეოთხეა და თავისუფალ პროგრამაშიც თუ ასეთივე შედეგს აჩვენებს, ბოდიში მექნება მოსახდელი - წინა კვირაში ჩავწერე ლელოში, ელენემ მოუკლო ციგურაობას-თქო. ნეტავ საბოდიშოდ გამიხდეს საქმე...

**24 იანვარი.** კვირაა, გაზეთი არ გამოდის, გუშინ საღამოს სახლში ვიჯექი და ელენეს ტაშს ვუკრავდი.

**25 იანვარი.** დღესაც ელენეზე უნდა დავწერო. „ლელომ" რუსულ საიტზე მოიძია, ქართველების მოძულე ჟურნალისტს ელენეს ბრინჯაო რომ „გამორჩა" და მეორე ადგილიდან პირდაპირ მეოთხეზე გადახტა. სამაგიეროდ, რუსული „ევროსპორტის" კომენტატორმა მიულოცა ელენეს პირად გულშემატკივარ მიხეილ სააკაშვილს უპრეცედენტო წარმატება.

**26 იანვარი.** გიორგი შაშიაშვილმა „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, ვერ დავიჯერებ, რომ სანაკრებო სიას მხოლოდ კუპერი ადგენდაო. მსგავსი ეჭვი სპორტულ ჟურნალისტებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ და გაცილებით ადრეც, სხვა მწვრთნელების დროსაც. ახლა შიგადაშიგ ფეხბურთელებიც ალაპარაკდნენ. და იცით, რა მაინტერესებს: ის ფეხბურთელები რას იტყვიან, რომლებიც ნაკრებში „ზემოდან" ჩარევის შედეგად მოხვდნენ?

**27 იანვარი.** ფეარ პლეის რეიტინგში საქართველო ევროპაში 42-ე ადგილზეა, ანუ ერთ-ერთი უკანასკნელია. ფეარ პლეის რეიტინგი კი ყვითელ-წითელი ბარათების დათვლის საფუძველზე დგება. 42-ე ადგილი ცუდია, მაგრამ მოდი, მეორე მხრიდან შევხედოთ - უხეშობაში მაინც ხომ ვართ მაგრები.

**28 იანვარი.** გია ტუხაშვილმა მეორე წერილი გამოაქვეყნა სერიიდან „სიცრუის დეტექტორი". ავტორი ამჯერად ქართულ კლუბებში გასასინჯად მოსიარულე ფეხბურთელებზე მოგვითხრობს. წავიკითხე და თვალნათლივ წარმომიდგა ის დრო, საკონტროლო მატჩების გაშუქებისას რამდენი მიწვალია, ვერაფრით რომ ვახერხებდი შემადგენლობების ჩანიშვნას. მწვრთნელს მის გუნდში მოთამაშე ფეხბურთელზე ეკითხები და გპასუხობს, არ ვიცი ვინ არის, ნახევარი საათის წინ მომიყვანესო.

აი, ვისაც საფეხბურთო წრეებში ყველა იცნობს და უდიდეს პატივს სცემს, იმ ადამიანებზე - რამდენიმე საფეხბურთო მოხელეზე - დღევანდელსავე ლელოში" მერაბ მამულაშვილმა დაწერა. დიახ, მართლაც არიან ადამიანები, ფედერაციას თუ პროფლიგას ათი პრეზიდენტი რომ შეეცვალოთ, ისინი მაინც შეუცვლელ თანამშრომლებად რომ დარჩებიან. ნოდარ კაკულია, რეზო შენგელია, მიხეილ საბახტარაშვილი - ამათ გარეშე ბევრი საქმე ვერ გაკეთდება.

**29 იანვარი.** ქუთაისში სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო. მშვენიერი საქმეა, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, განახლებულ მოედანზე ვინ უნდა ითამაშოს და განახლებულ ტრიბუნებზე ვინ უნდა დაჯდეს. მოკლედ, სტადიონის რეკონსტრუქცია მხოლოდ პირველი ნაბიჯია და თუ მომდევნო ნაბიჯები არ გადაიდგა, მხოლოდ რეკონსტრუქცია აზრს კარგავს. ზვიად სიჭინავა აშკარად ენერგიული კაცია და ქუთაისელები როგორ აჰყვებიან, ეგ ჯერ არ ვიცი.

**30 იანვარი.** სხვაც რომ არაფერი ყოფილიყო, მხოლოდ ექტორ კუპერთან ინტერვიუსთვის ღირდა შაბათის „ლელოს" წაკითხვა. პირდაპირ ვთქვათ - ეს არ არის ინტერვიუ კუპერზე, არც ქართულ ფეხბურთზე. ეს არის ინტერვიუ ზოგადად ქართველებზე და ქართულ ხასიათზე და რაც მთავარია, არგენტინელს აბსოლუტურად სწორად აქვს დანახული ქართული ხასიათის თავისებურებები. ქართველ გულშემატკივარს ნაკლებად აღელვებს, როგორ იქცევა ფეხბურთელი მოედანს მიღმაო, - ამბობს კუპერი და ცამდე მართალია. დავძენ: ქართველ გულშემატკივარს ავიწყდება, რომ მოედანს მიღმა ქცევა თუ ზოგადად ცხოვრების წესი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფეხბურთელის თამაშის ხარისხს.

გამოკითხვა

# აჭარის რჩეულნი

ბათუმში სასტუმრო Era Palace-ში აჭარის 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელთა დაჯილდოება გაიმართა....

აღსანიშნავია, რომ 10 საუკეთესო სპორტსმენიდან 6 ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეა: **მინდია წულუკიძე** — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში; **ფირუზ წულუკიძე** — ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში; **არჩილ თურმანიძე** – მსოფლიოს ბრინჯაოს და ევროპის ვერცხლის პრიზიორი დიდებში; **ქემალ ხარაბაძე** – ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ახალგაზრდებში, საქართველოს ჩემპიონი დიდებში; **შმაგი ბოლქვაძე** – ევროპის ვერცხლის პრიზიორი ჭაბუკებში; **ლაშა დოლიძე** – ევროპის ვერცხლის პრიზიორი ჭაბუკებში. სხვა სახეობებიდან დასახელდნენ: **სალომე მელია** — ჭადრაკში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, კანადის, იტალიის, რუსეთის, რუმინეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული დიდებში; **გურამ კუტუბიძე** — ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ტაეკვანდოში; **ვილიამ ალექსიძე** — ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში; **ამირან პაპინაშვილი** — ძიუდოში (დიდებში) მსოფლიოს თასის მფლობელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი.

**საუკეთესო მწვრთნელებად დასახელდნენ: ლევან შავაძე; დიმიტრი ქინქლაძე; ავთანდილ აბულაძე; მურმან ბერიძე** – ყველა ბერძნულ - რომაული ჭიდაობა; **აბესალომ ბასილაია** – ძალოსნობა; **ლევან მგელაძე** – რაგბი; **სულიკო ფეიქრიშვილი** – ძიუდო; **აკაკი ცენტერაძე** – ტაეკვანდო; **თამაზ ფუტკარაძე** – მშვილდოსნობა;

**მირანდა მიქაძე**
ბათუმიდან

წყალხტომა

# სეზონის სტარტზე მედლების სიუხვეს ვარაუდობენ

ჰოლანდიის ქალაქი ეინდჰოვენი 4-7 თებერვალს წყალმხტომელთა მე-9 საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლები იასპარეზებენ. მათ შორის 7 ქართველი სპორტსმენი იქნება **ალექსანდრე ბართაიას** ხელმძღვანელობით (საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია** ტურნირზე მსაჯად არის მიწვეული). შარშან მსგავს შეჯიბრებაზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრიჯაოს მედალი დაიმსახურეს, ოღონდ 2009 წელს ეინდჰოვენში მხოლოდ ახალგაზრდებმა მოსინჯეს ძალები, რადგან უფროსები ჩინეთში გრან-პრიზე იყვნენ წასული. წლეულს კი ჩვენები ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენ.

უფროსებში მედლებისთვის იბრძოლებენ **შოთა კორახაშვილი** და **ჭოლა ჭანტურია**. ისინი უპირველესად საპრიზო ადგილებს სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში შეეცილებიან მეტოქეებს. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში კორახაშვილი ერთ და სამმეტრიანი, ჭანტურია კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან გამოცდიან ახალ ხტომებს, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწი აქვთ, რადგან მხოლოდ სირთულის კოეფიციენტის გაზრდით წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია.

წლეულს იანვარში გადმოინაცვლა უფროს ასაკში **სალომე ჯუღელმა**, რომელსაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზით აქტიური სპორტისთვის ორი წლის განმავლობაში თავი დანებებული ჰქონდა. თუმცა მოკლე დროში მან შეძლო ფორმის აღდგენა. ხუთიდან ორი საკმაოდ რთული ნახტომი აქვს და მათ ჰოლანდიურ ტურნირზე პირველად გამოცდის. ნაკრების მწვრთნელის ირაკლი ბართაიას აზრით, სალომე ჯუღელი მალე საქართველოს ეროვნულ გუნდს გააძლიერებს და არის გამორიცხული, 2011 წლიდან მან ჭანტურიასთან და კორახაშვილთან ერთად ლონდონის ოლიამპიადის საგზურისთვისაც იბრძოლოს.

**თეონა ყაჭეიშვილი** და **აკაკი ივანიშვილი** 15 წლისანი არიან, ეინდჰოვენში ისინი 19-წლამდელთა ტურნირში იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის. თეონა ერთმეტრიანი, აკაკი კი ერთ და სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში გამოვა, თანაც 14 წლის **ალექსანდრე გუჯაბიძესთან** ერთად სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებშიც იასპარეზებს. ამასთანავე, გუჯაბიძე სამმეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებშიც შეეჯიბრება ორი წლით უფროს კონკურენტებს.

ეინდჰოვენის შარშანდელ ტურნირზე ქართველთაგან ორი ოქროს მედალი 12 წლის **თამარ სიჭინავამ** მოიპოვა. იგი წლეულსაც 14-წლიანებში ცდის ძალებს სამ სახეობაში. მართალია, მეტოქეებზე ორი წლით უმცროსია, მაგრამ მაინც ტურნირის ფავორიტად ითვლება.

— უფროსი ასაკის წყალმხტომელებისთვის ეს შეჯიბრება მზადების მეორე ეტაპია, — გვითხრა ირაკლი ბართაიამ. — თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში ჩვენი სპორტსმენები გრან-პრის სერიებში გამოვლენ, 8-15 აგვისტოს კი ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე დაიცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას. ახალგაზრდები ევროპის პირველობისთვის ემზადებიან, რომელსაც 7-13 ივნისს ჰელსინკი უმასპინძლებს. ძალების გამოსაცდელად ეინდჰოვენის ტურნირს ჩვენი გოგო-ბიჭებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მადლობა თბილისის მერიის სპორტის სამსახურს, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად დაგვაფინანსა. ვეცდებით, ჰოლანდიიდან უხვი ნადავლით დავბრუნდეთ.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

# პირველი ღია საზეიმოდ დაიხურა

თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატის მეორე დღეს მძლეოსნებმა ხუთ სახეობაში მოსინჯეს ძალები. დიდ ინტერესს იწვევდა სიგრძეზე ხტომაში ასპარეზობა ვაჟთა შორის. ამ სახეობას დაუბრუნდა ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე **დავით ილარიანი**, რომელმაც წინა დღეს 60 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა. მის უშუალო კონკურენტად ახალგაზრდა ახმეტელ სპორტსმენს **ლაშა ლულელაურს** მიიჩნევდნენ. ბოლო ორი წელიწადია, იგი თამამ განაცხადს აკეთებს სამხტომში. შარშან ახალგაზრდებში ორჯერ საქართველოს რეკორდიც კი გააუმჯობესა. მოსალოდნელი დუელი არ შედგა, რადგან ლულელაურს ასპარეზობის პირველ დღეს სამხტომში პაექრობისას (I ადგილი დაიკავა) ცივ დარბაზში კუნთი დაეჭიმა და ამჯერად ნატკენი ფეხით მხოლოდ 6,5 მეტრი დაძლია, რაც ოდენ მესამე ადგილისთვის გახდა საკმარისი. პირველობა ილარიანს ერგო. ახალგაზრდა მეტოქეს მან 46 სანტიმეტრით აჯობა.

აქვე გაუწყებთ თბილისის ღია ჩემპიონატის მეორე დღის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ქალები. 200 მ:** 1. სალომე აბშილავა (ზუგდიდი, 27,1), 2. თამარ გელაშვილი (ქუთაისი, 27,5), 3, სალომე სირაძე (ქუთაისი, 27,6). **800 მ:** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.22,3), 2. ნესტან ირემაძე (ჭიათურა, 2.39,9), 3. ხატია სოსელია (ზუგდიდი, 2.44,7). **60 მ. თარჯრბენი:** 1. ნანა კაშია (ქუთაისი, 9,3), 2. თეა თაცურია (ფოთი, 9,4). 300 მ: გიული დეკანაძე (ვანი, 11.11,5). **სიგრძეზე ხტომა:** 1. ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი, 5,32), 2. სალომე აბშილავა (თბილისი, 5,18). 3. თათია პაიკიძე (ვანი, 4.52).

**ვაჟები. 200 მ:** 1. გიორგი ანთელიძე (თბილისი, 22,3), 2. დენის ჟვანია (თბილისი, 22,5), 3. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-თბილისი, 22,8). **800 მ:** 1. თემურ გუგუშვილი (თბილისი, 2.06,0), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 2.06,1). 3. თორნიკე კაპანაძე (თბილისი, 2.07,3). **3000 მ:** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 8.58,2), 2. გიორგი ლომიძე (თბილისი, 9.52,3). **სიგრძეზე ხტომა:** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 6,96), 2. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 6,55), 3. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 6,50).

დიდუბის მანეჟში სეზონის პირველი ღია პირველობა საზეიმოდ დაიხურა. გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. 12-13 თებერვალს აქვე 1993-1996 წლებში დაბადებული სპორტსმენები იასპარეზებენ, ხოლო 5-6 მარტს საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ტყვიის სროლაში ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსანს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს და რეკორდსმენს, მსოფლიო სუპერთასის რვაგზის მფლობელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერს, საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ნინო სალუქვაძეს.



■ ■ ■

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის ერთადერთ მფლობელს, მსოფლიო სუპერთასის რვაგზის, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს და რეკორდსმენს, საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენოსანს ნინო სალუქვაძეს.

ჭადრაკი

# ძაგნიძე ლიდერებს ნამოენია

გასულ უქმეებზე გიბრალტარის ღია პირველობაზე მოჭადრაკეებმა ორი ტურის პარტიები გაითამაშეს. ჩვენდა გასახარად, შესანიშნავად ითამაშა **ნანა ძაგნიძემ**, რომელმაც ზედიზედ სძლია შვეიცარიელ **ქამბეზ ნურისა** და ინგლისელ **ადეო დასაოლუს**. **ლელა ჯავახიშვილი** მეოთხე ტურში ინდოელ **გიტა ნარაიან გოპალთან** დამარცხდა, მეხუთეში კი ჩილელ **ფერნან როსეგოს** მოუგო.

ხუთი ტურის შემდეგ გერმანელ **იან გუსტაფსონსა** და **მაიკლ ადამსს** 4,5-4,5 ქულა აქვთ. მეექვსე ტურში სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს. 15 მოჭადრაკე ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. მათ შორისაა ნანა ძაგნიძე, რომელიც თეთრებით ინდოელ **ჩანდა სანდიპანს** დაუპირისპირდება. ლელა ჯავახიშვილმა 3,5 ქულა მოაგროვა. მისი მეტოქეა გერმანელი **პეტერ დიტმარი.**

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

თვის მონაგარი

იანვარი, 2010

**10. სუმო:** დაიწყო იანვრის ბაშო, სადაც ელიტაში სამი ქართველი სუმოისტი ჭიდაობს.

**16. კალათბურთი:** გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში: პოლონეთი, ბელგია, ბულგარეთი, პორტუგალია.

**16. ფეხბურთი:** შედგა ლევან კობიაშვილის დებიუტი ბერლინის „ჰერტაში".

**17. ძიუდო:** კორეულ მასტერსზე ლომერ ჟორჟოლიანმა მე-3 ადგილი დაიკავა.

**22. ჭადრაკი:** საქართველოს ჩემპიონი სალომე მელია გახდა

**23. ფიგურული ციგურაობა:** ელენე გედევანიშვილმა ტალინში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა.

**23. ხელბურთი:** ჩელენჯ ტროფის ფინალში საქართველომ ფინეთთან 28:30 წააგო.

**23-24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** გაიმართა საქართველოს პირველობა.

**24: სუმო:** თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) ძურიოს დივიზიონი მოიგო

**25. ფეხბურთი:** გია ფირცხალავა პროფლიგის პრეზიდენტად აირჩიეს.

**25: ჭადრაკი:** ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონი მერაბ გაგუნაშვილი გახდა.

**26. ფეხბურთი:** ზურაბ ხიზანიშვილი სეზონის ბოლომდე „რედინგში" გადავიდა.

**27-28: თავისუფალი ჭიდაობა:** ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

**30-31: ძიუდო:** გაიმართა თბილისის მსოფლიო თასი.

**31: ფეხბურთი:** უჩა ლობჟანიძე 2 მილიონ ევროდ „ზესტაფონიდან" უკრაინულ „დნიპროში" გადავიდა.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ძიუდო

თბილისის მსოფლიოს თასი 30-31 იანვარი

# ბოდაველი ხმაურით დაბრუნდა

4-4 ოქრო, ვერცხლი და 7 ბრინჯაო, ანუ ჯამში 15 მედალი - ასეთი შედეგით დაასრულა 2010 წლის მშობლიური მსოფლიოს თასი საქართველოს ნაკრებმა. ტურნირის ჩემპიონები **დავით ასუმბანი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ლევან წიკლაური** (81) და **მინდია ბოდაველი** (90) გახდნენ, ვიცე-ჩემპიონები - **ბეთქილ შუკვანი** (60), **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **რევაზ ჩიკოიძე** (100) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ბრინჯაოს მედლებს **ამირან პაპინაშვილი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (73), **იოსებ წელაური** (81), **დავით კარბელაშვილი** (81), **დავით ლორიაშვილი** (100), **ნოდარ მეტრეველი** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) დაეუფლნენ. ამ წარმატებით ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაში საგრძნობლად ჩამოიტოვეს 5-5-მედლიანი რუსეთი და იაპონია.

წლევანდელ ტურნირზე წინამორბედებივით ვარსკვლავების სიმრავლე არ იგრძნობოდა, ჭარბობდნენ ახალგაზრდები, რომელთა შორის საკმაოდ იყვნენ სახელიანები. ეს სეზონი არც სალიცენზიოა და გუნდების უმეტესობაც ძალებს იკრებს საოლიმპიადოდ - დაკვირვება-დახარისხების პროცესი მიმდინარეობს. თებერვალში შიგ შუაგულ ევროპაში ზედიზედ ოთხი პრესტიჟული ტურნირი ტარდება და კონტინენტის პირველობისთვის შესარჩევად ევროპელები იმათ გამოიყენებენ. გაისიდან კი, როცა ლიცენზიებისთვის ბრძოლა გახურდება, ჩვენი ტურნირი მეტი სიძლიერისა იქნება. არახელსაყრელი ვადების მიუხედავად, თბილისში 13 უცხოური ნაკრები მაინც გვესტუმრა.

თამამად შეიძლება ითქვას, ამ ტურნირზე ჩვენი მედალოსნებიდან თუვინმემ გაგვაოცა, უპირველესად, მინდია ბოდაველმა. არა იმიტომ, რომ ურიგო მოჭიდავეა, არამედ ისეთი მაღალი დონის ჭიდაობისთვის, რაც ფინალში გვანახა რუს **კამილ მაგომედოვთან** - ათენის ოლიმპიადაზე **ზურაბ ზვიადაურის** მერე ასეთ დახვეწილ იპონს ვერ ვიხსენებ. სპორტის სასახლეში მან ოთხი შეხვედრა გამართა და აქედან სამი იპონით მოიგო. ერთადერთი, ვისაც ქულებით გაუსწორდა, იაპონელი **იუკი ჰარუიამა** იყო ნახევარფინალში, თორემ მოლდოველ **კორნელიუ დუდნიცს** და უკრაინელ **ვლადისლავ პოტაპოვს** იოლად გაუსწორდა. ბოდაველს გამარჯვება არც ერთ შეხვედრაში არ გაუხდია საეჭვოდ, თვით იაპონელთანაც კი. მას შემდეგ, რაც ათენის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ციკლში ზვიადაურთან კონკურენციაში ძიუდოისტთა ნაკრებში ადგილი დაკარგა, ბოდაველმა სამბოში გადაინაცვლა და იქ მოიპოვა ევროპა-მსოფლიოს ჩემპიონობა, თუმცა ძიუდოსთან კავშირი არ გაუწყვეტია და სულ ცდილობდა აქ დაბრუნებას. საქართველოს წლევანდელ პირველობაზე მან 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა და მეხუთეზე დარჩა, საამტურნიროდ კი მშობლიურ 90-ს დაუბრუნდა და წარმატებითაც. კიდევ ერთხელ ვიტყვით - მისი საფინალო ჭიდაობა ამ ტურნირის მშვენება გამოდგა. თანაც, ფინალში ტრავმირებული ჭიდაობდა.

ბოდაველის არ იყოს, ფინალში ქრესტომათიაში შესატანი იპონი გაუკეთა ახალგაზრდა კონკურენტს ასუმბანმაც. ის შუკვანთან საქართველოს ჩემპიონატზე დამარცხდა - მსაჯებმა იპონი ვაზარად გადაუკეთეს, მერე კი ფეხში ჩავლებისთვის საერთოდ მოხსნეს. ამჯერად მობილიზებული გამოვიდა და წმინდა მოგებები არა მარტო შუკვანთან, სომეხ **გორ მკრტიჩიანსა** და აზერბაიჯანელ **ვუგარ შირინლისთანაც** მიითვალა. მას ყველაზე უფრო მძიმე ბრძოლა ნახევარფინალში იაპონელ **ტაკეში მაცუკისთან** გადახდა, რომელსაც იუკოთი მოუგო. საკმაოდ გაუჭირდა ბერძენ **დიმოკრიტოს მანოუსარიდისთანაც**, თუმცა მას უფრო დიდი უპირატესობით აჯობა.

ადრინდელისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ლევან წიკლაურიც. მისი საჭიდაო სტილი ხარკს ჯერაც უფრო სამბოს უხდის, თუმცა ეს ჩოქბჯენში ჭიდაობისას ადგება კიდეც. რაც მთავარია, ის ამჯერად უფრო თამამი, უფრო გახსნილი, უფრო ჟინიანი და შეტევაზე დაგეშილი ჩანდა. მართალია, ახლაც სიფრთხილის ზღვარზე ჭიდაობდა, მაგრამ არა იმდენად ფრთხილად, ინიციატივა მეტოქისთვის დაეთმო. საყურადღებოა, რომ მთელ ტურნირზე მსაჯებს ერთხელაც არ გაუფრთხილებიათ, ასეთი პრაგმატიზმი კი სიფრთხილესთან ძნელი შესაგუებელია. ასუმბანის არ იყოს, მასაც საქართველოს პირველობიდან გამოყოლილი რევანშის სურვილი ამოძრავებდა და აილო კიდეც - ქუთაისში **იოსებ წელაურთან** დამარცხდა, ამჯერად კი დამაჯერებლად მოუგო. მაშინ მათი ჭიდაობა დუნე და მოსაწყენი სანახაობა იყო, რომელიც უქულოდ დამთავრდა, ახლა კი წიკლაურმა ორი იუკო და ვაზარი აართვა მეტოქეს. ასეთი ტექნიკური ჭიდაობაც მისი პროგრესის ნიშანია. ის ახლა ბევრად მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში. მან ტურნირი უკრაინელ **ალექსეი ნიჟენკოსთან** ორი ვაზარით დაიწყო, ასპარეზობა აზერბაიჯანელ **სეიმურ რზაზადესთან** წმინდა გდებით გააგრძელა, გზად წელაურიც ჩამოიცილა და ფინალში ხუციშვილი დააიპონა. იმედია, მისი პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება და უფრო ძლიერ ტურნირებზეც გვასახელებს.

ქარდავა რაღაც უცნაურ მოჭიდავედ ჩამოყალიბდა - შინაურ ტურნირებში მუდამ ფავორიტია და იმედებს უმეტესად სრულად ამართლებს, უცხოეთში კი ჯერ ყველაფერი დასამტკიცებელი აქვს. ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმაც** ამიტომ წაიყვანა ტოკიოში, კანოს მემორიალზე, სადაც მონღოლ მსოფლიოს ჩემპიონ **ჩაგანბაატარ ხაშბაატართან** დამარცხდა. ამ გამარჯვებით მან ისევ მოიპოვა გამოცდის უფლება და, იმედია, ამჯერად მეტი წარმატებით ჩააბარებს. ყოველ შემთხვევაში, აქ ურიგოდ არ უჭიდავია - ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო და ვერც მეტოქეთა უმრავლესობას ვუწოდებთ დამწყებს. ასეთი **ბრედფორდ ბოლენს** თუ ეთქმის, თორემ ბერძენთა ქართველყოფილი **ლავრენტის ალექსანიდისი**, იაპონელი **ჯუნპეი მორიშიტა** და აზერბაიჯანელი **სამირ დადაშზადე** უკვე ანგარიშგასაწევ ფალავნებად იქცნენ. იქნებ ალექსანიდისი (**თემურ გივიაშვილი**) უკვე ასაკოვანია, მაგრამ ქარდავასნაირი გამოუცდელისთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა. მორიშიტა კანოს ტურნირის მესამე პრიზიორია, დადაშზადეს კი საერთაშორისო ტურნირებში გვარიანი წარმატებებისთვისაც მიუღწევია, ხოლო ამ ტურნირზე **ნესტორ ხერგიანი** დაგვიმარცხა. ამათგან ქარდავამ ქულებით მხოლოდ მორიშიტას აჯობა, დადაშზადე კი მსაჯებმა ფეხში შესვლისთვის სრულიად სამართლიანად მოხსნეს. თუმცა ჩვენებური მანამდეც აქტიურობდა და ანგარიშიც მიჰყავდა უკვე.

ცალკეული წონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრად მეტს ველოდებოდით თუნდაც 73, 90-ის, 100, +100 წონითი კატეგორიებისგან. მართალია, აქ უმედლოდ არ დავრჩით, მაგრამ ცუდია, რომ წამყვან ფალავანთა უმეტესობა ადრევე დამარცხდა. მთლიანობაში, ამ წონებიდან ზოგან ხარისხობრივად, ზოგან კი რაოდენობრივად ველოდებოდით ბევრად მეტ მედალს. ერთი შეხედვით, ურიგოდ არ უჭიდავიათ კედელაშვილს, მეტრეველს, ლორიაშვილს, ოქრუაშვილს, მაგრამ მათგან ცოტა მეტის მოლოდინი გვქონდა. სხვა საქმეა ჩიკოიძე, რომელსაც ჯერაც საგრძნობლად ეტყობა სამბოს გავლენა. მას ურიგო შთაბეჭდილება არც ქუთაისში დაუტოვებია და არც ახლა, მაგრამ შესარჩევ შეხვედრებში ნეკნი იტკინა და ფინალი ვერ იჭიდავა. ვერ ვამტკიცებთ, რომ რუს **მაგომედ მაგომედოვს** დაამარცხებდა - ის უდავოდ გამორჩეული იყო და სავსებით სამართლიანად დაგვიიპონა მეტრეველიც და ლორიაშვილიც, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ამ წონაში აუცილებლად უნდა მოუმატონ მეტრეველმაც და ლორიაშვილმაც - მათ ჭიდაობა ცალკეული გაელვებების მიუხედავად, ვერ იყო მთლად დამაკმაყოფილებელი. თავიდან ოქრუაშვილმაც ისე დაიწყო ფინალი, ოქროს იმედი გაგვიჩინა, მაგრამ **მასარუ მომოსემ** კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, იაპონელებთან ხუმრობა არ შეიძლება. შედარებით ტანდაბალ მომოსეს ფინალში ძლივს ელირსა თავის თანატოლთან ჭიდაობა - ხანჯალიაშვილიც და რუსი **რენატ საიდოვიც** რამდენიმე თავით ალემატებოდნენ, მაგრამ კინაღამ იქ დაუცდა ფეხი.

გაცილებით მეტს ველოდებოდით მოჭიდავეთა იმ ჯგუფიდან, რომლებიც წინა ნაკრებში თავიანთი წონების ლიდერებად გვევლინებოდნენ. ამ ჯგუფში უკვე ხსენებული კედელაშვილისა და ოქრუაშვილ-ხანჯალიაშვილის გარდა, ხერგიანიც შედის, რომელიც პირველივე წრიდან გავარდა. მან და კედელაშვილმა ახალ წონებში იჭიდავეს, თუმცა სულ მალე ხერგიანი კვლავ 60 კილოგრამ წონით კატეგორიას დაუბრუნდება. თუმცა ჩვენთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება **პაატა მერებაშვილის** (60), **ვალერი ლიპარტელიანის** (90) და **საბა გავაშელიშვილის** (90) მარცხი იყო. მერებაშვილი ძალზე უფერული, თითქოს მოშვებული ჩანდა და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში პაპინაშვილს ვერაფერი მოუხერხა. ვფიქრობთ, უკვე საგანგაშოა ლიპარტელიანის წარუმატებლობაც - ზედიზედ მეორე ტურნირია, პირველივე წრეში აგებს. არადა, ამჯერად უკრაინელ **დმიტრო ბერეჟნისთან** ვაზარ-იუკოს იგებდა და ფეხში ხელის წავლებისთვის მოხსნეს. აქ იმის გახსენებაც შეიძლება, რომ საქართველოს ჩემპიონატზე გავაშელიშვილსაც ასევე ვაზარ-იუკოს უგებდა, მაგრამ სიჩქარეში შეცდა და მეტოქემ იპონზე დააგდო. მან უნდა ისწავლოს ტაქტიკური ჭიდაობა, ანგარიშის შენარჩუნება, ტატამზე ძალებისა და დროის გადანაწილება...

როცა მსაჯებმა ლიპარტელიანი მოხსნეს, გავაშელიშვილი ზუსტად იმ დროს გამოვიდა პირველ შეხვედრაში მეორე უკრაინელთან - **დმიტრო მარკოვთან** და 12 წამში ისეთი დააწყვიტა ტატამს, თქვენი მოწონებული! ჩვენებური აქაც ისეთი შემართული და მობილიზებული ჩანდა, როგორც საქართველოს ჩემპიონატზე, მაგრამ კამილ მაგომედოვთან რაღაც დაემართა... აქ მსაჯებმა მას წმინდა გდება კი გაუუქმეს, მაგრამ ვაზარ-იუკოს მაინც იგებდა, თუმცა ამის შემდეგ მოიშალა და ფიზიკურად გაუჭირდა. ისე ჩანდა, თითქოს იმ ორ გდებას შეალია მთელი ენერგია და შეხვედრის მიწურულს რუსმა იპონი გაუკეთა. იმედია, ისიც გამოასწორებს მდგომარეობას და ამ წონაში კვლავ გაჩნდება ძლიერი კონკურენცია.

ჩვენი ნაკრებისთვის უახლოესი შეჯიბრება 6-7 თებერვალს პარიზში გასამართი „დიდი მუზარადია“, თუმცა იქ წასაყვან შემადგენლობას ტოტიკაშვილი ხვალ დაასახელებს. ტურნირის დასრულების შემდეგ მან გუნდის გამოსვლა ასე შეაფასა: „მგონი, გუნდის გამოსვლა დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს. მე უფრო ის მაინტერესებდა, ბიჭები როგორი განწყობით, როგორი მებრძოლი სულით ჩაატარებდნენ ყველა შეხვედრას. შედეგთან ერთად მაინტერესებდა ჭიდაობის ხარისხიც. თვითონ ნახეთ, რომ მხოლოდ გავაშელიშვილს დაეტყო დაღლა და არ ჰყოფნიდა სუნთქვა, დანარჩენებს კი ეს პრობლემა არ აწუხებდათ. გუნდთან მუშაობა სულ ორი თვის წინ დავიწყე, რაც ძალზე მცირე დროა. ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ჯერ კიდევ გვექნება შეკრებებიც და ტურნირებიც, მანამდე კი ყველას მინდა ვთხოვო - ქომაგსაც და ხელმძღვანელობასაც, რომ შედეგებისთვის, გუნდის ჩამოსაყალიბებლად ერთი წელიწადი მაინც მჭირდება.

უახლოესი ტურნირი საფრანგეთის „დიდი მუზარადია“, თუმცა იმის გარდა კიდევ გვექნება ოთხი ტურნირი და ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველას მიეცემა. მათ შორის იმათაც, ვინც ახლა ვერ გამოიჩინა თავი. ცალკეული მოჭიდავეებიდან გამოვარჩევ ასუმბანს და შუკვანს. ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ წონაში ასეთი კონკურენცია შემექმნა. ნეტავი, მსგავსი მდგომარეობა ყველგან იყოს. ასევე გამოვარჩევ ბოდაველსაც, რომელსაც ტრავმების გამო თითქოს არ უნდა ეჭიდავა, მაგრამ ექიმების დახმარებით მაინც იასპარეზა და ბრწყინვალედაც. ცოტა მეტს ველოდებოდი 73 კილოგრამში მოასპარეზე ახალგაზრდებისგან. ეტყობა, საკუთარი მაყურებლის თვალწინ ჭიდაობა ძნელია და ამიტომ ვერ იჭიდავეს უფრო უკეთ. მათ კიდევ მიეცემათ შანსი საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. რაც შეეხება ხერგიანს, ის ძალზე მშრომელი, წარმატებული და თავისი საქმის მცოდნე სპორტსმენია. მან ამჯერად ზედა წონაში იჭიდავა, მაგრამ ეს არაა მისი წონა და გერმანიის ტურნირისთვის ისევ 60-ში დაბრუნდება. ჩვენთვის მთავარი ორიენტირი მაინც ოლიმპიური თამაშებია და საამისოდ აქცენტს ახალგაზრდებზე ავილებთ“.

**ირაკლი თავაძე**



მინდია ბოდაველი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



დავით ასუმბანი (მარცხნივ)

### ქვარცხლბექი

**60 კგ:** 1. **დავით ასუმბანი**; 2. **ბეთქილ შუკვანი**; 3. **ამირან პაპინაშვილი** (ყველა - საქართველო); 3. **ტაკეში მაცუკი** (იაპონია).

**66 კგ:** 1. **შალვა ქარდავა** (საქართველო); 2. **სამირ დადაშზადე** (აზერბაიჯანი); 3. **ჯუნპეი მორიშიტა** (იაპონია); 3. **სერგეი პლიევი** (უკრაინა).

**73 კგ:** 1. **მურატ კოძოკოვი** (რუსეთი); 2. **რონალდ ალჟერი** (საფრანგეთი); 3. **ზაზა კედელაშვილი** (საქართველო); 3. **რიო საიტო** (იაპონია).

**81 კგ:** 1. **ლევან წიკლაური**; 2. **ხვიჩა ხუციშვილი**; 3. **იოსებ წელაური**; 3. **დავით კარბელაშვილი** (ყველა - საქართველო).

**90 კგ:** 1. **მინდია ბოდაველი** (საქართველო); 2. **კამილ მაგომედოვი** (რუსეთი); 3. **იუკი ჰარუიამა** (იაპონია); 3. **ვლადისლავ პოტაპოვი** (უკრაინა).

**100 კგ:** 1. **მაგომედ მაგომედოვი** (რუსეთი); 2. **რევაზ ჩიკოიძე**; 3. **დავით ლორიაშვილი**; 3. **ნოდარ მეტრეველი** (ყველა - საქართველო).

**+100 კგ:** 1. **მასარუ მომოსე** (იაპონია); 2. **ადამ ოქრუაშვილი**; 3. **ზვიად ხანჯალიაშვილი** (ორივე - საქართველო); 3. **რენატ საიდოვი** (რუსეთი).

წყალბურთი

## მარცხით დაიწყეს

დნეპროძერჟინსკში გუშინ დაიწყო სახელოვანი წყალბურთელის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის **ალექსეი ბარკალოვის** მე-6 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საქართველოს, თურქეთისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ასპარეზობის სტარტზე ჩვენი სპორტსმენები თურქებს დაუპირისპირდნენ. პირველი პერიოდი 0:3 წააგეს, მეორეც სამბურთიანი სხვაობით (2:5) დათმეს. მესამე-მეოთხე პერიოდებში ქართველმა წყალბურთელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ - 8:15. გუშინვე უკრაინამ პოლონეთს სძლია - 17:10 (6:2, 4:3, 4:3. 3:2.)

ჩვენები დღეს პოლონელებს, ხვალ კი უკრაინელებს შეხვდებიან.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალათბურთი

*საქართველოს ჩემპიონატი. II წრე. I ტური.*

# მეორე წრე 23 მოხსნით გაიხსნა

**ბათუმი-დინამო 97:91**

26:12, 19:41, 24:15, 28:23

ბათუმი: თავართქილაძე (2ქ), ზ. ლეჟავა (15ქ), კეშელავა (7ქ), იმნაძე (33ქ, 23მ), როდუმტა (20ქ), მაისურაძე (5ქ), ნინუა (6ქ), მ. ბოლქვაძე (9ქ), მიქელაძე *

დინამო: ნანიტაშვილი (8ქ), ეძგვერაძე (7ქ), ხანიაშვილი (13ქ), გემაზაშვილი (5ქ), ჯანგველაძე (4ქ), სანაძე (35ქ), სიგუა (15ქ), კოპალიანი (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: მ. ქურიძე

| | თ | მ | ნ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 9 | 9 | 0 | 841-567 | 18 |
| 2. თსუ | 9 | 8 | 1 | 867-682 | 17 |
| 3. ბათუმი | 10 | 7 | 3 | 893-767 | 17 |
| 4. აგრარული | 9 | 7 | 2 | 671-549 | 16 |
| 5. შსს | 9 | 4 | 5 | 785-722 | 13 |
| 6. დინამო | 10 | 3 | 7 | 723-878 | 13 |
| 7. სოხუმი | 9 | 3 | 6 | 647-732 | 12 |
| 8. სამედ.აკად. | 9 | 1 | 8 | 585-720 | 10 |
| 9. ჭიათურა | 9 | 0 | 9 | 531-960 | 9 |

სუპერლიგა ბათუმში განახლდა. მეორე წრის პირველ ტურში აჭარლებმა თბილისის „დინამოს" უმასპინძლეს და 97:91 დაამარცხეს.

შეხვედრის სამი პერიოდი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვება ლოგიკურიც იყო. თუმცა მეორე მეოთხედში ბათუმელებმა „დინამოს" შეჩერება ვერ მოახერხეს და 10 წუთში თბილისელებმა 41:19 იმარჯვეს.

მეორე ტაიმში ზღვისპირელებმა თამაში შემოატრიალეს და სეზონში მე-7 მოგება გაიფორმეს.

ბათუმელთა რიგებში **დავით იმნაძე** გამოირჩა, რომელმაც 33 ქულას 23 მოხსნა მიამატა. 23 მოხსნა მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდია - დათომ თავისივე 20-იანი რეკორდი გააუმჯობესა.

დინამოელთა ბომბარდირი გახდა **გია სანაძის** ვაჟი **დუდა**. მან 35 ქულა ჩააგდო.

სუპერლიგის დარჩენილი 3 მატჩი 3 თებერვალს თბილისში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „ავიამშენის" გამოთიშვის გამო მეორე წრეში მის ყველა მეტოქეს 20:0 ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვლება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ლეგიონერები*

# მანუს 16 ქულა ბენეტონს

სერია A-ს მორიგ ტურში **მანუჩარ მარკოიშვილი** ყოფილი კლუბის, „ბენეტონის" წინაშე წარდგა. მანუს „კანტუ" ტრევიზოში ჩავიდა და ფავორიტ მასპინძლებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

ვიდრე შეხვედრის მსვლელობაზე ვიტყოდეთ, მანუჩარის მონაგარს გაგაცნობთ. იგი კანტუელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო, 32 წუთში 16 ქულა, 8 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. მანუს არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 7-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. იგი სასტარტო შემადგენლობაში რომ ითამაშებდა, ამის შეხსენება აღარ დაგჭირდებათ. „კანტუს" სნაიპერი **გრინი** გახდა, რომელმაც 21 ქულა ჩააგდო.



მატჩის ბომბარდირობა ბენეტონელმა **დავორ კუშმა** იკისრა, რომლის ჩუბინობამაც თამაშის ბედი გადაწყვიტა - მან 34 ქულა მოაგროვა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და დიდი შესვენების წინ დაფიქსირებული ანგარიშიც ლოგიკური იყო - 44:44. პირველ ნახევარში მარკოიშვილის აქტივში 10 ქულა იყო.

მესამე პერიოდის ბოლოს „ბენეტონმა" კუშის ზუსტი თამაშის წყალობით სხვაობა 8 ქულამდე გაზარდა, თუმცა მალე მარკოიშვილმა სხვაობა 6 ქულა გახადა (62:68). მანვე მეოთხე ათწუთეულში სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა (79:81), თუმცა დარჩენილ 4 წუთში „ბენეტონმა" მცირე უპირატესობა შეინარჩუნა და 96:92 მოიგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# შერმადინის 8 წუთი: 13 ქულა 8 მოხსნა



საბერძნეთის პირველობაზე პირადი რეკორდი გაიმეორა **გიორგი შერმადინმა** - „ლარისასთან" 13 ქულა მოაგროვა და 8 მოხსნაც მიითვალა. 8 მოხსნაც მისი ბერძნული რეკორდია. აქვე გეტყვით, რომ 216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა მოედანზე 19 წუთი გაატარა.

იგი მწვრთნელმა თამაშში მეხუთე წუთზე ჩართო და „პანათინაიკოსიც"

ამის შემდეგ „გაიქცა": გიორგიმ მოედანზე შესვლისთანავე ორქულიანი ჩააგდო, ხოლო მომდევნო 8 წუთში 13 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა. შერმადინის დამაჯერებელი თამაშის წყალობით „პანათინაიკოსმა" მეორე პერიოდში სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - 36:10.

მატჩის მეორე ნახევარში გიორგიმ 8 წუთი ითამაშა, თუმცა მეტოქის კალათისკენ ბურთი აღარ უსვრია.

ამის მიუხედავად, ქართველი ცენტრი „მწვანეების" ვიცე-სნაიპერი გახდა. ყველაზე მეტი ქულა მასპინძელთა ახალწვეულმა **მარკუს ჰაისლიპმა** ჩააგდო - 22.

საბოლოოდ, 97:65 „პანათინაიკოსის" სასარგებლოდ.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება შეხვედრის შერმადინისეული შეფასება:

- თამაშში კარგად ჩავერთე. მეტოქე თავიდანვე გავტეხეთ და პირველი ტაიმის ბოლოს სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ. ქულების და მოხსნების უმეტესობა პირველ ნახევარში მოვაგროვე. მეორეში თამაში მძიმედ წარიმართა და მოწინააღმდეგის კალათის მიმართულებით აღარ მისვრია. კარგი იქნებოდა, ორით მეტი მომეხსნა და ორმაგი დუბლი შემესრულებინა, მაგრამ არა უშავს, ამ საქმეს ახლო მომავლისთვის გადავდებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ქართველი NBA-ში*

# ზაზა გარნეტს გადაახტა

## ხმამაღალი დიქტორი: ფა-ჩუ-ლია!

„ატლანტა ჰოქსმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მიმდინარე სეზონში NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, ხოლო **ზაზა ფაჩულიამ** მწვრთნელი დაარწმუნა, რომ თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.



„ატლანტამ" შაბათს, გამთენიისას (თბილისის დროით) „ბოსტონ სელტიკსს" უმასპინძლა და 100:91 დაამარცხა. პირველმა პერიოდმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მეორე 12-წუთიანი მონაკვეთი „ჰოქსმა" 13:4 გაქცევით დაიწყო, რაც უმთავრესად ზაზა ფაჩულიას დამსახურება იყო. თავად განსაჯეთ: ქართველმა ცენტრმა ამ ეპიზოდში 6 ქულა და 2 პასი მიითვალა. მისი შედეგიანი გადაცემების წყალობით მასპინძლებმა 5 ქულა ჩააგდეს - 3 კროუფორდმა, 2 ჰორფორდმა. მეოთხედის მეექვსე წუთზე „ატლანტა" 11 ქულით დაწინაურდა - 39:28.

ბოსტონური გამოცემა NECN-ზე, ცხადია, ზაზა ფაჩულიას თაობაზეც დაიწერა: *„2008 წლის პლეი ოფში ზაზა ფაჩულიასა და კევინ გარნეტის ჩხუბის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. ეს კალათბურთელები მოედანზე კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ფაჩულია მეორე პერიოდში შეუჩერებელი იყო. მისი მოხსნების, ჩაჭრისა და ორქულიანების წყალობით „ჰოქსი" 11 ქულით დაწინაურდა. ფაჩულია საკუთარ ფარქვეშ მეტოქეს არ უშვებდა, ხოლო ბოსტონელებს განსაკუთრებით აღიზიანებდათ დიქტორის მოქმედება, რომელიც ზაზას მიერ ჩაგდებული ყოველი ქულის შემდეგ ფაჩულიას გვარს ხმამაღლა აცხადებდა".*

**კევინ გარნეტისა** და **პოლ პირსის** ზუსტი თამაშის წყალობით, „ბოსტონმა" მესამე პერიოდში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეოთხე რაუნდში კვლავ „ჰოქსმა" იძალა და ბოსტონი მიმდინარე სეზონში მეოთხედ დაამარცხა.

მესამე თორმეტწუთეულის დასრულებამდე 2:50 წუთით ადრე ზაზა ფაჩულია კევინ გარნეტზე დაჯარიმდა. მსაჯის სასტვენს ზაზა არ დაეთანხმა და ხმამაღლა გააპროტესტა, რის გამოც ტექნიკური შენიშვნა მიიღო. სხვათა შორის, მატჩში ერთბაშად ოთხი ტექნიკური ფოლი დაფიქსირდა: ფაჩულიას გარდა, დაჯარიმდნენ „ატლანტას" მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** და ბოსტონელები, **რაშიდ უოლასი და კენდრიკ პერკინსი**.

„ბოსტონის" ძლევის შემდეგ ატლანტელები აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილზე ავიდნენ, თუმცა მომდევნო დღეს ორლანდოში ითამაშეს და ისევ დაქვეითდნენ.

**ატლანტა-ბოსტონი 100:91**

ზაზა ფაჩულია: 14 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 4 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:40 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:22 | შეცდომა: 1 |
| 02:44 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 02:19 | ჩატენვა: 2ძ (15:16) |
| 00:26 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:07 | ორქულიანი: 4ძ (27:24) |
| 09:59 | ჩაჭრა: 1 |
| 09:56 | ორქულიანი: 6ძ (29:24) |
| 08:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 08:23 | პასი: 1 (კროუფორდი 3ძ, 35:26) |
| 07:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 07:13 | ორქულიანი: 8ძ, (37:26) |
| 06:34 | პასი: 2 (ჰორფორდი 2ძ, 39:28) |
| 06:17 | ფოლი: 1 |
| 06:17 | ზაზა სმითმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:02 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 05:02 | ფოლი: 2 |
| 04:40 | საჯარიმოები: 2/1 (9ძ, 70:61) |
| 03:08 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 02:56 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 02:53 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:50 | ფოლი: 3 |
| 02:50 | ტექნიკური შენიშვნა |
| 01:15 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 00:15 | ფოლი: 4 |
| 00:15 | ზაზა სმითმა შეცვალა |

### ვინ დაიჭერს ჰოვარდს?

გასულ კვირაში ზაზა ფაჩულიას ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც იგი ამბობდა: ორლანდოელი **დუაით ჰოვარდის** შეჩერება ერთ კაცს ყოველთვის უჭირს, ამიტომ მე და **ელ ჰორფორდი** ერთმანეთს უნდა დავეხმაროთო...

კვირას, გამთენიისას „ატლანტამ" „ორლანდო მეჯიქთან" ითამაშა და ზაზას სიტყვების სიმართლეში დავრწმუნდით: დუაით ჰოვარდმა 31 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა. ზაზა ფაჩულიამ და ელ ჰორფორდმა ერთობლივად 10 მოხსნა და 6 ქულა მიითვალეს.

- დუაითის მეურვეობა ძალიან ძნელია. მას წესების დარღვევის გარეშე ვერ გააჩერებ, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ჰოვარდი საჯარიმოებსაც დიდად შედეგიანად ისვრის, - აღნიშნა **ჯოშ სმიტმა**.

ზაზა ფაჩულიამ ჰოვარდთან „ჭიდაობაში" 6 ჯარიმა მიიღო და მეოთხე პერიოდის მეექვსე წუთზე მოედანი დატოვა.

ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა „ორლანდომ" 18-ქულიან გამარჯვებაში გარდასახა.

სადღეისოდ აღმოსავლეთის კონფერენციას „კლივლენდი" ლიდერობს (37 მოგება, 11 წაგება), მეორეა „ორლანდო" (31 გამარჯვება, 16 მარცხი), მესამე-მეოთხე ადგილებს „ბოსტონი" (29 მოგება, 15 წაგება) და „ატლანტა" (30 გამარჯვება, 16 მარცხი) ინაწილებენ.

ზაზას თანაგუნდელები მომდევნო მატჩს ოკლაჰომაში 2 თებერვალს ჩაატარებენ.

**ორლანდო-ატლანტა 104:86**

ზაზა ფაჩულია: 14 წუთი, 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 შეცდომა, 6 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:08 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:07 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:12 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:05 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 10:40 | ფოლი: 1 |
| 10:39 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 08:38 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:18 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:57 | მოხსნა: შეტ-0, დაც-5 |
| 00:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-6 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:42 | ფოლი: 2 |
| 11:19 | ორქულიანი: 2ძ (65:70) |
| 10:17 | ფოლი: 3 |
| 10:17 | შეცდომა: 1 |
| 10:02 | ფოლი: 4 |
| 09:53 | ფოლი: 5 |
| 09:29 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 04:11 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 03:40 | ფოლი: 6 |
| 03:40 | ზაზა კოლინზმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ხელბურთი

# რევანშისა და მასპინძლობის შანსი

გუშინ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები გაირკვა. კონტინენტის პირველობაზე ამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ჩვენი გუნდი B ჯგუფში მოხვდა, სადაც ლატვიას, იტალიასა და ფინეთს დაუპირისპირდება.

გაირკვა კალენდრის წინასწარი ვარიანტიც.

I ტური: **ლატვია-ფინეთი, იტალია-საქართველო**

II ტური: **საქართველო-ლატვია, ფინეთი-იტალია**

III ტური: **ფინეთი-საქართველო, ლატვია-იტალია**

მატჩების თარიღები ჯერ არ დადგენილა, რადგან ჯერაც არ გარკვეულა, ტურნირი ერთ ქვეყანაში ერთ წრედ ჩატარდება თუ ორ წრედ მიმოსვლით. წილისყრამ ისიც გაარკვია, რომ საქართველოს ჯგუფის მასპინძლობის პრიორიტეტული უფლება აქვს და თუკი სამივე მეტოქე თანახმა იქნება, მატჩებს ჩვენი ქვეყანა უმასპინძლებს. რომელიმე მოწინააღმდეგის უარის შემთხვევაში, ტურნირი მიმოსვლით ჩატარდება, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი რამ იშვიათად ხდება, რადგან ზედმეტ ხარჯებს ყველა ერიდება.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე** ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის კონგრესზე იმყოფება და იქვე შეეცდება მეტოქეებთან საერთო ენის გამონახვას. დღეისთვის უკვე ცნობილი იქნება, რა პასუხს მიიღებს იგი ამის თაობაზე. თუ შეთანხმების მიღწევა ვენაში ვერ მოხერხდა, მეტოქეებთან მოსალაპარაკებლად კიდევ ერთი თვის ვადა გვექნება. მოკლედ, ჩვენს ჯგუფს ივნისში ან საქართველო უმასპინძლებს, ან მატჩები მიმოსვლით გაიმართება.

შესარჩევი ტურნირის ფორმატი კი ასეთია: პირველ ეტაპზე ოთხ-ოთხი გუნდისგან შემდგარი სამი ჯგუფი ჩამოყალიბდა, საიდანაც შემდეგ რაუნდში თამაშის უფლებას ორ-ორი ნაკრები მოიპოვებს და იქ უკვე ევროპის საუკეთესო გუნდებთან დაიჭერს საქმეს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ მეტრეველი** წილისყრაზე ასეთი აზრისაა: *"საკმაოდ ნორმალური და დაბალანსებული ჯგუფია, წილისყრით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. კარგია, რომ ფინეთი შეგვხვდა და "ჩელენჯ ტროფის" ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანშის აღების შესაძლებლობა მოგვეცა. არც ლატვია და იტალია არიან დაუმარცხებელი გუნდები. იმედი მაქვს, ტურნირს ჩვენ ვუმასპინძლებთ, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს საგრძნობლად გაგვიზრდის".*

"ლელოს" ხვალინდელ ნომერში ამ და სხვა სახელბურთო თემებს უფრო ვრცლად შევეხებით და შესაძლოა, ხვალვე გაცნობოთ, რომ ჩვენს ჯგუფს საქართველო უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



გიორგი ჟღენტი

## ქართული ტრიუმვირატი და კუთარაშვილის დებიუტი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-19 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა, „აჟენმა“, „ოიონაქსმა“ და „ლიონმა“, რომლებიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვიან, მეტოქეთა წინაალმდეგობა წარმატებით დაძლია. მოწინავე ექვსეულში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს კიდევ ერთი „ქართული გუნდი“, ლევან დათუნაშვილის „ორიაკი“.

გათამაშების ლიდერმა, ანტონ ფეიქრიშვილის „აჟენმა“ შინ დაამარცხა გასკონური „ოში“ - 21:6. აღსანიშნავია, რომ სტუმრები 56-ე წუთისთვის წინ იყვნენ მინიმალური სხვაობით - 6:5. აჟენელებმა მეტოქე ბოლო 15 წუთში გატეხეს. მეგზავმა ფრანსუა ჟელესმა სამი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები რვა ქულით დააწინაურა - 14:6. მატჩის მიწურულს კი მანვე როლან საბრის მიერ გატანილი ლელო გარდასახა - 21:6.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 78-ე წუთზე შეცვალეს. „აჟენს“ ახლა 62 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს, გიორგი ჟღენტის „ოიონაქსს“ ორი ქულით უსწრებს, თუმცა ერთი თამაში თადარიგში აქვს.

„ოიონაქსმა“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად პლეი ოფში მოხვედრისათვის მებრძოლ „ნარბონთან“ - 13:6. მატჩი იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ 39-ე წუთამდე უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა შეძლო - 3:3. გადამწყვეტი, ფაქტობრივად გამარჯვების მომტანი ლელო ტაიმის მიწურულს მესამეხაზელმა კრისტოფ მარტიმ გაიტანა, სილვერ ტიანმა გარდასახა - 10:3.

გუნდებმა მეორე ნახევარში თითო საჯარიმო გაცვალეს -13:6. ჟღენტმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. მას არბიტრმა მე-19 წუთზე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი ათი წუთით დაატოვებინა, 79-ე წუთზე რიჩარდ მენოტიმ შეცვალა.

უშუალო კონკურენტ „ბორდოსთან“ შინ ურთულესი ბრძოლა გადაიტანა ლევან დათუნაშვილის „ორიაკმა“ - 12:7. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით წააგეს - 0:7. ორიაკელებს დამტრყმელმა ჟერემი ბურლომ უშველა. მის ანგარიშზე ოთხი გატანილი საჯარიმოა. დათუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს.

„დაქსის“ შემადგენლობაში მე-19 ტურში ქართველი შერკინების ბურჯის გიორგი კუთარაშვილის დებიუტი შედგა. ჩვენებურის ახალმა გუნდმა შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ლანამეზანი“ - 34:8. კუთარაშვილი თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო.

მამუკა მაგრაქველიძის „ტარბი“ შინ დამარცხდა მესამეადგილოსან „ლა როშელთან“ - 7:12. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. საკუთარ მოედანზე მოუგო დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლ „კოლომიეს“ გურამ კავთიძის „ლიონმა“ - 32:14. კავთიძე განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. II დივიზიონი: XIX ტური: ტარბი-ლაროშელი 7:12, ორიაკი-ბორდო 12:7, ნარბონი-ოიონაქსი 6:13, დაქსი-ლანამეზანი 34:8, აჟენი-ოში 21:6, ექსი-მონ დე მარსანი 20:18, პო-გრენობლი 20:6, ლიონი-კოლომიე 32:14.

სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 62 ქულა, 2. ოიონაქსი - 60, 3. ლა როშელი - 54, 4. გრენობლი - 52, 5. ლიონი - 52, 6. ნარბონი - 51, 7. პო - 47, 8. ბორდო - 45, 9. ორიაკი - 44, 10. დაქსი - 43, 11. ოში - 37, 12. ტარბი - 36, 13. მონ დე მარსანი - 34, 14. კოლომიე- 26, 15. ექსი - 24, 16. ლანამეზანი - 10.

## ბრიტანელი პრინცები რაგბის სამსახურში



პრინცი ჰარი

ბრიტანეთის პრინცი ჰარი ინგლისის რაგბის კავშირის ვიცე-პატრონი (Vice Patron) გახდება. მას ოფიციალურად 6 თებერვალს, „თვიქნემზე“ ინგლისისა და უელსის ნაკრებთა შორის ექვსი ერის მატჩის დაწყების წინ წარადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი ემთხვევა ამ გუნდების პირველი დაპირისპირების ასი წლის იუბილეს. ჰარი თანამდებობრივად მოვალე იქნება, რაგბის კავშირის პრომოუშენზე იზრუნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობა გააღრმაოს. ამასთან, ბრიტანეთის პრინცმა უნდა უპატრონოს სპეციალურ ფონდს, რომელიც იმ მორაგბეებს ეხმარება, რომლებმაც რაგბის თამაშისას სერიოზული ტრავმები მიიღეს და თითქმის ინვალიდები არიან.

6 თებერვალს „თვიქნემს“ ჰარის უფროსი ძმა, ვილიამიც ეწვევა, რომელიც უელსის რაგბის კავშირის ვიცე პატრონია. დაგეგმილია რამდენიმე საზეიმო ღონისძიება. ერთი სიტყვით, ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით რაგბის ქომაგებს დიდი ზეიმი ელით.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის პრინცი ჰარი რაგბის დიდი ხნის ქომაგია. 2003 წელს ავსტრალიაში, როცა ინგლისის ნაკრები მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა, ჰარი გუნდს დაჰყვებოდა და გულმხურვალედ ქომაგობდა. 2004 წელს კი ერთ-ერთ სარაგბო სკოლაში მწვრთნელადაც იმუშავა.

ამბები

## ლი ბირნი ორი მატჩით დასაჯეს

უელსის ნაკრებისა და „ოსფრიზის“ მორაგბე ლი ბირნი ევროთასების ორგანიზატორებმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რის გამოც მას ექვსი ერის ორი საწყისი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ლი ბირნი „ჰაინეკენის თასზე“, „ოსფრიზისა“ და „ლესტერ ტაიგერზის“ მატჩის მსვლელობისას მოედანზე მე-16 მოთამაშე აღმოჩნდა. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელებმა საჩივარი მატჩის გადათამაშების მოთხოვნით შეიტანეს. მაქსიმუმი კი, რასაც გამორჩნენ, ლი ბირნის დისკვალიფიკაცია და „ოსფრიზის“ 25 ათასი ევროთი დაჯარიმებაა.

უელსელი განაჩენს, ცხადია, არ ეთანხმება. უელსის რაგბის კავშირის იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ სურს ევროთასების ორგანიზატორთა გადაწყვეტილება გაასაჩივროს. ბირნი იმედოვნებს, რომ მდგომარეობა მის სასარგებლოდ შეიცვლება და 6 თებერვალს ინგლისის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

## ჯონი ვილკინსონი ტულონში დარჩა

ინგლისის ნაკრების მგეზავმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ ჯონი ვილკინსონმა ფრანგულ „ტულონთან“ ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა.

ვილკინსონი „ტულონში“ წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა. ის საფრანგეთში გადაბარგდა ინგლისური „ნიუკასლიდან“, რომლის ღირსებას 1997 წლიდან იცავდა. ვილკო დღესდღეობით საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მექულეა, მის ანგარიშზე 177 ქულაა.

ვილკინსონი „ტულონთან“ ერთად პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის. ტულონელები ამჟამად მეოთხე ადგილზე არიან და მიზნის მიღწევის კარგი შანსი აქვთ.

## ბოკე დიდი სლემის მოგებას ეცდება

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შესაძლებლობა ეძლევა, წლეულს დიდი სლემი შეასრულოს. ნოემბერში „ქურციკები“ ოთხივე ბრიტანული ქვეყნის ნაკრებებს დაუპირისპირდებიან და ყველა მათგანის დამარცხების შემთხვევაში დიდ სლემს შეასრულებენ.

აფრიკელებმა ოთხივე ნაკრების ერთ ტურნეში დამარცხება ბოლოს 1961 წელს შეძლეს. ახალმა ზელანდიამ კი იგივე 2004 წელს მოახერხა. ავსტრალიამ კი დიდი სლემის შესრულების შანსი ორჯერ გაუშვა ხელიდან -1984 და 2009 წლებში. ბრიტანელები „სკოტებმა“ იხსნეს სირცხვილისგან, მათ სასწაული მოახდინეს და „ვოლაბები“ 28-წლიანი შუალედის შემდეგ დაამარცხეს - 9:8.

დიდი სლემის ტურნეს პირველ შეხვედრას სამხრეთ აფრიკის ნაკრები 6 ნოემბერს ირლანდიის ნაკრებთან გამართავს დუბლინში, ახალაშენებულ „ავივა სთედიუმზე“ და ტურნეს 4 დეკემბერს „ბარბაროსებთან“ დაპირისპირებით დაასრულებს.

**6 ნოემბერი**
ირლანდია - სამხრეთ აფრიკა (ავივა)

**13 ნოემბერი**
უელსი - სამხრეთ აფრიკა (მილენიუმი)

**20 ნოემბერი**
შოტლანდია - სამხრეთ აფრიკა (მარიფილდი)

**27 ნოემბერი**
ინგლისი - სამხრეთ აფრიკა (თვიქნემი)

მეტოქეები

## სტეუარიმ ყველა უძლიერესს უხმო

როგორც ჩანს, რუმინეთის რაგბის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების წამყვან მოთამაშეებთან ურთიერთობა დაალაგა. 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეში „სტეუარის“ ფრანგი მწვრთნელის, რობერ ანტონინის განკარგულებაში თითქმის ყველა საუკეთესო რუმინელი მორაგბე იქნება.

ანტონინმა იმ 31 მორაგბის სია წარადგინა, ვინც შესარჩევი ტურნირის პირველი ორი შეხვედრისთვის მოემზადება. რუმინელებს ტრავმის გამო დააკლდებათ ცხრა ნომერი პეტრე მიტუ (მონტობანი). სანაკრებო კარიერა საბოლოოდ დაასრულეს პირველხაზელებმა, პეტრუ ბალანმა და პერიშორ ტოდერაშკმა. „მუხის ფოთლებს“ დაუბრუნდა კაპიტანი, მეორეხაზელი სორინ სოკოლი (ოლორონი), გამოცდილი მესამეხაზელები, ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი) და ალექსანდრუ მანტა (ლიონი).

ერთი სიტყვით, რუმინელთა შერკინება საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, რასაც ვერაფრით ვიტყვით უკანა ხაზზე. მგეზავის პოზიციაზე, სავარაუდოდ, ითამაშებს იულიან დუმიტრაში (ალბი), რომელიც ამპლუით ფულბეკია. ისევ მწყობშია ვეტერანი ცხრა ნომერი ლუჩან სირბუ (სომიო). „სტეუარის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, უკანა ხაზის თამაშის გამოკეთება ნაკრების ყოფილ შუამარბ რომეო გონტინეაკს მიანდეს.

რუმინელებს შესარჩევ ტურნირში პრობლემები აქვთ. პირველი წრის შემდეგ ისინი მე-4 ადგილზე არიან და დიდი შანსია, მსოფლიო თასის მიღმა დარჩნენ. პირველ შეხვედრას „მუხის ფოთლები“ ბუქარესტში გამართავენ ესპანეთის ნაკრებთან.

**რუმინეთის ნაკრები**

შერკინება: სეზარ პოპესკუ (სენ მედარი), დრაგოშ დიმა (ოლორონი), სილვიუ ფლორეა (მონტობანი), იონ პაულიკა (ლონდონ აირიში), მიჰაი ლაზარი (სენტ ეტიენი), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), ანდრეი რადოი (ბაია მარე), სორინ სოკოლი (ოლორონი), აუგუსტინ პეტრიკეი (მარმანდი), კრისტიან პეტრე (ბეზიე), ვალენტინ ურსაკე (ბაია მარე), სტელიან ბურეა (არადი), დანიელ კარპო (ფარული), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), ალექსანდრუ მანტა (ლიონი), სერგიუ ურსაკე (ვენეცია).

უკანა ხაზი: ლუჩან სირბუ (სომიო), ვალენტინ კალაფეტეანუ (არადი), იულიან დუმიტრაში (ალბი), დანუც დუმბრავა (სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე), ჩაბა გალი (ბაია მარე), რობერტ დესკალუ (სტიაუა), კონსტანტინ გეარა (ფარული), იონელ კაზანი (სტიაუა), კატალინ ფერკუ (არადი), სტეფან ჩუნტუ (ბაია მარე), კატალინ ნიკოლაე (ფარული), ფლირინ ვლაიკუ (სტიაუა), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).



რუმინეთის ნაკრები

## ნერუში მხოლოდ მაღლაკელიძეს ენდო

რუსეთის ეროვნული ნაკრები სამხრეთაფრიკული საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი ნერუშმა 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის პირველ ორ შეხვედრაში საასპარეზოდ 28 მორაგბე შეარჩია.

რუსთა ნაკრებში ვერ მოხვდნენ გიორგი მინაძე და ძმები, ვალერი და გრიგოლ ცნობილაძეები. ნერუში შესარჩევი ტურნირის შეხვედრებში თავის გამოჩენის შანსს, ალბათ, მხოლოდ კარლო მაღლაკელიძეს მისცემს. გუნდს დაემატა ორი ლეგიონერი, კირილ კულემინი (აჟენი) და ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი), რომლებიც ნაკრებ¬ან ერთად სამხრეთ აფრიკაში არ იმყოფებოდნენ.

რუსები 6 თებერვალს სოჭში პორტუგალიის ნაკრებს უმასპინძლებენ, ერთი კვირის თავზე კი მადრიდში ესპანელებს დაუპირისპირდებიან.

## ლობუშების ბოლო რეპეტიცია

2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, პორტუგალიის ნაკრებმა ლისაბონში ბოლო საწვრთნელი შეხვედრა გამართა ინგლისის სტუდენტურ ნაკრებთან და 21:18 გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ „ლობუშებმა“ ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხეს - 24:18.

პორტუგალიელები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის პირველ შეხვედრას სტუმრად გამართავენ რუსეთის ნაკრებთან.

**პორტუგალიის ნაკრები**

15. ანტონიო აგილარი, 14. გონსალო ფორო, 13, პედრო სილვა, 12. დიოგო მატეუში, 11. დავიდ მატეუში, 10. კარდოზო პინტუ, 9. ჟოზე პინტუ. 1.ჟოაო ჟუნიორი, 2. გუსტავო დუარტე, 3. ჟოაო კორეია, 4. კონრად სტიკლინგი, 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. სალვადორ პალა, 8. ჟოაო უვა.

16. ჟორჟე სეგურადო, 17. ბერნარდო დუარტე, 18. ედუარდო აკოსტა, 19. ტიაგო გირაო, 20. აკაკიო სოუზა, 21. მიგელ პორტელა, 22. პედრო ლეალი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ვანკუვერი 2010. დარჩა 14 დღე

# ციგურებით სირბილი

**მონაწილე:** 1394 (953 კაცი, 441 ქალი) 40 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** გიეონ-ჰუი ლი (ს. კორეა) - 13 წლის, 338 დღის (1972)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ალბერტ ტებიტი (ბრიტანეთი) - 52 წლის, 31 დღის (1924)
**ყველაზე მეტი მედალი:** კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) - 9 მედალი: 5-2-2
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** ნორვეგია (79 მედალი)

მოციგურავეთა პირველი კლუბი ბრიტანეთში 1742 წელს შეიქმნა, ხოლო ციგურებით სირბილი საბოლოოდ სპორტის სახეობად XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ოლიმპიურ პროგრამაში პირველივე თამაშებიდან (1924) არის შეტანილი; თუმცა ქალები ყინულის სარბენ ბილიკზე მხოლოდ 1960 წელს დაუშვეს.

ციგურებით სირბილში სპორტსმენმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაფაროს გარკვეული დისტანცია. სარბენი ბილიკის კლასიკური სიგრძე 400 მეტრია. სტარტზე ერთდროულად ორი სპორტსმენი გადის, მაგრამ მათ შორის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს - მთავარია, ყველა კონკურენტზე უკეთესი დროის ჩვენება.

ოლიმპიურ თამაშებზე მედლების 12 კომპლექტი თამაშდება. 500, 1000, 1500 და 5000 მეტრი დისტანციები კაცებისა და ქალებისთვის საერთოა. გარდა ამისა, კაცები დარბიან 10 ათას მეტრზე, ქალები - 3 ათასზე. კიდევ ორი მედალი თამაშდება გამოდევნებით გუნდურ რბოლაში. ამ სახეობის დებიუტი ოთხი წლის წინ ტურინში შედგა.

გარბენისას სპორტსმენები ყოველ წრეზე იცვლიან ბილიკს, რათა მათ ერთნაირი დისტანციის გავლა, მოუწიოთ. ერთი გამონაკლისის გარდა, სპორტსმენებს ყველა რბოლაში თითო ცდა აქვთ. 500 მეტრს კი ისინი ორჯერ გარბიან და საბოლოოდ მათ მიერ ნაჩვენები დრო იკრიბება.

გუნდურ გამოდევნებაში მამაკაცები 8 წრეს გადიან, ქალები - ექვსს. ყოველ რბოლაში 2 გუნდი მონაწილეობს - თითოში 4-4 მოციგურავე. თუმცა ბილიკზე მხოლოდ სამი (ერთი სპორტსმენი თადარიგშია) გამოდის. გუნდები ტრეკის სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად იღებენ სტარტს. რბოლა მაშინ მთავრდება, როცა ფინიშის ხაზს გუნდის ბოლო წევრი გადაკვეთს.

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 28 | 20 | 15 | 63 |
| 2. ნორვეგია | 25 | 28 | 26 | 79 |
| 3. ჰოლანდია | 24 | 28 | 23 | 75 |
| 4. სსრკ | 24 | 17 | 19 | 60 |
| 5. გერმანია | 13 | 13 | 10 | 36 |
| 6. გდრ | 8 | 12 | 9 | 29 |
| 7. ფინეთი | 7 | 8 | 9 | 24 |
| 8. შვედეთი | 7 | 4 | 5 | 16 |
| 9. კანადა | 6 | 10 | 12 | 28 |
| 10. რუსეთი | 3 | 3 | 2 | 8 |
| 11. გფრ | 3 | 0 | 0 | 3 |
| 12. იტალია | 2 | 0 | 1 | 3 |
| 13. იაპონია | 1 | 3 | 8 | 12 |
| 14. ავსტრია | 1 | 2 | 3 | 6 |
| 15. ჩინეთი | 0 | 3 | 2 | 5 |
| 16. პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 16. ს. კორეა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 18. ჩრ. კორეა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ბელარუსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 20. ბელგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 20. ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ლიდერები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ლიდია სკობლიკოვა (სსრკ) | 6 | 0 | 0 | 6 |
| 2. კლაუდია პეხშტაინი (გერ) | 5 | 2 | 2 | 9 |
| 3. კლას ტუნბერგი (ფინ) | 5 | 1 | 1 | 7 |
| 4. ბონი ბლეირი (აშშ) | 5 | 0 | 1 | 6 |
| 5. ერიკ ჰაიდენი (აშშ) | 5 | 0 | 0 | 5 |
| 6. ივარ ბალანგრუდი (ნორ) | 4 | 2 | 1 | 7 |
| 7. იოჰან ოლავ კოსი (ნორ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 7. ევენი გრიშინი (სსრკ) | 4 | 1 | 0 | 5 |



**რეკორდები**

| კაცები | | | |
|---|---|---|---|
| 500 მ | ჯერემი უეზერსპუნი (კან) | 34.03 | 09.11.2007 |
| 1000 მ | შანი დევისი (აშშ) | 1:06.42 | 07.03.2009 |
| 1500 მ | შანი დევისი (აშშ) | 1:41.04 | 11.12.2009 |
| 5000 მ | სვენ კრამერი (ჰოლ) | 6:03.32 | 17.112007 |
| 10000 მ | სვენ კრამერი (ჰოლ) | 12:41.69 | 10.03.2007 |
| გამოდევნება | ჰოლანდია | 3:37.80 | 11.03.2007 |
| **ქალები** | | | |
| 500 მ | ჯენი ვულფი (გერ) | 37.00 | 11.12.2009 |
| 1000 მ | სინდი კლასენი (კან) | 1:13.11 | 25.03.2006 |
| 1500 მ | სინდი კლასენი (კან) | 1:51.79 | 20.11.2005 |
| 3000 მ | სინდი კლასენი (კან) | 3:53.34 | 18.03.2006 |
| 5000 მ | მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) | 6:45.61 | 11.03.2007 |
| გამოდევნება | კანადა | 2:55.79 | 06.12.2009 |

## კალენდარი

| | |
|---|---|
| **13 თებერვალი** | |
| 00:00 | კაცები. 5000 მ |
| **14 თებერვალი** | |
| 01:00 | ქალები. 3000 მ |
| **15 თებერვალი** | |
| 03:30 | კაცები. 500 მ. I ცდა |
| 05:28 | კაცები. 500 მ. II ცდა |
| **16 თებერვალი** | |
| 01:00 | ქალები. 500 მ. I ცდა |
| 02:52 | ქალები. 500 მ. II ცდა |
| **17 თებერვალი** | |
| 04:00 | კაცები. 1000 მ |
| **18 თებერვალი** | |
| 01:00 | ქალები. 1000 მ |
| **20 თებერვალი** | |
| 04:15 | კაცები. 1500 მ |
| **21 თებერვალი** | |
| 03:00 | ქალები. 1500 მ |
| **23 თებერვალი** | |
| 23:00 | კაცები. 10 000 მ. |
| **24 თებერვალი** | |
| 01:00 | ქალები. 5000 მ |
| **26 თებერვალი** | |
| 00:30 | კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| 01:20 | ქალები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| 02:07 | კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/2 ფინალი |
| **27 თებერვალი** | |
| 00:30 | ქალები. გუნდური გამოდევნება. 1/2 ფინალი |
| 00:51 | კაცები. გუნდური გამოდევნება. ფინალი |
| 01:13 | ქალები. გუნდური გამოდევნება. ფინალი |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

## ფავორიტმა თითი მოიტეხა

მოახლოებული ოლიმპიადის წინ სერიოზული პრობლემები შეექმნა შვეიცარიის მამაკაც სამთო-მოთხილამურეთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს **დიდიე კუშს**. სლოვენიაში გამართული მსოფლიოს თასის ეტაპზე კუშმა ხელის ცერა თითი მოიტეხა და მისი ვანკუვერში გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. 35 წლის მოთხილამურე მაშინვე სამშობლოში გაემგზავრა, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

კუშმა ტრავმა გიგანტურ სლალომში მეორე ცდის შესრულებისას მიიღო. ერთ-ერთი კარის გავლისას ის ჯოხს გამოედო, წონასწორობა დაკარგა და ტრასაზე დაეცა.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, დიდიეს ციურიხის კლინიკაში ოპერაცია წარმატებით გაუკეთდა და შვეიცარიელი უკვე ამ კვირას აპირებს ვარჯიშების განახლებას.

კუში წელს ლიდერობს სწრაფდაშვებაში მსოფლიოს თასის ჩათვლას. ვანკუვერში გამარჯვების შემთხვევაში, დიდიე ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონი იქნება სამთო-სათხილამურო სპორტიდან. აქამდე მას ოლიმპიადებზე ერთადერთი მედალი აქვს მოგებული - 1998 წელს ნაგანოში ვერცხლი მიიღო სუპერგიგანტში.

## მძლეოსანი ვანკუვერში

ბრიტანეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ვანკუვერში გასამგზავრებელი შემადგენლობა დაასახელა.

კუნძულელთა გუნდში ერთ უნიკალურ სპორტსმენს ვხედავთ. ყოფილი მძლეოსანი **ელინ კონდონი** იმ ათლეტთა სიაში შევა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებზე. 35 წლის კონდონი ბრიტანეთის ბობსლეისტთა ნაკრების წევრია.

*"გასაოცარია! მე ბრიტანეთს წარმოვადგენდი სიდნეის თამაშებზე და ახლა ვანკუვერში მივემგზავრები. ბობსლეით ოთხი წლის წინ დავინტერესდი და აი სადამდე მიმიყვანა ამ გატაცებამ"*, - განაცხადა კონდონმა.

## კანადის მედროშე ყოფილი ველომრბოლი იქნება

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე კანადის ნაკრების მედროშე ციგურებით მორბენალი **კლარა ჰიუზი** იქნება. ეს სპორტსმენიც იმით არის გამორჩეული, რომ ზამთრისა და ზაფხულის თამაშებზე მონაწილეობდა და უფრო მეტიც - ორივეგან მედალი მოიპოვა.

ჰიუზი მეხუთე ოლიმპიადაზე გამოვა და ვანკუვერში ოთხი წლის წინ, 5000 მეტრზე მოპოვებული ტიტულის დაცვას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ ატლანტას ზაფხულის ოლიმპიადაზე მან ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა ველოსპორტში.

ოლიმპიადების ისტორიაში სულ ოთხი სპორტსმენია, რომელსაც ზამთრისა და ზაფხულის თამაშებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

## უსაფრთხოება 930 მილიონი ღირს

ვანკუვერის ოლიმპიადის უსაფრთხოებას საერთო ჯამში 15 ათასი ადამიანი დაიცავს, სულ კი ამ მიმართულებით საორგანიზაციო კომიტეტი 930 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს.

უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში 15500 პოლიციელი და სამხედრო ძალების წარმომადგენელი შედის. *"ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ ყველანაირ მოსალოდნელ საფრთხესა და რისკს, რაც შეჯიბრებების გამართვას უკავშირდება. თამაშებს უსაფრთხოების საშუალო დონეზე მოვემსახურებით, მაგრამ ნებისმიერ მომენტში მზად ვიქნებით უმაღლეს დონეზე გადასასვლელად"*, - ამბობს საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი **მენდი ედვარდსი**.

უსაფრთხოების მოსალოდნელი ზომები უკვე გააკრიტიკა ვანკუვერის მოსახლეობამ. ოპონენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა ეს თანხა ქალაქის სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის დახარჯულიყო, ზოგიერთები კი ფიქრობენ, რომ უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტები საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს.

ჩოგბურთი



# ჰიუიტი ოთხ თვეს დაისვენებს

## ნალბანდიანმა დაბრუნება თებერვლისთვის დაგეგმა

ცუდად დასრულდა ავსტრალიის ღია პირველობა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **ლეიტონ ჰიუიტისთვის**. ავსტრალიელ ჩოგბურთელს ბარძაყზე ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

ექიმების ვარაუდით, ლეიტონი დაახლოებით ოთხ თვეს ვერ შეძლებს კორტზე გასვლას. თავად ჩოგბურთელი იმედოვნებს, რომ კარიერას მაისში განაახლებს, როცა პარიზში სტარტს აიღებს საფრანგეთის ღია პირველობა.

*"ოპერაცია რამდენიმე პრობლემის შედეგია, - აცხადებს ჰიუიტი. - ავსტრალიის ღია პირველობის პირველივე მატჩიდანვე ვიგრძენი, რომ ფეხი წესრიგში არ მქონდა. უკვე მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ზაფხულამდე ვერ გავიდოდი კორტზე"*.

ლეიტონს ორი წლის წინ ანალოგიური პრობლემა ჰქონდა და მისი თქმით, არ სურს მაშინდელი შეცდომის გამეორება, როცა ტრავმით გააგრძელა თამაში.

*"თუ თამაშს გავაგრძელებ, 2008 წლის ისტორია განმეორდება. მაშინ ტრავმას ყურადღება არ მივაქციე და საბოლოოდ ტკივილი გამიმძაფრდა. ამიტომაც მომინია ამერიკის ღია პირველობის გამეორებამ"*, - ამბობს ავსტრალიელი.

■ ■ ■

ამასობაში არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა** კორტზე დაბრუნების ახალი თარიღი გამოაცხადა. მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი კარიერის განახლებას თებერვლის შუა რიცხვებიდან აპირებს, კერძოდ, დავიდი 14-21 თებერვალს ბუენოს აირესის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც პაუზის გარეშე აკაპულკოს ტურნირში ჩაებმება.

ნალბანდიანს ბარძაყის ტრავმის გამო შარშანდელი მაისის შემდეგ ერთი ოფიციალური მატჩიც არ უთამაშია. არგენტინელი დაბრუნებას იანვრის დასაწყისში აპირებდა, მაგრამ ოკლენდის ტურნირის პირველი მატჩის წინ მუცლის კუნთი დაიზიანა და გათამაშებიდან მოიხსნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL თებერვლის კალენდარი

### 29 იანვარი

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 5:4 (ო)**

2:1, 2:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 გუნარსონი-1 (მაიერსი-5, ბოშემენი-17), 1:1 პარიზე-24 (ზუბრუსი-6, ზაიაცი-27), 2:1 პარიზე-25 (ზუბრუსი-7, ზაიაცი-28), 3:1 ზუბრუსი-3 (ზაიაცი-29, პარიზე-29), 3:2 ორი-2 (მაიერსი-6, უ. პრიმო-4), 4:2 დევისი-1 (რ. ნიდერმაიერი-11, კ. უაიტი-9), 4:3 პონიკაროვსკი-19, 4:4 სტაიანი-16 (პონიკაროვსკი-18, ტ. კაბერლე-38), 5:4 ზაიაცი-15 (პარიზე-30, როლსტონი-11).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ბექსტრომი-22 (ნუბლი-15, მ. გრინი-40), 1:1 უეისი-20 (სტილმანი-13, საიდენბერგი-20), 2:1 ნუბლი-17 (ოვეჩკინი-40, ბექსტრომი-38), 3:1 შულტცი-2 (სიომინი-29, ფლიშმანი-20), 4:1 ნუბლი-18 (ბექსტრომი-39).

**ბაფალო-ბოსტონი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტალინდერი-3 (მიერსი-24, გოსტადი-6), 2:0 ვანეკი-16 (ბატლერი-16, ტიმ კონოლი-36), 2:1 ლუჩიჩი-3 (სავარი-14, ხარა-25).

**ტამპა ბეი-ანაჰაიმი 1:2 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 სენტ ლუისი-15 (სტემკოსი-26), 1:1 ვიშნიევსკი-3 (გეტცლაფი-37, რაიან უიტნი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** გეტცლაფი (ანაჰაიმი), ვიშნიევსკი (ანაჰაიმი), სტემკოსი (ტამპა ბეი).

**დეტროიტი-ნეშვილი 4:2**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯეისონ უილიამსი-3 (დ. მილერი-7, ფილპულა-13), 1:1 ბუიონი-2 (დუმონი-24, ჰამჰუისი-9), 2:1 ლიდსტრომი-6 (დაციუკი-28, ზეტერბერგი-28), 3:1 დ. მილერი-7 (ბ. სტიუარტი-8, ფილპულა-14), 3:2 შ. უებერი-10 (რ. სატერი-22, სმიტსონი-2), 4:2 ზეტერბერგი-13 (დაციუკი-29, ლიდსტრომი-26).

**დალასი-კოლორადო 3:2**

2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბენი-10 (ოტი-10, მოროუ-14), 1:1 დუშენი-17 (იიპი-6, ჰენანი-11), 2:1 მოდანო-11 (ფისტრიჩი-7, ნისკანენი-10), 2:2 გალიარდი-8 (იიპი-7, დუშენი-19), 3:2 მოდანო-12 (ბრუნსტრიომი-8, პეტერსენი-2).

### 30 იანვარი

**ოტავა-მონრეალი 3:2 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-14 (კუბა-18, ე. კარლსონი-9), 2:0 სპეცა-9 (კუბა-19, კოვალიოვი-25), 2:1 ბ. პუიო-13 (პლეკანეცი-40, კამალერი-22), 2:2 ჯონტა-14 (მარკოვი-14, პლეკანეცი-41), 3:2 ფიშერი-19 (ე. კარლსონი-10).

**ნეშვილი-ატლანტა 4:3**

2:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ჟორდი-9 (ერატი-15, ჰამჰუისი-10), 2:0 სმიტსონი-7 (სალინგი-3, ტუტუ-8), 2:1 ლიტლი-7 (ტ. უაიტი-16, ანტროპოვი-28), 3:1 ერატი-18 (ჯ. ჟორდი-16, რ. სუტერი-23), 3:2 ტორნბურნი-4 (რისონერი-11), 3:3 ლიტლი-8 (კოვალჩუკი-27, ანტროპოვი-29), 4:3 არნოტი-13 (ფრანსონი-11, სალივანი-23).

**ბოსტონი-ლოს ანჯელესი 2:3 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-13 (კოპიტარი-32, სტოლი-23), 1:1 შტურმი-16 (სავარი-15), 2:1 რეკი-10 (კრეისი-19), 2:2 კოპიტარი-23 (ჰანძუში-15, რ. ჯონსი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), რაიდერი (ბოსტონი), სავარი (ბოსტონი), რ. სმიტი (ლოს ანჯელესი), სტოლი (ლოს ანჯელესი).

**ტორონტო-ვანკუვერი 3:5**

3:0, 0:1, 0:4

**გოლები:** 1:0 კესელი-16 (სტაიანი-24, გუნარსონი-6), 2:0 კესელი-17 (სტაიანი-25, პონიკაროვსკი-19), 3:0 მეიერსი-2 (პონიკაროვსკი-20, ბოშემენი-18), 3:1 ბაროუზი-24, 3:2 დ. სედინი-15 (ბაროუზი-23, ერჰოფი-17), 3:3 ჰ. სედინი-25 (ბაროუზი-24, დ. სედინი-35), 3:4 დ. სედინი-16 (ჰ. სედინი-53), 3:5 ბაროუზი-25 (რეიმონდი-20, კესლერი-35).

**ფილადელფია-აილენდერსი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბრიერი-18 (პრონგერი-4, ჯ. კარტერი-25), 2:0 პარტნელი-12 (მ. რიჩარდსი-22, საიმონ განიე-14), 2:1 ბეილი-13 (ოკპოსო-25, შრემპი-12).

**კაროლინა-ჩიკაგო 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 სამსონოვი-11 (კოსტოპულოსი-7, ალბერტსი-7), 1:1 მარიან ჰოსა-15 (შარპი-27, ლედი-15), 2:1 ი. იოკინენი-17 (ე. სტაალი-25, ალბერტსი-8), 2:2 ლედი-11 (მარიან ჰოსა-15), 3:2 ბ. სუტერი-13 (ლაროუზი-6, ტლუსტი-5), 4:2 კულენი-11 (კოსტოპულოსი-8, სამსონოვი-8).

**სტ. ლუისი-კოლამბუსი 2:3 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 დორსეტი-2 (მოდინი-2, მ. როი-9), 1:1 ბექსი-11 (ოშო-18, პერონი-16), 1:2 ტიუტინი-3 (ნეში-27, უმბერგერი-2)), 2:2 ენდი მაკდონალდი-17 (ე. ჯონსონი-21, ბრიუერი-5), 2:3 რასელი-6 (ბრასარი-17, მეტოტი-4).

**ფინიქსი-რეინჯერსი 3:2**

3:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 დოუნი-17 (პიატი-5, ფიდლერი-13), 2:0 ბოდკერი-1 (ლანგი-18, პიატი-6), 3:0 ლეპისტო-1 (ფიდლერი-14, ვონიკი-14), 3:1 გაბორიკი-30 (კრისტენსენი-6), 3:2 შ. ეივერი-6 (დუბინსკი-18).

**კალგარი-ედმონტონი 6:1**

2:1, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დ. ბოიდი-7 (იგინლა-26, ბეკლუნდი-1), 1:1 სემ განიე-13 (ო'სალივანი-18, გრებეშკოვი-12), 2:1 ჰენე ბურკი-18 (ბოუმისტერი-17, იგინლა-27), 3:1 დ. ბოიდი-8, 4:1 ფანოფი-10 (ლუნდმარკი-5, ო. იოკინენი-23), 5:1 იგინლა-23 (ჯორდანო-15, ო. იოკინენი-24), 6:1 იგინლა-24 (დ. ბოიდი-11, ბოუმისტერი-18).

**სან ხოსე-მინესოტა 5:2**

1:2, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ნოლანი-13 (ლატენდრესი-8, ბელანჟე-20), 1:1 დემერსი-3 (ქლოუ-24, მალორტა-14), 1:2 კლატერბეკი-10 (ბროძიაკი-17, ბრუნეტი-28), 2:2 დემერსი-4, 3:2 პაველსკი-15 (მარლო-24, ჰიტლი-28), 4:2 მარლო-36 (პაველსკი-19, ჯ. ტორნტონი-55), 5:2 მარლო-37 (ჰიტლი-29, დ. მიური-10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# მეივეზერი 1 მაისს იჩხუბებს



ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **შეინ მოსლიმ** (46-5, 39KO) **ფლოიდ მეივეზერთან** (40-0, 25KO) ბრძოლის კონტრაქტს მოაწერა ხელი. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა 1 მაისს ლას ვეგასში გაიმართება.

კონტრაქტის გაფორმების შესახებ ჟურნალისტებს მოსლის ადვოკატმა **ჯად ბერშტეინმა** აცნობა. მეივეზერის პრომოუტერმა კი დაადასტურა, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი შეთანხმებულია და მისი შეგირდიც მალე მოაწერს ხელს კონტრაქტს.

*"შეინმა ხელი მოაწერა წინასწარ შეთანხმებას. ის მოხარულია, რომ ისევ მოუწევს რინგზე გასვლა. მოზლი დიდი მოკრივეა, ისევე როგორც ფლოიდი. ეს ბრწყინვალე ბრძოლა იქნება"*, - განაცხადა ბერშტეინმა.

ვარაუდობენ, რომ ოფიციალური პრესკონფერენცია მომავალ კვირას გაიმართება. მართალია, კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ დამარცხების შემთხვევაში მეივეზერს სწრაფი მატჩ-რევანშის მოთხოვნის უფლება ექნება.

დოპინგი

# ჩემპიონები გამოიჭირეს



გასულ უქმეებზე ორმა დოპინგ-სკანდალმა მიიპყრო ყურადღება. 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **კრისტელ კოქსმა** დოპინგის გამოყენება აღიარა. ის დათანხმდა ოთხწლიან დისკვალიფიკაციას და 2001-04 წლებში ნაჩვენები შედეგების გაუქმებას. დამტკიცებულია, რომ კრისტელი სწორედ ამ ოთხი წლის განმავლობაში იღებდა აკრძალულ პრეპარატს.

კოქსმა ათენის თამაშებზე წინასწარ გარბენში მიიღო მონაწილეობა. ახლა მას ჩამოართმევენ ოქროს მედალს, თუმცა უცნობია, როგორ მოიქცევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გუნდის სხვა წევრებთან მიმართებაში. ფინალში ამერიკის ღირსებას იცავდნენ **სანია რიჩარდსი, დი-დი ტროტერი, მონიკ ჰენდერსონი და მონიკ ჰენეგანი.**

■ ■ ■

დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩა სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **დაიანა დოს სანტოსი.** ბრაზილიელი სპორტსმენი აკრძალული პრეპარატის - ფუროსემიდის გამოყენების გამო ხუთი თვით ჩამოაშორეს საერთაშორისო ტურნირებს. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი შედეგი აჩვენა 2009 წლის ივლისში აღებულმა დოპინგსინჯმა, დისკვალიფიკაციის ათვლა 2010 წლის 27 იანვრიდან დაიწყება.

26 წლის ტანმოვარჯიშის ორგანიზმში აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატი გახდომისთვის გამოიყენება. ფუროსემიდი დოპინგად იმის გამო ითვლება, რომ ის ხელს უშლის სხვა პრეპარატის აღმოჩენას.

სანტოსმა 2003 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა ოქროს მედალი თავისუფალ ვარჯიშში. სპორტსმენმა 2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე მიიღო მონაწილეობა, მაგრამ იქ მედლების გარეშე დარჩა.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტო ბოშს არ გაუშვებს



"ტორონტო რეპტორზის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯეი ტრაინომ** უარყო ჭორი იმის შესახებ, რომ გუნდის ლიდერი **კრის ბოში** უახლოეს მომავალში დატოვებს კანადური კლუბის რიგებს. "რეპტორზის" დამრიგებელი ამბობს, რომ 25 წლის ბოში მინიმუმ ამ სეზონის ბოლომდე დარჩება "ტორონტოს" შემადგენლობაში. კრისმა, რომელიც ზაფხულში შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება, მიმდინარე სეზონში 47 მატჩში საშუალოდ 24 ქულა დააგროვა.

*"ჩვენ ამ საკითხს რეგულარულად განვიხილავთ კლუბის გენერალურ მენეჯერ ბრაიან კოლანჯელოსთან, - ამბობს ტრაიანო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდზე. - ნებისმიერი ჭორი კრის ბოშის წასვლის თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამება. იმ ნიჭიერი კალათბურთელების შესახებ, რომლებიც სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტები უნდა გახდნენ, ყოველთვის ბევრი მითქმა-მოთქმაა ხოლმე. გულშემატკივრებს უყვართ ასეთ საკითხებზე კამათი. რა თქმა უნდა, ეს საინტერესოა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვარაუდები არ მართლდება".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## 29 იანვარი

**ინდიანა-კლივლენდი 73:94**

18:36, 26:22, 20:19, 9:17

ი: გრეინჯერი (13+10 მოხსნა+5 პასი), რაში (12), ჯონსი (11), პრაისი (11), მერფი (11).

კ: ჯეიმსი (22+13 პასი+9 მოხსნა), შ. ო'ნილი (22+8 მოხსნა), ილგაუსკასი (13), გიბსონი (10).

**ფილადელფია-ლეიკერსი 91:99**

18:19, 24:32, 25:25, 24:23

ფ: აივერსონი (23), ბრენდი (19+9 მოხსნა), დალემბერი (10+12 მოხსნა), იანგი (10).

ლ: ბრაიანტი (24), პ. გასოლი (19+10 მოხსნა+5 პასი), არტესტი (18), ოდომი (13+9 მოხსნა).

**ატლანტა-ბოსტონი 100:91**

23:22, 30:19, 21:32, 26:18

ა: კროუფორდი (28+6 პასი), ჯონსონი (27), სმიტი (12+9 მოხსნა), ჰორფორდი (11+8 მოხსნა).

ბ: პირსი (35), გარნეტი (15+7 მოხსნა), პერკინსი (8+12 მოხსნა).

**დეტროიტი-მაიამი 65:92**

23:26, 13:21, 12:24, 17:21

დ: ვილანუევა (15), გორდონი (10), პრინსი (10).

მ: უეიდი (22), ჰასლემი (16+8 მოხსნა), რაიტი (12), ჯ. ო'ნილი (10+11 მოხსნა).

**მინესოტა-კლიპერსი 111:97**

34:20, 22:17, 26:36, 29:24

მ: ბრიუერი (20), ფლინი (19+8 პასი), ჰოლინზი (19), ჯეფერსონი (14+16 მოხსნა), ლავი (13+13 მოხსნა), გომესი (10).

კ: დევისი (28+5 პასი), გორდონი (17), ტორნტონი (15), კემბი (10+19 მოხსნა+5 პასი).

**ჰიუსტონი-პორტლენდი 104:100**

18:28, 31:19, 29:24, 26:29

ჰ: ბრუქსი (33+7 პასი), ლენდრი (21), სკოლა (12+8 მოხსნა), არიზა (12), ლოური (11).

პ: ფერნანდესი (25), ოლდრიჯი (20+7 მოხსნა), ბლეიკი (14+9 პასი), ბატუმი (12+9 მოხსნა+5 პასი), ბელიესი (11).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 79:81**

26:18, 21:28, 19:17, 13:18

ნ-ჯ: ლი (19), ლოპესი (17+8 მოხსნა).

ვ: ბოიკინსი (15), ბლეტჩი (14), იანგი (10).

**ნ ორლეანი-ჩიკაგო 106:108 (ო)**

29:30, 21:27, 27:31, 25:14, 4:6

ნ-ო: უესტი (29+14 მოხსნა), ტორნტონი (20), პოლი (18+12 პასი), სტოიაკოვიჩი (13+7 მოხსნა), სონგაილა (12).

ჩ: დენგი (26+7 მოხსნა), როუზი (18+5 პასი), მილერი (14), ნოა (13+18 მოხსნა), ტომასი (11), ჰაინრიხი (10+6 პასი).

**ოკლაჰომა-დენვერი 101:84**

27:26, 24:19, 28:15, 22:24

ო: დურანტი (30), გრინი (15), უესტბრუკი (12+8 პასი), ჰარდენი (12), კოლისონი (10).

დ: ბილაპსი (19+7 პასი), სმიტი (18), მარტინი (13+9 მოხსნა), აფლალო (11), ნენე (10).

**სან ანტონიო-მემფისი 104:97**

28:21, 25:29, 24:20, 27:27

ს-ა: დანკანი (19+9 მოხსნა+7 პასი), ჰილი (18+5 პასი), მეისონი (17), ჯინობილი (14+7 პასი), მაკდაისი (11+8 მოხსნა), ჯეფერსონი (11), ბლეირი (8+10 მოხსნა).

მ: მაიო (28), რენდოლფი (19+13 მოხსნა), კონლი (12+8 პასი), იანგი (11).

**იუტა-საკრამენტო 101:94**

22:20, 27:26, 24:17, 28:31

ი: მილსეპი (32+14 მოხსნა+7 პასი), კირილენკო (18+7 მოხსნა+5 დაფარება), გეინსი (12+5 პასი), მაილზი (12), ოქტური (11).

ს: მარტინი (33+7 მოხსნა), ევანსი (25+6 პასი).

**გ. სტეიტი-შარლოტი 110:121**

28:24, 31:41, 21:27, 30:29

გ-ს: მაგეტი (25), კარი (22+9 პასი), ელისი (22+6 პასი), ტოლივერი (13).

შ: უოლასი (30+13 მოხსნა), ჯექსონი (30), ფელტონი (14+6 პასი), აგუსტინი (14+6 პასი), დიაო (12), მიური (12).

## 30 იანვარი

**ორლანდო-ატლანტა 104:86**

21:18, 28:26, 28:19, 27:23

ო: ჰოვარდი (31+19 მოხსნა), ლუისი (17), ანდერსონი (16), ნელსონი (14+5 პასი).

ა: ჯონსონი (19+7 პასი), კროუფორდი (19), სმიტი (16), ბიბი (10).

**მემფისი-ნ ორლეანი 102:109 (ო)**

33:18, 28:24, 20:34, 16:21, 5:12

მ: მ. გასოლი (25+16 მოხსნა), რენდოლფი (25+12 მოხსნა+5 პასი), მაიო (17+8 მოხსნა), გეი (10+7 მოხსნა), კონლი (10+5 პასი).

ნ-ო: უესტი (22), ოკაფორი (21+10 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20), კოლისონი (17+18 პასი+6 მოხსნა), ტორნტონი (14+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 106:96**

36:19, 14:25, 32:25, 24:27

ვ: მილერი (25+9 მოხსნა+8 პასი), ჯეიმისონი (21+23 მოხსნა), ფოიე (14+5 პასი), ბლეტჩი (10+9 მოხსნა), ბატლერი (10), იანგი (10).

ნ-ი: ლი (24+9 მოხსნა+6 პასი), ჯეფრიზი (17), რობინსონი (16), ჩენდლერი (13), გალინარი (11+10 მოხსნა).

**დალასი-პორტლენდი 112:114 (ო)**

21:26, 26:18, 22:29, 34:30, 9:11

დ: ნოვიცკი (28+9 მოხსნა), ტერი (18+5 პასი), ჰოვარდი (17), ბარეა (13+7 მოხსნა), მერიონი (12), კიდი (10+10 მოხსნა).

პ: მილერი (52), ოლდრიჯი (21), ბეილესი (17), ბლეიკი (10).

**მილუოკი-მაიამი 95:84**

23:21, 33:17, 15:20, 24:26

მილ: უორიკი (22), ბოგუტი (17+15 მოხსნა), ჯენინგსი (17+5 პასი), დელფინო (16+7 მოხსნა), ბელი (11).

მაი: უეიდი (21+7 მოხსნა), რიჩარდსონი (16), ჯ. ო'ნილი (15+10 მოხსნა), რაიტი (12).

**საკრამენტო-შარლოტი 96:103**

33:29, 21:27, 13:34, 29:13

ს: მარტინი (31), კასპი (14), ტომპსონი (12+16 მოხსნა),

შ: უოლასი (38+11 მოხსნა), მუჰამედი (17+10 მოხსნა), ჯექსონი (13+8 პასი), მიური (13).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **მინი-ფეხბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| აზერბაიჯანი-ჩეხეთი | 3:5 |
| **ფინალი** | |
| ესპანეთი-პორტუგალია | 4:2 |
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| სან ანტონიო-დენვერი | 89:103 |
| ბოსტონი-ლეიკერსი | 89:90 |
| **გერმანია** | |
| მიტლდოიჩე-ერტლანდი | 81:80 |
| ტელეკომი-ბამბერგი | 89:79 |
| ულმი-ფინიქსი | 87:72 |
| გესენი-დიუსელდორფი | 89:93 |
| ტრირი-ბრემერჰავენი | 85:86 |
| პადერბორნი-გიოტინგენი | 57:67 |
| ბრაუნშვაიგი-ლუდვიგსბურგი | 74:63 |
| ტიუბინგენი-სკაილაინერსი | 91:70 |
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-პანელინიოსი | 71:68 |
| ილისიაკოსი-კოლოსოსი | 75:79 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია | 97:65 |
| ტრიკალა-აეკ | 59:65 |
| პანიონიოსი-პერისტერი | 86:63 |
| კავალა-მარუსი | 68:77 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 82:77 |
| **ესპანეთი** | |
| ესტუდიანტესი-ხუვენტუდი | 83:68 |
| ვალიადოლიდი-ვალენსია | 87:76 |
| ფუენლაბრადა-ბილბაო | 85:72 |
| ბარსელონა-გრან კანარია | 105:55 |
| ბრუესა-სევილია | 47:56 |
| რეალი-უნიკახა | 84:67 |
| მანრესა-მურსია | 72:55 |
| კახა ლაბორალი-ალიკანტე | 90:75 |
| გრანადა-ობრადოირო | 97:88 |
| **იტალია** | |
| ბიელა-კაზერტა | 67:84 |
| ბენეტონი-კანტუ | 96:92 |
| ნაპოლი-სიენა | 49:143 |
| მილანი-ვარეზე | 74:70 |
| ვანოლი-რომა | 75:79 |
| მონტეგრანარო-ვირტუსი | 80:78 |
| სკავოლინი-აველინო | 94:86 |
| ტერამო-ფერარა | 71:69 |
| **საფრანგეთი** | |
| დიჟონი-რუანი | 78:91 |
| ვიში-ტულონი | 77:50 |
| ორლეანი-შოლე | 88:69 |
| პუატიე-შალონი | 53:59 |
| გრაველენი-ლე მანი | 71:87 |
| სტრასბური-ვილერბანი | 64:100 |
| რონანი-ჰავრი | 90:75 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები. 1/2 ფინალი** | |
| საფრანგეთი-ისლანდია | 36:28 |
| ხორვატია-პოლონეთი | 24:21 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| პოლონეთი-ისლანდია | 26:29 |
| **ფინალი** | |
| საფრანგეთი-ხორვატია | 25:21 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| პიტსბურგი-დეტროიტი | 1:1 პენ. 2:1 |
| ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ოლიმპია | 4:3 |
| ვილახი-ზალცბურგი | 2:5 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 0:3 |
| ლინცი-ალბა | 4:0 |
| ზაგრები-ვენა | 3:3 პენ. 1:0 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 5:1 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 3:6 |
| ნიურნბერგი-კასელი | 4:2 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 3:2 |
| ინგოლშტადტი-ფრანქფურტი | 6:3 |
| იზერლონი-აუგსბურგი | 3:1 |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 4:6 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ლორენსკოგი | 4:4 |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 4:0 |
| ვოლერენ.-ფრისკ ასკერი | 1:1 დ.დ. 1:0 |
| ლილეჰამერი-სტიორნენი | 6:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ნოვა ვესი | 6:3 |
| მარტინი-ტრენჩინი | 2:0 |
| მიკულაში-პოპრადი | 5:3 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 4:4 პენ. 0:1 |
| სლოვაკეთი (U20)-სლოვანი | 0:5 |
| კოშიცე-ნიტრა | 8:0 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კალპა | 2:3 |
| ჰპკ-ტაპარა | 5:4 |
| კერპეტი-ჰიფკ | 4:2 |
| ლუკო-იუვიასკიულა | 1:2 |
| სეიპა-ესეტი | 0:2 |
| ტპს-იოკერიტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 1:1 დ.დ. 1:0 |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 3:2 |
| კლადნო-ბოლესლავი | 2:2 დ.დ. 1:0 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 1:2 |
| პლზენი-სლავია | 3:2 |
| ზლინი-სპარტა | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ფრიბურგი-ბერნი | 1:3 |
| ჟენევა-ლუგანო | 4:1 |
| ამბრი პიოტა-ბილი | 1:3 |
| ცუგი-რაპერსვილი | 3:2 |
| ბერნი-ციურიხი | 2:1 |
| ბილი-დავოსი | 3:3 დ.დ. 0:1 |
| რაპერსვილი-ჟენევა | 3:3 დ.დ. 1:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეა | 4:0 |
| მოდო-ფრიოლუნდა | 1:1 |
| იურგორდენი-როგლე | 6:2 |
| ჰვ71-სიოდერტალიე | 2:4 |
| ტიმრა-ლინჩოპინგი | 3:2 |
| ფერიესტადი-ბრიუნასი | 4:3 |

TV პროგრამა

## 1 თებერვალი. ორშაბათი

### I არხი

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

### რუსთავი 2

00:00 საფეხბურთო ღამე.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
09:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
11:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
13:10 პოკერი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა.
15:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-მაინცი.
17:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი.
19:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:05 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ხორვატია-საფრანგეთი. ავსტრია.
20:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
23:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:10 პროფესიული კრივი. სებასტიან სილვესტრი-ბილ ლილი. გერმანია.
01:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
03:15 პოკერი.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო (LIVE).
06:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.

### SPORT 2 (უკრაინა)

08:00 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ხორვატია-საფრანგეთი. ავსტრია.
09:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
11:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
13:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
15:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
17:10 პოკერი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
22:15 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ხორვატია-საფრანგეთი. ავსტრია.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-სტოკი (LIVE).
02:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
03:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
05:35 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
07:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### EUROSPORT

11:30 თოვლის უიქ ენდი. მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
11:35 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
11:50 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
12:05 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). HS95. ჰინტერცარტენი. გერმანია.
14:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). გუნდური. ესტაფეტა 4x5 კმ. ჰინტერცარტენი. გერმანია.
15:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). კაცები. სპრინტი. შვედეთი.
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). კაცები. რბოლა გამოდევნებით. შვედეთი.
16:30 ბოულინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
17:30 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. III დღე. ლანელი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. სლალომი. I ცდა. საფრანგეთი (LIVE).
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ევროგოლი. ძმები ტურეები. ტელეჟურნალი.
22:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. სლალომი. I ცდა. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
23:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
23:45 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ფინალი. ეგვიპტე-განა. ანგოლა.
02:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.

ეროვნული

# მართლაც პირველები





ავსტრალიის ღია პირველობა მსოფლიოს პირველი ჩოგნების ტრიუმფით დასრულდა. **როჯერ ფედერერმა** და **სერენა უილიამსმა** ყველას დაუმტკიცეს, რომ თუ ფორმაში არიან, მათი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მრავალი სენსაციური შედეგის მიუხედავად, ავსტრალიის ღიას ფინალებში იმ ჩოგბურთელებმა ითამაშეს, რომლებიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ მხოლოდ მეორე ოფიციალურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ხმამაღლა განაცხადა თავისი ამბიციების შესახებ. არადა, განუთესავ ჟუსტინს ძალიან მძიმე ბადე შეხვდა. მას ორ-ორი საათი ბრძოლა დასჭირდა **ელენა დემენტიევასა** და **ნადეჟდა პეტროვას** დასამარცხებლად, სამ-სამი სეტი ითამაშა **ალისა კლეიბანოვასა** და **იანინა ვიკმაიერის** წინააღმდეგ და მხოლოდ ნახევარფინალში ამოისუნთქა, როცა ერთადერთი გეიმი დაუთმო **ჟიე ჟენგს.**

სერენა უილიამსს ტურნირის მეორე კვირას გაუჭირდა. ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** მეოთხედფინალში 4:6, 0:4-ის შემდეგ გადაარჩინა შეხვედრა, **ნა ლისთან** ნახევარფინალში კი ორი ტაიბრეიკის თამაში დასჭირდა.

ერთეულთა ფინალის წინ სერენამ თავის დასთან - **ვენუსთან** ერთად წყვილების ტურნირი მოიგო, რამაც მას დადებითი ემოციები მიანიჭა, მაგრამ ენერგიაც წაართვა.

ქალების ფინალს ვერ ვუწოდებთ ტურნირის მშვენებას. რა თქმა უნდა, ეფექტური დარტყმები და კომბინაციები იყო, მაგრამ იმ რაოდენობით არა, რამდენსაც როდ ლეივერის არენაზე შეკრებილი მაყურებელი ისურვებდა. ამ მატჩს კარგად ახასიათებს ერთი სიტყვა - ბრძოლა, რომელიც დაძაბული და ნერვიული იყო.

ბელგიელმა მეტოქეზე ხუთით ნაკლები ქულა ჩაიწერა აქტივში (85 90-ის წინააღმდეგ) და ოთხით ნაკლები გათამაშება მოიგო აქტიური მოქმედებით (28/32). ერთადერთი, რაშიც მან პირწმინდად წააგო სერენასთან - მოწოდება იყო. პირველი მოწოდების სიზუსტე სულ რაღაც 50 პროცენტს შეადგენდა, ანენმა ექვსი ორმაგი შეცდომა დაუშვა (უილიამსმა - სამი) და სამჯერ ნაკლები ეისი შეასრულა (4 12-ის წინააღმდეგ).

შეხვედრის დებიუტში ორივე ჩოგბურთელი მეტისმეტად ნერვიულობდა. სერენამ მატჩი ეისით დაიწყო, მაგრამ გაუჭირდა საკუთარი მოწოდების შენარჩუნება. გეიმი რვა წუთი გაგრძელდა და ავსტრალიის ღიას მოქმედ ჩემპიონს ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიება დასჭირდა.

ჟუსტინს მეტოქის პირველ ორ მოწოდებაზე ექვსი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა, სერენამ კი პირველივე ცდაზე აიღო ბრეიკი და 3:1 დაწინაურდა. ვალში არც ბელგიელი დარჩენილა, რომელმაც, როგორც იქნა, გამოიყენა ბრეიკ-პოინტი და ბრძოლის გაგრძელების შანსი მიიღო. თუმცა სერენამ კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში ანენი ბრეიკით დაწინაურდა, თუმცა თავიდან ვერ შეძლო უპირატესობის განმტკიცება - უილიამსმა დაკარგული გეიმი დაიბრუნა და წინ გავიდა - 3:2. სწორედ ამ მომენტიდან მოიშალა მისი თამაში - პირველი ჩოგანი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, რასაც ზედიზედ ოთხი გეიმისა და მეორე სეტის წაგება მოჰყვა.

მესამე სეტის დასაწყისიც ბელგიელს დარჩა. მეორე პარტიის ბოლო ნაწილის ჩათვლით, ჟუსტინმა ზედიზედ 15 (!) გათამაშება მოიგო. ის დაწინაურდა - 1:0 და მეტოქის გეიმზე ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო. მაგრამ სერენა დროზე მოეგო გონს, გამოასწორა მოწოდება და ინიციატივა დაიბრუნა. მესამე გეიმში მან ბრეიკი გააკეთა. მართალია, მეოთხეში საკუთარი მოწოდება დათმო, მაგრამ მის უპირატესობაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი. ამერიკელმა ზედიზედ ოთხი გეიმი ძალიან იოლად მოიგო - ანენი ვერანაირ წინააღმდეგობას ველარ უწევდა სერენას.

უმცროსი უილიამსისთვის ეს ზედიზედ მეორე, სულ კი მეხუთე ტრიუმფი იყო ავსტრალიის ღიაზე. ჯამში სერენას „დიდი სლემის" 12 ტიტული დაუგროვდა. ამ მაჩვენებლით ის ლეგენდარულ თანამემამულე **ბილი ჯინ კინგს** გაუთანაბრდა. ახლა ისინი მეექვსე ადგილს იყოფენ იმ ჩოგბურთელებს შორის, რომლებსაც „დიდი სლემის" ყველაზე მეტი ტურნირი აქვთ მოგებული.

■ ■ ■

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ მიურეი მომწიფდა „დიდი სლემის" ტურნირის მოგებისთვის. შოტლანდიელს მდიდარი ტექნიკური არსენალი აქვს, კომბინაციურ თამაშს ანიჭებს უპირატესობას და ფიზიკურადაც კარგად არის მომზადებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი ფედერერის დასამარცხებლად და ენდის მოცდა მოუწევს. გუშინ ჩემპიონი გენიალური როჯერ ფედერერი გახდა. მან მეოთხედ გაიმარჯვა მელბურნში და „დიდი სლემის" ტურნირებზე ტიტულების რიცხვი 16-მდე აიყვანა.

შვეიცარიელი ტურნირის მსვლელობისას ბრწყინვალე ფორმაში შევიდა და ნახევარფინალსა და ფინალში სეტის წაუგებლად გაიმარჯვა. სულ კი მან წინა ეტაპებზე ორი სეტი წააგო და ორივე რუს ჩოგბურთელებთან - **იგორ ანდრეევსა** და **ნიკოლაი დავიდენკოსთან**. კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო ფინალისკენ მიურეის გზა - მან მხოლოდ ერთი პარტია დათმო ნახევარფინალურ შეხვედრაში.

ფინალში გადამწყვეტი აღმოჩნდა სხვაობა გამოცდილებაში. და კიდევ, ფედერერმა გადამწყვეტ მომენტებში უკლებლივ ყველა მიკროორთაბრძოლა მოუგო ბრიტანელს. შოტლანდიელი ღირსეულად იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ იძულებული იყო ეღიარებინა: *„მეტოქე მჯობდა და ჯერ არ შემიძლია ფედერერის მსგავსად თამაში".*

არადა, მიურეიმ შესანიშნავად იცის, როგორ უნდა შვეიცარიელის დამარცხება: მათი წინა ათი შეხვედრიდან ექვსი ენდის სასარგებლოდ დასრულდა. მაგრამ აქამდე „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში მათი ერთადერთი დაპირისპირება (2008 წელს ამერიკის ღია პირველობაზე) ფედერერის სასარგებლოდ დასრულდა. გუშინ სიტუაცია განმეორდა.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მეტოქის პირველივე გეიმი აიღო და 2:0 დაწინაურდა. მეხუთე ჩოგანმა იქვე დაიბრუნა ბრეიკი და ისეთი დარტყმების სერია შემოგვთავაზა, რომ მას ტაშს თავად ფედერერიც უკრავდა. მეხუთე გეიმში შვეიცარიელს სამი ბრეიკ-პოინტის მოგერიება დასჭირდა. მერვე გეიმში კი მეტოქის მოწოდების მოგების პირველივე შანსი გამოიყენა და 5:3 გავიდა წინ. სეტი როჯერმა ეისით დაასრულა.

მიურეიმ ვერც მეორე სეტში შეძლო გარდატეხის შეტანა. როჯერი თავის მოწოდებას დამაჯერებლად ინარჩუნებდა. პარტია უფრო ადრეც შეიძლებოდა დასრულებულიყო, მაგრამ შოტლანდიელმა მეხუთე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მეშვიდეში - ოთხი.

ენდი ვალდებული იყო, მოეგო მესამე სეტი. ბრიტანელმა ბრეიკი გაახერხა და 4:2 დაწინაურდა, შემდეგ თავისი გეიმიც აიღო - 5:2. მაგრამ როჯერმა ეს ერთი პარტიაც არ დაანება მეტოქეს - მან მიურეის მოწოდება მაშინ მოუგო, როცა ის სეტზე აწვდიდა.

ამ მატჩის მშვენება იყო ტაიბრეიკი. ჩოგბურთელებს ბრწყინვალე დარტყმები და კომბინაციები გამოსდიოდათ. მიურეიმ ოთხი სეტ-პოინტი ვერ გამოიყენა (ერთხელ საკუთარ მოწოდებაზე), ფედერერმა - ორი მატჩ-ბოლი, მაგრამ მესამე ცდაზე, როცა ანგარიში იყო 12:11, შვეიცარიელს ბედმა გაუღიმა: ენდიმ ბადეს გაარტყა ბურთი.

დაჯილდოების ცერემონიისას 22 წლის შოტლანდიელი ცრემლებს ძლივს იკავებდა. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ტირილი როჯერ ფედერერს უფრო ეხერხება.

*„პირველ რიგში, ვულოცავ როჯერს. დაუჯერებელია ის, რასაც მან ჩოგბურთში მიაღწია, - განაცხადა მიურეიმ. - დღეს ის ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო. იმედი მაქვს, ერთხელ მეც შევძლებ აქ გამარჯვებას".*

პაუზის შემდეგ ენდიმ დაამატა: *„შემიძლია როჯერივით ვიტირო, მაგრამ სამწუხაროდ, მისნაირად თამაში არ გამომდის".*

თავის მხრივ, ჩემპიონმაც მიმართა ნაგებულს: *„შენ ბრწყინვალე ტურნირი ჩაატარე, ფანტასტიკურად თამაშობდი. ძალიან ძლიერი ხარ იმისთვის, რომ ვერ მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი. შეგიძლია ამაზე არ ინერვიულო".*

ორგანიზატორებისა და სპონსორების მისამართით ბანალური ფრაზების შემდეგ როჯერ ფედერერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს გამარჯვება მისთვის განსაკუთრებული იყო. ეს არის „დიდი სლემის" პირველი ტურნირი, რომელშიც შვეიცარიელმა მას შემდეგ გაიმარჯვა, რაც ტყუპის მამა გახდა.

### ფინალი

#### კაცები

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 5) 6:3, 6:4, 7:6(11).

#### ქალები

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ჟუსტინ ანენი (ბელ) 6:4, 3:6, 6:2.

#### ყველა გამარჯვებული

**კაცები:** როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
**ქალები:** სერენა უილიამსი (აშშ)
**წყვილები (კაცები):** ბობ ბრაიანი/მაიკ ბრაიანი (აშშ)
**წყვილები (ქალები):** სერენა უილიამსი/ვენუს უილიამსი (აშშ)
**მიქსტი:** კარა ბლეკი (ზიმბაბვე)/ლეანდერ პაესი (ინდოეთი)
**იუნიორები (ვაჟები):** ტიაგო ფერნანდესი (ბრაზილია)
**იუნიორები (გოგონები):** კაროლინა პოიშკოვა (ჩეხეთი)
**იუნიორები (წყვილები - ვაჟები):** ჟასტინ ელეველდი/იანიკ ლუპესკუ (ჰოლანდია)
**იუნიორები (წყვილები - გოგონები):** იანა ცეპელოვა/შანტალ შკამლოვა (სლოვაკეთი)

გია **თვალაბეიშვილი**

